

652
1965/3

საქართველოს
ბიბლიოთეკა


საქართველოს
ბიბლიოთეკა

საქართველოს
ბიბლიოთეკა

652/3

2

19165



საქართველოს
პრეზიდიუმი

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს მფარველთა
კავშირის აჭარის
განყოფილების ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ს. ანტონოვი — წერილი (მოთხრობა, თარგმნა ტ. ხინთიბიძემ)	3
ფრ. ხალვაში — ლექსები	11
მ. გორგილაძე — მთაში (მოთხ- რობა)	14
ზ. რაჟვა — კარგი კაცი (ლექსი)	30
თ. ჩხაიძე — ინფანტა (მოთხრობა)	32
ლ. სეიდოშვილი — ლექსები	36
ი. ბერიძე — ლექსები	39
ე. დოლიძე — უკვე გვიანი იყო... (მოთხრობა)	41
ო. იურენკო, ო. შირაზი — ლექსები (თარგმნა ნ. მაღაზონიამ)	49

დღეები და აღმზიანები

ალ. ჩხაიძე — ოცი თვე კოსმონავ- ტებთან	51
--	----

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

კ. ლილუაშვილი — გულწრფელი პატრიოტი	60
ს. არველაძე — განახლებული ზღვის- პირეთის პოეტი	64
დ. ნაცვალაძე — ისიც იღწვოდა მა- მულისათვის	68

9792

1

1965

იანვარი
თებერვალი

გაზ. „საბჭოთა აჭარის“ გამომცემლობა



საკბუი ანონონი

წ მ რ ი ლ ი

კრემლის სრულიად საკავშირო ცაქის სახელობის სკოლის კურსანტს პროხორ დეგტიარევს თავი დაბლა დაეხარა მაგიდაზე და გულმოდგინედ გამოჰყავდა თვითეული ასო:

„ქოხი საბოლოოდ დაიქცა. შარშან ზაფხულზე მე თვითონ შევეუყენე ფინები და ლატანები. ქოხში თავისუფლად დანავარდობს ქარი, სახურავში წვიმა ატანს, როგორ უნდა იცხოვროს მასში ქვრივმა ორი მცირეწლოვანი ბავშვით? რამდენადაც ქმარი არ ჰყავს, რადგან ომში მოუკლეს, გამკითხავიც არავინაა. თუ ამის შესაძლებლობა არის, ვლადიმერ ილიჩ, გაუწიეთ დახმარება წითელარმიელის ქვრივს...“

პროხორი ჩაფიქრდა და ნაცვლად „ვლადიმერ ილიჩისა“ დაწერა „სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე“ — უფრო სოლიდურიცაა და საპატიოც. მან ხელახლა გადაიკითხა წერილი და დარწმუნდა, რომ ეს მიმართვაც ვერ იყო მთლად ხეირიანი, იგი მეტისმეტად ოფიციალური და მშრალი იყო. არ შეიძლება ასე მიმართო ლენინს! ზუთიოდე წუთის წვალუბის შემდეგ მან გადაწყვიტა დაეტოვებინა პირველიც და მეორეც, მაგრამ მაშინ გამოდიოდა, რომ თავმჯდომარეს არ ჰქონდა გვარი, და პროხორმა დაწერა: „...ამხანაგი ლენინი, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე...“

ახლა თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. პროხორმა კოხტად დაკეცა ქაღალდი ოთხად და ფრთხილად, რომ არ დაეჭმუჭნა, ხალათის ჯიბეში შეინახა. ხვალ, შეუდგება თუ არა მორიგეობას, გადასცემს მას ლენინს.

პროხორ დეგტიარევს მორიგეობა უხდებოდა № 27 საგუშაგოზეც, ვლადიმერ ილიჩის ბინის შესასვლელთან, სასამართლო დაწესებულების ყოფილ შენობაში, სადაც ამჟამად ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა იყო მოთავსებული.

ლენინი დღეში რამდენიმეჯერ ჩაუვლიდა გუშაგს ორ მეოთხედ, თუ
დაც ერთ არშინზე. ლენინი პროხორ დეგტიარევისათვის უფრო მისაწვდო-
მი იყო, ვიდრე ყველა საგუბერნიო აღმასკომის ყველა თავმჯდომარისათვის.

ღამე პროხორმა მოუსვენრად გაატარა, ხშირად იღვიძებდა, ფიქრობ-
და იმაზე, რაც ხვალ უნდა გაეკეთებინა, და ისევ მძიმე ბურანში ეხვეოდა.

წერილის გადაცემა, ალბათ, უკეთესია მაშინ, როცა ლენინი შინ ბრუ-
ნდება: დაინახავ თუ არა მას გრძელ დერეფანში, შეიძლება ადრე მოემ-
ზადო და უთხრა, რაც საჭიროა. მაგრამ მაინც, კარგია ეს — გადასცე წე-
რილი ლენინს: ზედმეტადაც შეაწუხო ის და ასე თუ ისე შენი მდგომარეო-
ბაც გამოიყენო, მაგრამ ქოხი ჩემი ხომ არაა!

და პროხორს ხელახლა ჩაეძინებოდა.

დილით იგი უკვე საგუშაგოზე იდგა.

სიწყნარეში პროხორს ზოგჯერ ტელეგრაფის სახელურის კაკუნი ჩა-
ესმოდა. შორს დერეფანში, ლენინის კაბინეტის იქით, კრემლის კომუტა-
ტორი და ტელეგრაფია. ალბათ, იქ შედიოდნენ ან გამოდიოდნენ, და აი, —
სანამ კარი ღია რჩებოდა, — შეიძლებოდა ტელეგრაფის აპარატის წყვეტი-
ლი კაკუნი გაგეგონათ.

აი კიდევ რა. როდესაც პროხორი ფეხს იცვლიდა, მას ესმოდა, თუ
როგორ ჭრიალებდა მისი ახალი რკინით დაჭედილი უნგრული ფეხსაცმე-
ლი, რომლითაც კურსანტებს თავი მოსწონდათ.

საგუშაგოზე პროხორს უკვე ცოტა შესცივდა. სახკომსაბჭოს ცუდად
ათბობდნენ. ნგრევამ, რკინიგზის ტრანსპორტის შეჩერებამ სათბობის შიმ-
შილი გამოიწვია, რომელიც აქაც იგრძნობოდა.

წინანდებურად სიწყნარე იყო... სახკომსაბჭოში ჯერ კიდევ არ შესდ-
გომოდნენ მუშაობას. პროხორი გრძნობდა, თუ რა ძლიერ, შეშფოთებით
უტყმდა გული და ფიქრობდა წერილზეც და თავის სახლზეც. იქ, ალბათ,
დიდი ხანია საქმეს შეუდგნენ, ჭრიან შეშას დათოვლილ ტყეში. მალე გა-
ზაფხულიც დადგება. ყველა მინდორში გავა — თავის ნაკვეთებზე, თავისი
ცხენებით... მზე მაგრად გაათბობს მიწას და მისი სხივებით გაბრწყინებუ-
ლი პრიალა სახნისი გვერდზე გადააწვენს მშრალ, მაგარ თიხნარს... აი
უკვე ცხრას ოცდახუთი აკლია... მალე გამოჩნდება...

პროხორმა ხელი ჯიბეზე დაიდო, მოსინჯა: წერილი არის.

ცხრაზე, ხშირად ორი-სამი წუთით ადრე, მაგრამ არასოდეს უფრო
გვიან, ლენინი სამუშაოზე მიდიოდა.

პროხორი გასწორდა. კარები მართლაც მალე გაიღო.

— გამარჯობა, ამხანაგო! — თქვა ლენინმა, ალერსიანად დაუქნია
თავი გუშაგს და სახეზე შეხედა.

— გამარჯობა, ამხანაგო ლენინ! — ხმამაღლა უბასუხა პროხორმა ლენინს.

ლენინი კი უკვე მსუბუქი და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა გრძელ დეკორაციულ ფანში. მალე იგი თვალს მოეფარება, თავის კაბინეტში შევა, ხოლო პროხორ დეგტიარევი იდგომება, როგორც იდგა. მას საკმაოდ ნათლად ვერ წარმოედგინა, რას აკეთებდა ლენინი იმ კაბინეტში. მაგრამ იქ ზის, მუშაობს თოთხმეტ-თექვსმეტ საათს დღე-ღამეში, ხოლო შემდეგ გამოჩნდება რაიმე დეკრეტი, განკარგულება, და მშრომელი ხალხის ცხოვრება უმჯობესდება, სულ უფრო მყარდება წესრიგი რუსეთში. ერთი სიტყვით, ბელადია...

ზოგჯერ პროხორი თვითონ ხედავდა ლენინს სამუშაოზე, ისმენდა მისი საუბრის ნაწყვეტებს და, ამას რომ იხსენებდა, სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ შეიძლებოდა წერილით მიემართა ლენინისათვის. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა: იგი ყოველი მშრომელის ამხანაგია.

წერილი კი — ეს ნაღდია, ჯობს მაშინ გადასცეს ლენინს, როდესაც იგი უკანვე დაბრუნდება... როგორც კი მოვა ათი ფეხის ნაბიჯზე, პროხორი წერილს ჯიბიდან ამოიღებს და ეტყვის მოახლოებულ ვლადიმერ ილიჩს:

— ამხანაგო ლენინ, ნება მომეცით მოგმართოთ!

პროხორი მოიბუზა და ფეხი შეინაცვლა. უ-უ ცივა!

„ახლა რომ გავირბენდე, — გაიფიქრა პროხორმა, — ხელად გავთბებოდი, ხოლო როცა დგახარ, ეს ვინ არ იცის... ყაზარმაში მაინც წავიდოდე მაღე!“

როგორც ყოველთვის, სადილობისას ლენინი შინ ბრუნდებოდა. მას მოაცილებდა კრემლის კომენდანტის თანაშემწე.

— ვინ გამოსცა ასეთი ბრძანება? — იკითხა ლენინმა, რომელიც როგორც ჩანდა, საუბარს განაგრძობდა. იგი შეჩერდა და ხელები შარვლის ჯიბეში ჩაიყო.

— მე, ვლადიმერ ილიჩ, — დამნაშავესავით აღიარა თანაშემწემ, რომელიც გრძნობდა, რომ ლენინი უკმაყოფილო იყო.

— თქვენ ბრძანეთ? კი, მაგრამ რა საფუძველზე? — მკაცრად ჰკითხა ლენინმა.

— თქვენთვის ხომ შეუძლებელია მუშაობა, ვლადიმერ ილიჩ! ძალიან ცივა თქვენთან.

— ეს არ არის საფუძველი. ახლა რუსეთში ყველგან ცივა. კეთილი ინებეთ, მეტად აღარ გასცეთ ასეთი ბრძანებები.

— მესმის, ვლადიმერ ილიჩ, — შეცბუნებით თქვა კომენდანტის თანაშემწემ.

ვლადიმერ ილიჩმა, როგორც ყოველთვის, საშვი ამოიღო, გუშაგს წარუდგინა და ბინისკენ წავიდა.

პროხორმა ამოიოხრა. ასეთი მარჯვე შემთხვევა ჰქონდა და ხელიდან

გაუშვა, ვერ გადასცა ქალაღდი. რაღაცამ, სახელღობრ რამ, ეს პრღობრღე არ იღოღა, ხელი შეუშაღა მას. მაინც არცთუ კარგი უნღა იღოს ეს... ყვეღას სურს, აღბათ, ლენინს მისცეს თხოვნა, მაგრამ ყვეღას არ შეუღძღლია... მაშასადამე, გამოღდის, რომ ის თავისი მღდგომარეობით სარგებღობს! არა... რასაკვირვეღლია, თავისთვის კი არა, ღდისთვის ცღდიღობს, მაგრამ მაინც...

— გრიგოღ, — მიმართა მან საღამოს ხუმარა და მხიარულ ახალგაზრღას, რომელიც მის გვერღდით იწვა ნარზე, — რას იტყვი?—ღა თავისი გასაქირი გააცნო.

იგი ყურადღებით უსმენღა, ხოლო როცა პროხოროი მორჩა, უცებ ყურები დაცქვიტა, დააყურაღა, საჩვენებელი თითი ასწია და თქვა:

— სსს!

— შენ რა? — ჰკითხა პროხორომა, უნებღლიეთ ხმას დაუწია და კარებს მიაჩერღა, საღათც წარბებაწეული იცქირებოღა გრიგოღ ბღინკოვი.

— აი ჩვენ აქ ვზივართ, — წყნარად, თითქმის ჩურჩულით განაგრღძო მან, — ვღაპარაკობთ ჩვენს საქმეებზე, უცებ კარი იღება და შემოღდის ლენინი... ღიახ, თვითონ ვღადიმერ იღიჩი...

პროხორომა სინანულით ჩაიქნია ხელი და წყენით წარმოთქვა:

— ა-აჰ! გამოიგონე რაღა!

— შემოღდის ლენინი, ვღადიმერ იღიჩი, — შეუმკრთაღად განაგრღძოზღა გრიგოღი, — და პირღაპირ ამხანაგ პროხორო დეგტიარეღთან: „მე ვხეღავ, თქვენ ჩაფიქრღდით. რაზე ფიქრობთ, ამხანაგო დეგტიარევე? რამ დავიკარგათ მოსვენება?“ ჰოღა, შენ გადასცემ წერიღს, აი მხოლოდ მაშინ, ღმოზიღლო, შეიღძღება უხერხული არ ყოფიღლიყო სახკომსაბჭოს თავმჯღდომარის შეწუხება.

— მე ხომ ჩემთვის არ ვთხოვ? — გაჯავრებით წამოიღძახა პროხორომა.

— მაგრამ არც უცხოსათვის...

უკმაყოფიღო პროხორომა ხელი წყენით ჩაიქნია.

მან მოცღა გაღაწყვიტა. ღრო აჩვენებს.

ორი-სამი კვირის შემღდეგ მან წერიღი მიიღო სოფღლიღან. ღღიღვს შესამჩნევი თხელი იისფერი მეღანი გაღდაბნიღლიყო ცუღდ, ხორკღლიან ქაღაღღზე. და ეკითხებოღა, როგორ ცხოვრობღა პროხოროი, თან აცნობებღა, რომ ღვეღებუღრად ჰაპანწყვეტაშია ზავშეგებთან ერთად ღვეღ ქოხში. სღინავთ გაუხღდეღად. ღუმელზეც კი ცივა ღღიღისკენ.

პროხოროი კვღავ ოხრავღა და ჩაფიქრებით აკაკუნებღა კონვერტს მაღიღაზე. რა ქნას? კიღდეგ ღაღგება იგი № 27 საგუშაგოზე, არაერთხელ ექნება შესაღძღებღობა მიმართოს ლენინს. მაგრამ უხერხული ხომ არ იქნება ეს?

ლამის სამ საათზე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მოულოდნელად გამოჩნდა კურსანტების ყაზარმაში.

მორიგემ იცნო ლენინი. მას კიდევაც სჯეროდა და არც სჯეროდა, რომ იგი ლენინი იყო, და საჩქაროდ გაემართა საპატიო სტუმრისა და რუსეთში ყველაზე დიდი უფროსის შესახვედრად.

— გამარჯობა, ამხანაგო, — მიესალმა ვლადიმერ ილიჩი მორიგეს და ხელი გაუწოდა.

მას თითქოს წამით ენა დაება, შეცბა და მხოლოდ შემდეგ ჩამოართვა გამოწვდილი ხელი.

— გამარჯობა, ამხანაგო ლენინ! — მკაფიოდ, ხმამაღლა უბასუხა მან, გამოიჭიმა, ბოლოს ხელიც აუღო, როგორც წესია, და უბატაკა: სკოლის მორიგე ნოვიკოვი. კურსანტებს სძინავთ. არაფერი მომხდარა.

— ძალიან კარგი, ამხანაგო ნოვიკოვ. შეიძლება დავათვალიერო, როგორ ისვენებენ კურსანტები?

— არის! — კვლავ ხმამაღლა უბასუხა ნოვიკოვმა. — არის დაათვალიერო!

— მაპატიეთ, ამხანაგო ნოვიკოვ, — რამდენადაც შეიძლებოდა უბრალოდ უთხრა ვლადიმერ ილიჩმა, რომელსაც არ უყვარდა, როცა მის წინ იჭიმებოდნენ და თავს იწუხებდნენ მოხსენებებით. იგი ყოველთვის წუხდა, როდესაც მისი აზრით, ზედმეტ ყურადღებას აქცევდნენ მის პიროვნებას. — მე ჯერ მინდა ვიცოდე — შეიძლება თუ არა? — ხაზი გაუსვა მან ბოლო სიტყვას.

— რასაკვირველია, ამხანაგო ლენინ!

— ისე, რომ არ დავარღვიოთ მათი სიმშვიდე. ხელს ხომ არ შეგიშლით?

— როგორ გეკადრებათ, ამხანაგო ლენინ!

— მაშ, წავიდეთ.

— არის წავიდეთ!

ნოვიკოვმა ლენინი კარებთან მიიყვანა, თავაზიანად გააღო და სტუმარი შეუშვა. ლენინი ნელა წავიდა საწოლების რიგთა შორის, სადაც კურსანტები იწვნენ. ხან მარჯვნივ იხედებოდა და ხან მარცხნივ. ნოვიკოვი, რომელიც ლენინს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, შემოფოთებით და დაძაბვით სინჯავდა კედლებს, იატაკს, საწოლებს: ნუთუ ამ წუთას, როცა თვით სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, თვით ლენინი მოვიდა ყაზარმაში, უცებ რაიმე საწყენი დაუდევრობა აღმოჩნდებოდა? ხომ ხდება ასეთი სისაძაგლე ქვეყანაზე? მაგრამ ყაზარმაში, ეტყობა, ყველაფერი სრულ წესრიგზეა და სუფთაა.

მიუხედავად ამისა, ლენინმა რაღაც შენიშნა და უცებ მოკვნიტა. ის საწოლს შორის გასასვლელში შეუხვია. ნოვიკოვმა სწრაფად ამოყვინთა ვლადიმერ ილიჩის ზურგს უკან: რამ მიიქცია მისი ყურადღება? ნუთუ...

საწოლზე ქერა კურსანტი იწვა, რომელსაც სიცივისაგან მუხლები მუცელთან მიეტანა და მოკუნტულიყო. საბნის კიდე იატაკზე ჩამოცურებულყო. ვლადიმერ ილიჩმა კურსანტს სახეზე დახედა, დაიხარა, საბნის კიდე აიღო, მზრუნველობით დაახურა მძინარეს და შემოუკეცა. შემდეგ მან ისევ შეხედა ამ ქერას — დღისით მძიმე მეცადინეობისაგან დაღლილ და, ალბათ, დაბალ და გამხდარ კურსანტს, შეხედა, თითქოს რაღაცაში რწმუნდებოდა, ამოწმებდა თავის თავს. და რამდენიმეჯერ დააქნია თავი, ჩანს, ნიშნად თავისი აზრის დადასტურებისა. ლენინმა წყნარად იკითხა:

— კურსკელია თუ ორიოლელი?

— ბრიანსკელია, ამხანაგო ლენინ.

ლენინმა ხელახლა დააქნია თავი: მხოლოდ ასე შეიძლებოდა გვეფიქრა, არა სხვაგვარად.

იგი წასასვლელად მიბრუნდა და დაინახა სხვა კურსანტი, რომელიც დაქინებით უცქეროდა მას. იგი პროხორ დეგტიარევი იყო.

— მე გაგადვიძეთ? რატომ არ გძინავთ? — წყნარად მიმართა მას შეწუხებულმა ლენინმა.

— არა, არა, ვლადიმერ ილიჩ... თქვენ როდი გამადვიძეთ... — წამოდგა და უპასუხა პროხორმა. რა კარგი შემთხვევაა მოუთხროს დაზე, მის ბავშვებზე, ამოიღოს ბალიშის ქვეშ ამოდებული წერილი და გადასცეს ლენინს. მაგრამ პროხორმა უთხრა: — სიზმარი ვნახე, ვლადიმერ ილიჩ.

— მეტი ისეირნეთ ძილის წინ, — წყნარად ურჩია ლენინმა, მერე მოკრიგე ნოვიკოვს შეხედა და დაუმატა: — თუ, რასაკვირველია, ეს შეიძლება.

თუმცა ნოვიკოვმა გაურკვევლად და ძლივს შესამჩნევად დააქნია თავი, ვლადიმერ ილიჩი მიუხედა მას და ჰკითხა:

— სასწავლო დატვირთვა დიდია? ძლიერ იღლებიან?

— ზუსტად ასეა, ვლადიმერ ილიჩ. დიდია სასწავლო დატვირთვა...

— კვება როგორია? რამდენჯერ აჭმევენ კურსანტებს დღეში? არის თუ არა საჩივარი კვების გამო?

— საჩივარი არ არის, ამხანაგო ლენინ, — მკაფიოდ წარმოთქვა ნოვიკოვმა და მოუთხრო, თუ სახელდობრ რა შეადგენს კურსანტების ულუფას, როდის და რამდენჯერ ჰამენ ისინი.

ვლადიმერ ილიჩმა ხელახლა შეხედა ბრიანსკელს, რომელსაც მშვიდად ეძინა, პროხორ დეგტიარევს, უსიტყვოდ დაემშვიდობა მათ და ყაზარმიდან გავიდა.

პროხორმა დიდხანს ვერ დაიძინა, ბალიშის ქვემოდან წერილი გამოი-

ლო, რამდენიმეჯერ გადაიკითხა და ისევ შეინახა... თვითონ ლენინის მომხრე-
ლიც თოთხმეტ-თექვსმეტ საათს მუშაობდა დღე-ღამეში, აკლია ძილი და
მოსვენება, მოვიდა მათთან, რათა ენახა როგორ სძინავთ, როგორ ისვენე-
ბენ კურსანტები, ზოლო იგი, პროხორი, სარგებლობს რა შემთხვევით, რაც
მილიონობით ადამიანს შორის მხოლოდ მას ერგო წილად, დახმარებას
სთხოვს! ამაზე რომ ფიქრობდა, ისიც ნათლად წარმოიდგინა, თუ როგორ
უჭირთ ახლა დასა და მის ბავშვებს ცივ, დანგრეულ ქოხში და კინაღამ
ატირდა. სთხოვოს, უხერხულია, არ სთხოვოს, ესეც არ შეიძლება: რა იქ-
ნება, ვინ დაეხმარება? არის თუ არა მესამე გზა? ზოლო გაზაფხულზე? მო-
უხშირებს წვიმები, გამოატანს ჭერში და ათი როფი ან ტაშტი არ ეყოფა,
რომ ჭავლს შეუდგან! სინესტე, ტალახი, სურდო... თუ ახლა არ გახდებიან
ავად, შემდეგ დაავადდებიან...

საკმარისი კი იყო მხოლოდ პასუხი გაეცა ლენინის კითხვაზე — და
ყველაფერი მოგვარდებოდა! რა არის მისთვის: მხოლოდ სიტყვა დაწეროს
ქაღალდზე და მოაწეროს ხელი. ეს ადვილია, მაგრამ ყველას რომ დაეხმა-
როს, ეს კი ძნელია...

და პროხორი კვლავ და კვლავ იხსენებდა, თუ როგორ იდგა ლენინი
აქ, მის გვერდით, ნათლად ხედავდა გატაცებული, ტიტანური შრომისაგან
დაღლილ მის სახეს და ღიმილს, რომელიც თითქმის ისწრაფოდა, გაეთბო
და გაემხნევებინა ყველა, ვინც ამას საჭიროებდა.

„მაგრამ მაინც როდის ისვენებს იგი?“ — გაიფიქრა პროხორმა.

* * *

გავიდა რამდენიმე თვე.

ანიას წერილი არ ჩანდა.

დრო მიდიოდა დღისით მეცადინეობასა და მძიმე შრომაში, ზოლო
უნებლიე მტანჯველ ფიქრებში საღამოობით, როდესაც თავისუფალი დრო
რჩებოდა:

კრემლში ერთ-ერთმა პირველმა კურსანტებმა გაიგეს ლენინის ავად-
მყოფობა. სახკომსაბჭოს შენობაში, განსაკუთრებით გრძელ დერეფანში,
რომელიც იმ ბინისაკენ მიემართებოდა, სადაც ლენინი იწვა, ისინი სრულ
ჩიწყნარეს იცავდნენ. რომელიღაც კურსანტმა წინადადება შემოიტანა, შე-
ეცვალათ უნგრული ფეხსაცმლები, რომელთა რკინის ნალები ძლიერ ხმა-
ურს იწვევდნენ ტარზფენილზე. როდესაც გაივლიდა ოცეული ან თუნდაც
კურსანტების მცირე ჯგუფი, რკინის ღრჭიალი და ჭახა-ჭუხი იმ ოთახამდე
აღწევდა, სადაც ლენინი იწვა. ფეხსაცმლები დაუყოვნებლივ შეეცვალეს...

მაისის შუა რიცხვებში პროხორ დეგტიარევი, რომელიც რატომღაც
ჯერ კიდევ ფიქრობდა მიემართა ლენინისათვის (ქოხი კი, ალბათ, სულ და-
ინგრა) და ხალათის ჯიბეში ატარებდა გვარიანად გატრეცილ ქაღალდს, სა-
ხალხო კომისართა საბჭოს შენობის შესასვლელში იდგა საგუშაგოზე.

უცებ შესასვლელის კარი გაიღო, მაგრამ არავინ გამოჩენილა. ვილი-
ცის თეთრ ნერვულ ხელს ეჭირა იგი წამს, მეორეს, მესამეს, თითქოს რა-
ღაც უჩვეულოს, ტრაგიკულს ამზადებდნენ... და აი სადღაც ქვემოთ პრო-
ბორმა დაინახა ლენინის თავი ამოხნილი შუბლით, ხოლო მერე მთელი
ტანი, უძრავად რომ იდო ნელა მოძრავ საკაცებზე... შემადრწუნებელ, შემ-
ზარავ დუმბილში მათ გუშავის გვერდით ჩაიარეს. გაიელვეს ნადეჟდა კონ-
სტანტინეს ასულმა, მარია ილიას ასულმა, ექიმებმა, კიდევ ვიღაცამ... ყვე-
ლანი დუმდნენ, ერთი სიტყვა მაინც ეთქვა ვინმეს!

ასეთივე სიჩუმეში საკაცე მანქანასთან მიიტანეს, დადგეს, ჩუმადვე
ჩასხდნენ და სიჩუმეშივე მანქანა ნელა დაიძრა კრემლიდან.

და როცა მანქანა თვალს მიეფარა, ისეთივე სიჩუმე იდგა, თითქოს
არაფერიც მომხდარა, არავინ და არსად წაუყვანიათ. ეს აუტანელი იყო.

პრობორი მორიგეობიდან დაღლილი და მოტეხილი დაბრუნდა. იგი
მაგიდასთან დაჯდა, წაიკითხა ლენინისადმი წერილი, რომელშიც ყოველ
სიტყვას, ასოსა და მძიმეს იცნობდა, — დახია და თავი მაგიდაზე ჩამოუ-
ვარდა.

მაისი თბილი და წყნარი იყო. ფოთლები ამწვანდა, ცა გალურჯდა.
კურსანტები უნალო ფეხსაცმლებით ყოველთვის, როდესაც ლენინის
ოთახს ჩაუვლიდნენ, ჩვეულებისამებრ ნაბიჯს შეანელებდნენ, ფეხს ფრთხი-
ლად და წყნარად ადგამდნენ.

ლენინი კი დიდხანია აღარ იყო აქ...


მაღე პრობორმა დისაგან მიიღო თვეზე მეტი ხნის წინათ გამოგზავ-
ნილი წერილი. მან ხელში აიღო იგი და დიდხანს არ უნდოდა გაეხსნა, რა-
დგან რაღაც დანაშაულს გრძნობდა დის წინაშე, ყველაფერი უკვე იცო-
და წინასწარ. შეიძლებოდა ბავშვები ავად გამხდარიყვნენ, თვითონ დაც...

პრობორმა მძიმედ ამოისუნთქა და კონვერტი გახია. ანია წერდა, რომ
მან ახალი სახლი მიიღო ისევე, როგორც ვინიკოვამ, აგრეთვე ჯარისკაცის
ცოლმა, როგორც ლარიშმა ოსიპოვამ.

პრობორ დეგტიარევმა უნებლიეთ შეხედა სრულიად საკავშირო ცაკის
მწვანე გუმბათზე აღმართულ წითელ დროშას, რომელიც ახლა უნათებდა.
არა მარტო ერთ კაცს, რომლისთვისაც ასე თუ ისე მისაწვდომი და ახლო-
ბელი იყო ლენინი, არამედ მილიონობით ადამიანს, რომლებიც ლენინს
არასოდეს უნახავს და რომლებიც მას არ იცნობდნენ.

თარგმნა ტ. ხინთიბიძემ.





ფრიდონ ხალვაში ვიეტნამის ლერწამი

(ციკლიდან „გაზა, ვიეტნამი!“)

ლერწამი ისე ეხვევა ნიაფს,
როგორც ჭოროხთან, როგორც ბაზალეთს.
ფოთლებს დამიქნევს, სადაც გავიარ,
და მისმინეო, თითქოს მაძალებს.

ვუთხარ: აქედან ისე არ წავალ,
რომ საჭიბონედ არ მომცე ღერო,
მსურს ვიეტნამის მწვანე ლერწამში
ჩემი ქართული სული ჩაებერო.

სამხრეთისაკენ მიმავალი გზა

სამხრეთისაკენ გზა მიდიოდა,
ჯერ ის ვიკითხე, როგორც წერილი.
მერე გაცოცხლდა და შორს, ნამდინთან,
გზა გახდა ჩუმი და მოწყენილი.
ის იწვა ჩვენს წინ, როგორც დაჭრილი,
თან ცხელ და მტვრიან ჰაერს სუნთქავდა,
დიდი ნისლეები, თეთრი და ჩვილი,
დაბომბილი გზის ნაფლეთებს გავდა.
შორი ძახილი მოჰქონდა ნიაფს,
სროლას უსმენდა გზა დაქანცული.
გზისპირას მტვერში ამოსულ იას
მაინც ღიმილით წყვეტდა ქალწული.

მტერმა მოსრისა შენი სახლ-კარი,
მაგრამ მხეცს ისე მაგრად დაჰკარი,
რომ საიგონის სასახლეებში
დაბნეულებმა იწყეს კანკალი.
მე ჰაიფონის სკოლაში ვნახე
შენი გოგონა თვალემაყვალა.
მან მოიტანა და სისხლისფერი
მე ყვავილები შემომაყარა.
ის ვერ მალავდა წუხილს და ლელვას
და, როგორც მამას, მომხვია ხელი.
მე დამაქვს შენი მტრისადმი წყევლა;
მე დამაქვს შენი გოგონას ცრემლი.
მწამს გამარჯვების ყვავილს შეკონავს
ძაფი, ჩვენს გულთა შორის გაბმული;
ერთ სახლში შეხვალთ შენ და გოგონა,
ერთი იქნება თქვენი მამული.

ტ ბ ა ჰ ა ნ ო ი შ ი

ჰანოიში ერთ ულამაზეს ტბას „დაბრუ-
ნებული მახვილის ტბას“ ეძახიან.

არსებობს თურმე ლეგენდა ძველი:
დაპყრობილ მამულს, გათელილ მიწას,
რომ დაემუქრა სიკვდილის ცელი,
კვნესა ხალხისა ზღვებსაც კი მიწვდა.
წამოდგა გლეხის ბიჭი ლე ლოი,
ამ ლაყვარდოვან ტბასთან მოვიდა,
ბადე ისროლა და თხოვა ცრემლით,
ზვირთებო, თქვენი ძალ-ღონე მინდა.
სამშობლო, ხალხი, მშობელი, სახლი
ღაიმონიეს და შევლას მთხოვენ,
არ მესარჩლება უფალი მაღლით,
რამე იმედი შენ მაინც მომე.
მოსწია ბადე.
ცისფერ ტალღიდან
ესროლა ელვა მჭრელმა ფოლადმა, —
სირმის ბადეში მახვილი იდო,

მახვილით ხელში ვაყვაცი ადგა.
და ყველა მხრიდან მისკენ დაიძრა
ლაშქარი ბრძოლის სურვილით სავსე.
გმირი ლე ლოი ლაშქარს წაუძღვა
და ომის ბუღით დაიბურა მზე.
გატყდა ჯალათი და გაიწმინდა
მტრისგან სამშობლოს ლურჯი ველები
და ლე ლოიმაც მახვილი წმინდა
ტბას დაუბრუნა მადლიერებით.
მახვილი დღესაც ამ ტბაში არის
და ვხედავ, მოდის გმირი ახალი,
ჯალათს რომ ჩასცეს და ვიეტნამი
გახადოს მარად თავისუფალი.

ჰ ა ლ ო ნ ი

ამბობენ, თითქმის ჰალონის ყურეში-
ათასობით კლდე დრაკონის სხეულის ნა-
წილებია.

ზღვაა თუ ყურე, ვერ გაერკვევი.
ვიწროა, თან არ უჩანს კიდური.
კლდეები, როგორც აისბერგები,
დგანან, მხრებზე აქვთ ცა აზიდული.
და გეგონება უზარმაზარი
დრაკონი მართლაც აქ ჩამოვარდა...
კლდე უცნაურად არის ლამაზი,
ზღვა საშიშია მაინც კლდეკართან.
ეს ყველაფერი დაწერო გინდა,
მაგრამ ფიქრებით გონებას იტყენ.
საოცრებაა ისეთი დიდი,
რომ ლექსი ამას ვერც წარმოიდგენს.



მიხეილ გოჩილაძე

მ თ ა შ ი

გაზაფხულზე ფილტვების ანთებამ ლოგინზე კარგა ხნით მიმაჯაჭვა. გამომჯობინების შემდეგ ექიმებმა მირჩიეს მთის კურორტზე წავსულიყავი დასასვენებლად.

მამაჩემი კოლმეურნეობის ფერმის გამგედ მუშაობდა. სწორედ იმ ხანად ნახირი საძოვრებზე უნდა გაერეკათ. ოჯახურ თათბირზე გადაწყდა, რომ მეც მათ გავყვებოდი.

დედაჩემმა გასამგზავრებლად მოგვამზადა. მე პაპისეული პატარა ხანჯალი კამოდიდან ამოვიღე, სიბჭეაზე გავლეხე და ქარქაშით ქამარზე დავიმაგრე. სათავგადასავლო რომანის გმირების მსგავსად ათასი ხიტათისათვის ვემზადებოდი.

ჩემს წასაყვანად ავტომანქანა ორ საათზე მოვიდა. ავტომანქანის ძარა ჩვილი ხბოებით იყო სავსე. ნახირი ადრე დილით გაერეკათ. დედებს მოწყვეტილი ხბოები ისე შესაბრალისად გადმოწყურებდნენ და თან დროდადრო ისე საცოდავად დაიხმუილებდნენ, თითქოს მეკითხებოდნენ, ხომ არაფერი ვიცოდი მათ დედებზე.

დედაჩემმა სადგომიდან თოკით თხა გამოიყვანა. მას ხტუნვით ავარა (ასე შევარქვი თავზეხელაღებულ ციკანს) გამოუდგა.

— დედაშვილობას, მომეხმარე, მანქანაზე შეევსათ. — შოფერს სთხოვა დედაჩემმა.

მე სიცილი ვერ შევიკავე.

— თხასაც სააგარაკოდ გზავნი?

— მაგის თავი ეშმაკსაც წაუღია. თხის რძე შენთვისაა აუცილებელი.

— ვერ გამიგია თხის რძე რითი სჯობია ძროხისას.

— ხმა გაიკმिდე, — მისაყვედურა დედაჩემმა, — მე უკეთ ვიცი რა არის საჭირო.

საყვედური მალე ცრემლიანმა ხვეწა-კოცნამ შესცვალა.

კაბინაში ჩამსვეს, ავტომანქანა დაიძრა.

ვაკიჯვარში ნაშუადღევს შივედით. დაბურული მთები მდუმარედ გამოგვეყურებდა. სადღაც, არც თუ შორს, ლოდებზე გადაქუხარე მდინარის განუწყვეტელი გუგუნის ისმოდა.

ნახირის მოლოდინში დრო ზანტად გადიოდა, მე განსაკუთრებით ვეფხიასთან შეხვედრა მეჩქარებოდა. რაც ავად გავხდი, ვეფხია არ მენახა. წარმოდგენილი მქონდა, რომ დამინახავდა, როგორ გაუბრწყინდებოდა თვალები და სიხარულის წკავ-წკავით ჩემკენ გამოქანდებოდა.

ვეფხია სამი წლის წინათ მთიდან ჩამოიყვანა მამაჩემმა, ვიღაც ახალციხელ მწყემსს ეჩუქებინა. ისეთი მსუქანი იყო, სასაცილოდ დაბაჯბაჯებდა. ლამაზიც იყო, ყორანივით შავი ბეწვი ჰქონდა, მხოლოდ გულზე და წინა თათებზე ზოლივით დაჰკრავდა თეთრი.

მე მაშინ თერთმეტი წლის ვიყავი. აბა, რა ვიცოდი ძალი როგორ უნდა გამეწვრთნა. ჩემი მთავარი საზრუნავი იყო, საქმელი არ მოჰკლებოდა, თან ვცდილობდი ავი გამოსულიყო. ვაბრძოლებდი მეზობლის ძაღლებს, ზოგჯერ იმ ბიჭებსაც კი, რომლებიც მე მჩაგრავდნენ.

ორიოდე წელიწადში ვეფხია მთელ კუთხეს შიშის ზარს სცემდა. შუკაში შემოხვეწილ ხარებსაც კი გაბედულად გაუბამდა ბრძოლას. ისე ღონიერი იყო, ზურგზე შეეკასკუბდებოდი და ცხენივით მატარებდა.

მოკლედ, ვეფხია ნამდვილ ვეფხეს დაემსგავსა. მისი შიშით ბავშვები მარტო ვერ გაეშვათ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხალხმა შემოგვითვალა, თუ არ მოგვაცილებთ, მოვკლავთო.

ასე გამოვეთხოვე ჩემს ვეფხიას, ჩემს ერთგულ მეგობარს. იგი მამაჩემმა ნახირში წაიყვანა.

საღამო მოახლოებული იყო, ნახირი რომ გამოჩნდა. შავი, თეთრი, კრელი ძროხები ერთმანეთში არეულიყო, ნიაღვარივით მოარღვევდა განიერ შარას. წინ ალისფერ ბედაურზე ამხედრებული მამია გუჯაბიძე მოუძღვებოდა. მამიას კარგად ვიცნობდი, მის ბედაურს ბახმაროზე გამართულ დოღში ბევრჯერ უსახელებია თავი.

ნახირის მოახლოება ხბოებმაც იგრძნეს. მათი ზმუილისა და ძროხების საპასუხო ბლავილისაგან ყურთასმენა არ იყო. საჩიხის კარები გავხსენით, რომ ჩვილი ხბოები გზაზე მიგებებოდნენ დედებს და ერთმანეთი გამოეცნოთ.

— ვეფხია! — აღერსიანი თვალებით ვიცანი, უკანა ფეხებზე წამოიმართა და, თითქოს გადახვევა უნდაო, წინა თათები მკლავებზე ჩამომაღო. კრიალა, შავი ბეწვი ერთიანად მტვერით დაფარვოდა.

ხარების ჯოგმაც მოაღწია. დამწეული საქონელი ხარბად მიაწედა მოფანტულ ბალახს.

ლამით გამაძლარი და დაქანცული საქონელი ძილს მიეცა.

ბეკეკა და ავარა მოვძებნე. საჩიხში მალლობი ადგილი შეერჩიათ, ერთმანეთს მიხუტებულნი მშვიდად ფშვინავდნენ.

* * *

ოთახი მახლობელ სახლში დავიჭირეთ. სახელდახელო ვახშამი ირაკლი ბიძიამ გაშალა. ის იყო ჩვენი „მეჭურჭლეთუხუცესი“.

სულ ექვსნი იყვნენ: მამაჩემი, ირაკლი ბიძია, მამია, გაგარი და ორიც უცნობი მწყემსი.

ირაკლი ბიძია უკვე 60 წელს იყო მიღწეული, მაგრამ მაინც მაგარი მუხლი შერჩენოდა. იგი საკოლმეურნეო ფერმის შექმნიდან განუშორებლად დაყვებოდა ნახირს. ტანადობით მთელ სოფელში გამოირჩეოდა. ირაკლი ბიძიას ნადირობაც უყვარდა. ახალგაზრდობისას ფილთა თოფი გასკდომოდა და მარჯვენა ხელის ცერა თითი წაეწყვიტა, მაგრამ ნადირობა ამის შემდეგაც არ მიუტოვებია. ორლულიანი „იუევკა“ ახლაც თან მოჰქონდა.

ვახშმის შემდეგ ნახირთან გაგარი წავიდა. ჩვენ ლოგინებს მივაშურეთ.

ალიონზე გამაღვიძეს. ნახირში რომ მივედი, მთავარი საქმე უკვე გაეკეთებინათ. პირუტყვი ადრე წამოერეკათ და დარჩენილი ბალახი მიეცათ.

ის იყო, მზემ გადმოიხედა მთების ზემოდან და ნახირიც დაიძრა. ბედაურზე ამხედრებული მამია წინ სარდალივით ჩაუდგა ერთმანეთის მიყოლებით მიმავალ ხარებს. ბედაური მოუსვენრად ცემდა ტორებს, მაგრამ გაუჟაცს ლაგამი მძლავრად ეჭირა.

ხარებს ძირითადი ნახირი მიჰყვა. ჩემი ბეკეკა და ავარა სადღაც შუა ნახირში ჩაიკარგნენ. დროდადრო ჭრელ ნაკადში ისინი თეთრად გაიღვებდნენ და შემდეგ გაქრებოდნენ ჩაჭრილ ბილიკში.

ჩემს ცხენს ბარგი ჰქონდა აკიდებული. კენში გაკეცილი ნაბადი ჩამიგეს და ზედ შემსვეს. ცხენი რიტმული რწევით მიჰყვა საერთო ნაკადს. ნახირი ერთ კილომეტრზე გაიჭიმა და ისე მოჩანდა, თითქოს ერთი ცოცხალი არსება ყოფილიყო.

ვეფხია ჩემგან ოციოდე ნაბიჯზე მიდიოდა. მოწყენილობის გასაქარვებლად ზოგჯერ დაუღსტვენდი ან გავძახებდი. იგი შედგებოდა, კეთილი თვალებით შემომხედავდა, კუდს ალერსით გაიქნევდა და ისევ გზას გაუყვებოდა.

ცხემლნარში მხედარი შემოგვხვდა, ეტყობოდა, ისიც მწყემსი იყო, უზარმაზარი კათხებით ორ ცხენზე ყველი აეკიდა და მოერეკებოდა.

შემხვედრი მწყემსი მამაჩემს გამოეცნაურა. გამოირკვა, რომ სამხრეთიდან მგლების ხროვა გადმოხვეწილა და ნახირს მოსვენებას არ აძლევ-

და. მტაცებელთა შიშით სხვა კოლმეურნეობების მწყემსებს ფაფარას მთაზე
ხლობელი ფერდობები უკვე დაეკავებინათ და შორეულ იალაღებზე გა-
დასვლას ვერ ბედავდნენ.

ამ ცნობამ ჩვენები დააღონა.

— ათი წელია მგელი თვალთ არ დამილანდავს. რაღა წელს შემოგ-
ვესია? — ბრაზით ჩაილაპარაკა მამაჩემმა.

— აბა, კაცო, — ჩაურთო ირაკლი ბიძიამ, — თოფები მაინც წამოგ-
ველო. ოცი გასროლა თუ მექნება მსხვილი საფანტი.

ბჭობის შემდეგ გადაწყვიტეს, სამხრეთ ფერდობებზე გადასულიყ-
ვნენ. იქით საფრთხე მეტია, მაგრამ სამაგიეროდ ბალახია უკეთესი.

გამოჩნდა ტანაყრილი, ნიავისაგან ოდნავ აშრილებული ნაძვის ხეები.

აქ ჰაერი მსუბუქი იყო, ნაძვნარისა და ფიჭვნარის სურნელებით გაჟ-
ღენთილი. ზემოთ აღმართები უსასრულოდ გრძელდებოდა, ხევის მხარეს
კი საღდაც, უძირო უფსკრულში, კლდეებიდან გადამქუხარე მდინარე გუ-
გუნებდა.

შუაღლე გადასული იყო, სომლისა რომ მივალწიეთ. გადაწყვიტეს და-
მე იქ გაგვეთია.

როგორც კი მობიბინე ბალახი ნახა, დამშეული საქონელი მინდვრებ-
სა და ფერდობებზე გაიფანტა. მწყემსებმა და ნაგაზებმა მაშინვე სამი
მხარე დაიჭირეს და ნახირს შორს გაფანტვის საშუალება არ მისცეს.

* * *

ფაფარაზე სხვა მწყემსებმაც გვითხრეს, რომ მთებში მგლების ხროვა
დაძრწოდა და გაფანტულ ხბოებსა და ძროხებს თავს ესხმოდნენ.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ გადაწყდა სამხრეთის საძოვრებზე, ფა-
ფარადან 10-15 კილომეტრზე მოგვეწყო მუდმივი საჩიხი, იქიდან კი მახ-
ლობელ ფერდობებზე ყოველდღე გავგერეკა საქონელი. უფრო შორს წა-
სვლა არ შეიძლებოდა, რადგან ყოველ ორ დღეში რძე და რძის ნაწარმი
უნდა ჩაგვებარებინა ბახმაროს სავაჭროებისათვის, ან ავტომანქანით გავ-
გეგზავნა ბარში.

ირაკლი ბიძია და მამაჩემი იმავე დღეს ცხენებით გავიდნენ საძოვრე-
ბის შესარჩევად. მეორე დღეს ჩვენ უკვე საუკეთესო იალაღებზე ვიყავით
და მუდმივი საჩიხის მოწყობას შევუდექით.

კარგები მოხერხებულ ადგილას გავშალეთ, ნაძვნარის განაბრას. რამ-
დენიმე კარავი ნაძვის ტოტებისაგან გავაკეთეთ. სანამ გახმებოდეს, ასეთ
სადგომებში სითბო და სურნელება იგრძნობა. ზევიდან ბრეხენტები გადა-
ვაფარეთ, რომ წვიმა და სეტყვა არ ჩამოსულიყო.

პირველ ხანებში მოწყენილობა დამეუფლა. ხეტიალისა და მუშაობის
უფლებას არ მაძლევდნენ. ჩემს მოვალეობას შეადგენდა ბეკეკასა და ავა-



რასათვის თვალი მედევნებინა, მომეწველა, რძე ცალკე ამედულებინა და შემესვა, გარდა ამისა, წყაროდან წყალი მომეტანა.

მთის ჰაერს როგორც კი შევეგუე, დავიწყე ფიზიკულტურული პროცედურები. მაშია ყოველ დილით მავარჯიშებდა. ტანს წყაროზე ცივი ტილოთი ვიზელდი. ათიოდე დღის შემდეგ თავს ისე ჯანსაღად ვგრძნობდი, როგორც არასდროს.

რაკი კარგად მნახეს, საქმეც გამიჩინეს. ხმელი შეშა უნდა მომეზიდა. კოცონებისათვის ნაძვი ჩამომესხება და ირაკლი ბიძიას სადილის მომზადებაში დაეხმარებოდი.

საქმე არ მეზარებოდა, ყველაფერს ხალისით ვაკეთებდი. მხოლოდ ვეფხიაც ჩემთან რომ ყოფილიყო, უფრო გავერთობოდი. მას ადრე დილით, ნახირის საძოვრებზე გარეკვის წინ და საძოვრებიდან დაბრუნების შემდეგ ვხვდებოდი. აუცილებლად მომნახავდა, კუდს ალერსით გააქნევდა, გაბრწყინებული თვალებით მომიახლოვდებოდა და ისე დადგებოდა, რომ მიეფერებოდი.

განვიღო დღეებში ზარალი არ მოგვსვლია, მაგრამ მწყემსები ასეთ დაძაბულ შრომას გაუძლებდნენ? ისინი დღისით ნახირს წუთითაც არ შორდებოდნენ, ღამით კოცონებს აჩალებდნენ და ქვაბს რკინას ურტყამდნენ. რომ ხმაური გამოეწვიათ.

ნადირს ვერ ვხედავდით, მაგრამ მგლური ყურყურა ხან ხევიდან გვესმოდა, ხან ბორცვიდან, ზოგჯერ ბანაკთან ახლოსაც მოდიოდნენ. მაშინ ძაღლები ტეხდნენ განგაშს, უცნაურად ყმუოდნენ, იქითა მხარეს მიაწყდებოდნენ, მაგრამ შებრძოლებას ვერ ბედავდნენ.

ერთხელ მაშინ ვერ აიტანა ყოველდღიური თავდასხმის დაუმთავრებელი საფრთხე და გადაწყვიტა ჩასაფრებოდა ნადირს. ირაკლი ბიძიამ თოფი მისცა, შიშველი ხანჯალი ქამარში გაიჩქო, ჯიბის ელექტრომანუქი აიღო და წავიდა.

შუალამით მიყუჩებული ხეობა ორმა გასროლამ აახმაურა. გასროლას ჯერ განწირული ნადირის კივილი მოჰყვა, შემდეგ კი რამდენიმე მგლის შეუპოვარი ღრიალი, რომელიც იქით, ხევის სიღრმეში ჩაინთქა.

— დასჭრა! — თქვა ირაკლი ბიძიამ. — ჯობდა მოეკლა, სხვები შემინდებოდნენ და გაიფანტებოდნენ. ტყავი ჩვენ დაგვრჩებოდა, ლეშზე მახეებს მოვაწყობდით. ახლა კი დაჭრილს თვითონ დააცხრებიან.

ირაკლი ბიძიას ნათქვამში მეორე დღესვე დავრწმუნდით. ხევში მგლის იმდენი ბეწვი იყო გაფანტული, გეგონებოდათ, საგულდაგულოდ გაუშუტავთო. უბედური ისე შეესანსლათ, ძვლის ნასახიც ვერსად ვნახეთ.

* * *

ბოლო დროს ბეკეკას ნახირთან ერთად მირეკავდნენ. ავარა ჩემთან

რჩებოდა. იგი ისე შემეჩვია, სადაც წავიდოდი, აჩრდილივით თანდასწავლიდევდა.

ბიჭებმა ბევრჯერ მთხოვეს, მოდი, სანამ პატარაა, დავკლათ, თორემ ვაცად რომ გადაიქცევა, ისეთი სუნი ექნება, თვითონ შეგეზარებაო. შემეცოდა, სასიკვდილოდ ვერ გავიმეტე.

მაღე ავარა ყველასათვის აუტანელი გახდა. ხბოებს მოსვენებას არ აძლევდა. რომელსაც წაახლებდა, წაწვეტილი რქებით დაეჯახებოდა. დაწოლილ ხარს ან ძროხას თუ დაინახავდა, ზედ შეახტებოდა და დააფრთხობდა.

მე მართობდა მისი სიანცე, ხალისიანი მოუსვენრობა. ამ წუთში აქ რომ იყო, მეორე წუთში მახლობელ ფერდობზე გაიფლავებდა. ვეფხიაც კი შეეჩვია, ნაგაზი აღარ ხელდებოდა მის ჭირვეულობაზე.

ავარა ბოლო დროს იმდენად გათავხედდა, კარვებზეც დაიწყო თავდასხმა. კარვებს კარი არ ჰქონდა, რომ ჩაგვეკეტა. ისე დღე არ გავიდოდა, რაიმე რომ არ გაეფუჭებინა, ან ჯამს გატუნდა, ან მარილს მიაგნებდა, რამდენჯერ რძიანი ან სადილიანი ჭურჭელი გადააყირავა. ირაკლი ბიძია ხან „ეშმაკის ფეხს ეძახდა“, ხან „მავნედ გაჩენილს“. ყველას სისხლი გაუშრო, მაგრამ რა მექნა, ვერ გავიძულე, ვგრძნობდი ძლიერ მიყვარდა ეს „მავნედ გაჩენილი“ არსება.

— ბარემ ერთი თვეც მოითმინეთ, მე წავალ და შემდეგ ავარაც თქვენი იყოს და ბეკეკაც, — ჩემთვის ჩავილაპარაკე.

საცოდავ ავარას ამის შემდეგ ბევრი აღარ დასცალდა.

ერთხელ, ნაშუადღევს, შორეულ ხევში ნისლი როგორც კი შევნიშნეთ, მაშინვე შევუდექით ნახირის შეგროვებას. ცხენებს დავაჯირითებდით, ყვირილით ვაჩქარებდით.

როგორც იქნა, საქონელი საჩიხში შევრეკეთ. მაღე ისეთი ნისლი ჩამოწვა, ოციოდე ნაბიჯზე ხარის გარჩევა ჭირდა. ამ დროს დამფრთხალი საქონლის საზარელი ღრიალი გაისმა. ძროხების ბლავილში გარკვევით გამოირჩეოდა ავარას განწირული ხმა. იქით გავქანდი. მამაჩემს დაენახა, ღობეს როგორ გადაევლო ვეება რუხი დათვი. ჩემი ავარაც თან გაეტაცნა.

ცოტა ხნის შემდეგ ხევიდან მძვინვარე ბრძოლის ხმაური მოისმა. ხმები ერთმანეთში ირეოდა. ეტყობოდა, მხეცები სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებოდნენ ერთმანეთს.

ირაკლი ბიძია ბორცვზე გადადგა და ყური დაუგდო.

— დათვს ძვირად დაუჯდა შენი ავარა. მგლებმა სცადეს ნადავლის წართმევა და, როგორც ჩანს, ბრძოლაში კიდევაც დაგლიჯეს დათვი.

მეორე დღეს კლდოვან ხევში ვნახეთ დათვის ლეშის ნარჩენები. მგლებსაც არ დასდგომოდათ კარგი დღე, მათი ბეწვი ყველგან იყო გაფანტული.

— ახლა მე მაგათ შავ დღეს დავაყრი, დამაცალონ! — მუქარით ირაკლი ბიძიამ, ბანაკში დაბრუნდა და ორი მახე ჩამოიტანა.

მახის დაგებაზე მეც მივეშველე. იგი ლეშთან მოხერხებულად მოვაწყვეთ და მისაბმელი ჯაჭვი შენიღბულად ნაძვის მაგარ ფესვზე მივაბით.

— ახლა მობრძანდნენ, კარგი ვახშამი დახვდებათ! — კმაყოფილებით თქვა ირაკლი ბიძიამ და კეთილ სახეზე თბილი ღიმილი გადაეფინა.

ბანაკისაკენ ავუყევით აღმართს.

მე ვკითხე, რატომ არის, რომ ზოგიერთი დათვი ცოცხალ არსებას არ ებრძვის, ხორცს არ ჭამს, ზოგი კი პირიქით.

— დათვი მობალახე ცხოველია, — ამიხსნა ირაკლი ბიძიამ, — უფრო წყავს, მოცვს, წაბლს, მიწის ვაშლს, მცენარეთა ტყბილ ფესვებს, სიმინდს, ბოსტნეულს ეტანება, თაფლზედაც არ ამბობს უარს. მტაცებელი ის დათვი ხდება, რომელიც ხორცითაა გაზრდილი.

— ხორცს ვინ აჩვევს?

— დათვს ორი ძუძუ აქვს, ბელიც უმთავრესად ერთი ან ორი ეყოლება. არის შემთხვევა, სამიც გაუჩნდება. აი, მაშინ ძუ დათვი იძულებულია მესამე ბელისათვის სხვა რამ საჭმელი მოძებნოს. იგი კალათით წყავს ან წაბლს ხომ ვერ მოუტანს?! სადმე ლეშს წააწყდება, ან თვითონ დაესხმება თავს ცხოველს, მოკლავს და მიუთრევს.

აღმართში ლოდის ნამსხვრევებზე ჩამოვჯექით. ირაკლი ბიძიამ ქისა ამოიღო და ჩიბუხი გააწყო.

— დათვი ყველაზე ჭკვიანი ცხოველია. იგი ზოგჯერ ისე აბურღლუნდება, გეგონება საცაა ალაპარაკებდნენ. მახსოვს, ახალგაზრდობისას მთაში ყავარს ვამზადებდით. იქ, სადაც ჩვენ ვმუშაობდით, დათვის ნაკვალევი შევნიშნეთ. როგორც ჩანდა, ხილისა და საჭმელის ნარჩენებს ცუტქნიდა. საფრთხის თავიდან ასაცილებლად მახე მოვუწყვეთ. მეორე დღეს დათუნია გაბმული დაგვხვდა, ტყვილისაგან საცოდავად კვნესოდა. რა უნდა გვექნა, შეგვეძლო ცოცხლად ჩაგვეგდო ხელში, მაგრამ რაში გამოვადგებოდა, ბარში ჩაყვანა ადვილი როდი იყო. გადავწყვიტეთ მოგვეკლა. ახლაც თვალწინ მიდგას, თოფი რომ აღემართე, შესაბრალისად მოიკუნტა და სახეზე თათები აიფარა, მიხვდა, რომ თოფში სიკვდილი იყო დაბუღებული. არ ვესროლე. თოფი ჩამოვიღე. მანაც სახიდან თათები მოიცილა, ტყისკენ გაიწია, აშკარად გვაგრძნობინებდა, ჩემი გზით გამიშვით, თქვენ არაფერს დაგიშავებთო. ძუ დათვი იყო, იქნებ ბელები ჰყავდა მიტოვებული.

ირაკლი ბიძიამ ყალიონი გააბოლა და წამოდგა.

— მერე, მერე? — ვერ მოვითმინე.

— ძალიანაც შეგვეცოდა, მაგრამ რა გვექნა, ასაშვებად ვინ გახედავდნენ მისვლას.

— მოკალით?

— ჩემსას კედელზე დათვის ტყავი ხომ გინახავს... — აღარ დაუშთავრებია, ყველაფერი გასაგები იყო.

მხეცი დასანდობი როდია, მით უფრო ავარას გატაცების შემდეგ დათვების მთელი მოდგმა შემძულდა. მაგრამ ოცდაათიოდე წლის წინათ მოკლული დათვი, რომელსაც შეიძლება უსუსური ბელები მოუთმენლად ელოდნენ, მაინც დამენანა. კარვამდე ხმა არ ამომიღია.

სადილის თადარიგს შევუღდექით. მე მეტისმეტად ვჩქარობდი. ხშირად მზეს გავყურებდი და დროს ვამოწმებდი. მოუთმენლობა მძლედა, მინდოდა ჩქარა დაღამებულიყო. ეტყობოდა, ირაკლი ბიძიაც არ იყო მთლად მშვიდად.

— ვითომ გაებმება, ბიჭო? — უცნაური, საეჭვო ხმით მეკითხებოდა. ღამით ნაბდები მოვიხუტეთ და განაპირა ლოდზე ჩამოვჩექით. იქიდან ხევი ახლოს იყო, ხმაურის გაგონება გარკვევით შეიძლებოდა.

მთაში ღამე ბევრად უფრო ბნელი ყოფილა, ვიდრე ბარად. მე კი პირიქით მეგონა. ჩვენ ორი ათას მეტრზე მაღლა ვიყავით ზღვის დონიდან, ე. ი. ორი კილომეტრით ახლოს ვიყავით მნათობებთან, მაგრამ როგორც ჩანს, ეს უმნიშვნელო სხვაობა არაფერს ნიშნავდა, პირიქით, მნათობები ისე მიმცხრალი ჩანდნენ, იფიქრებდით, საცაა სულ ჩაქრებიანო. მთვარე კი ჯერ არ ამოცურებულიყო. ნაძვნარებსა და ხეებს უკუენითი დასწოლოდა, მხოლოდ ჰორიზონტზე მთების სილუეტების გარჩევა შეიძლებოდა.

შევნიშნე, რომ ღამით, რატომღაც, ხმა ბევრად უფრო გარკვევით ვრცელდებოდა, ვიდრე დღისით. ხეებში ჩაყიდებული ღელეები უწინ ასე ამღერებული არ მჩვენებია. ბანაკიდან სამასი მეტრით დაშორებული მაინც ვიყავით, მაგრამ პირუტყვის ღრმად ამოხვნეშა ჩვენამდე ისე გარკვევით აღწევდა, თითქოს ათიოდე ნაბიჯზე ყოფილიყო.

შორს, მდინარის გაღმა, შიშველი ფერდობის მხარეს მგელმა გაბმით შეჰყმუვლა: „ააუ-უუუ“. ზოგჯერ შემინიშნავს, ვეფხია აიღებდა ასეთ „ნოტას“. ალბათ, მგლისაგან გაიგონა და თავისი „ბარიტონით“ ბაძავდა. პირველ მგელს მეორემ მისცა ბანი, შემდეგ მესამეც აჰყვა. მალე იქითა მხრიდან ისეთი აურ-ზაური მოისმა, თითქოს მთელი ხროვა იერიშზე გადასულიყო.

მოულოდნელად აღმოსავლეთიდან უკუენითი გაარღვია მოელვარე შუშხუნამ, ცაში ნახევარწრე მოხაზა და უამრავ ცინცხებად იმ ფერდობზე დაიფშენა, საიდანაც მგლების ღრიალი ისმოდა. მეორე შუშხუნა მაღლა

აიჭრა, ჯერ ცას გამოეყიდა, შემდეგ ქვევით დაეშვა, პერშივე მრავალფერად ნამსხვრევებად იქცა და არე-მარე გადააკაშაშა.

ეტყობოდა, შეშფოთებულმა ხროვამ სმა გაიკმინდა და ხეობაში გაქრა.

— დააფრთხეს. ალბათ, მახეს არ გაეყარებოიან, წავიდეთ! — სინანულით თქვა ირაკლი ბიძიამ.

— ვინ გაისროლა მამხალუბი? — კვითხე ირაკლი ბიძიას.

— აბა, რა ვიცი.

— ეჰ, მასეთი მამხალეები რომ გგქონდეს, მგლებს შიშის ზარს დავცემდით.

— შეშინებით ნადირი არ კვდება, ის უნდა მოსპო.

— მაშ, რა უნდა ვქნათ?

— საცაა მონადირეები მოგვისწრებენ, მანამ როგორმე უნდა გავუძლოთ.

ვიცოდი, რომ ჩვენს დასახმარებლად ყველა მეზობელი რაიონიდან მოდიოდნენ მონადირეები.

* * *

დღე არ გავიდოდა ისე, მეზობელ მწყემსებს მგელი მახეში რომ არ გაეხატ, ან თოფით არ მოეკლათ, მაგრამ ხროვა ისე მრავალრიცხოვანი ჩანდა, მოსვენებას მაინც არ გვაძლევდა. მათი შიშით ნახირი ბანაკიდან შორს ვერ გაგვერეკა. რისკს ისევ სიფრთხილე ვარჩიეთ.

მაშუქებიც ვიკითხეთ. გამოირკვა, რომ მახლობლად გეოლოგიური პარტია იყო დაბანაკებული. მგლების შიშით ბანაკიდან შორს წასვლა ვერც იმათ გაეხატათ. ექსპედიციის მეთაურს, რომელიმეც პროფესორს გადაეწყვიტა, დალოდებოდა, ვიდრე მონადირეები მთელ მხარეს გასწმენდნენ ნადირისაგან.

ჩვენმა ნახირმა აღმოსავლეთისაკენ ორი კილომეტრით გადაინაცვლა. მწყემსებთან სადილი მე მიმქონდა. ბანაკიდან იქამდე ფერდობი და ხევი უნდა გამეგლო. ტყუილი იქნება, რომ ვთქვა, მარტოდ, თანაც უთარაღოს, ამ გზით გავლა არ მეშინოდა-მეთქი. ძალიანაც მეშინოდა, მაგრამ იხტიბარს არ ვიტყხდი. კარავიდან ირაკლი ბიძიას მოსაჩვენებლად გაბედულად გამოვდიოდი, შემდეგ კი, რაც უფრო ვშორდებოდი ბანაკს, მით უფრო მლატობდა ნებისყოფა. ფრთხილად ვათვალიერებდი მიდამოს, მუდამ მზად ვიყავი სადილიანი კალათი მიმეტოვებინა და ლოდისკენ გავქანებულიყავი. მაგრამ ხიფათს არასოდეს გადავყრივარ. იმ დღესაც მშვიდობიანად მივალწიე ნახირს და ბიჭებს სუფრა გავუშალე.

სანამ ისინი თბილ საჭმელს შეექცეოდნენ, ნახირი არხეინად ძოვდა. მობიბინე ბალახს, მე კი განმარტოებით ჩაცუცქულ ვეფხიას მივაშურე და

ქილაობა დავუწყე. ვეფხია ხალისით აჰყვა ჩემს გამოწვევას, ჩვენ ვაპირებდით
ალობდით ფაფუკ მდელოზე.

ამ დროს ჩაგვესმა ხბოს განწირული ღრიალი. მთელი ბანაკი შეიძრა.
ძროხების შემადრწუნებელ ბლავილს ადამიანთა ყვირილი და ძაღლების
ყეფა შეუერთდა.

ყველაფერი ეს რამდენიმე წამში მოხდა. ნაძვნარის მხრიდან შურდუ-
ლივით გამოიჭრა გააღმასებული მგელი და განმარტოებით მობალახე მო-
ზვერს გამოუდგა. მოზვერი ერთი წლის იქნებოდა. მან ადრევე შენიშნა
საფრთხე და ბანაკისაკენ გამოქანდა, თან ისე ბლაოდა, თითქოს ნადირი უკ-
ვე უფლეთდა შიგნელს.

საოცარი სურათი გადამეშალა თვალწინ: მგელიც რუხი, ხბოც რუხი,
თითქმის ერთი სიმაღლისანი იყვნენ, მხოლოდ მგელი უფრო გრძელი ჩან-
და, იგი მძლავრი ნახტომებით ადვილად კეცავდა მოზვრამდე დარჩენილ
მანძილს.

პირველი ახლოს მყოფი ბულა გაქანდა მისაშველებლად. ბულას ხა-
რებმაც მიბაძეს. საკბილოთი გატაცებული მხეცი თოფის სასროლზე მო-
ახლოვდა. მაშინ თოფი მოიმარჯვა, მაგრამ მას საქონელი ჩამოეფარა. მა-
შინ იძულებული გახდა დასაფრთხობად ჰაერში გაესროლა. საერთო ხმა-
ურზე მტაცებელი გონს მოეგო. იკადრა და უკან მოკურცხლა. ამ დროს
შეგნიშნე, რომ ვეფხია და ნადირა ერთმანეთის წაქეზებით მგელს გამო-
უდგნენ.

ხბოს დაკარგვა უფრო ადვილი ასატანია, ვიდრე სამიდან ორი ძაღლი-
სა, რომლებიც მთელ ნახირს თვალის ჩინივით უვლიდნენ. ჯერ არ გამეგო-
ნა ერთ ან ორ ძაღლს მგელი მოეგუდოს, პირიქით კი მოსალოდნელი იყო.
ბიჭებმა სცადეს ძაღლები უკან მოეხმოთ, მაგრამ უშედეგოდ. ახლა მათი
შეჩერება სიკვდილის გარდა არაფერს შეეძლო. მაშინ მამიას გადავძახე,
სანამ ძაღლები მიუახლოვდებოდნენ და ერთ ხაზზე გაიჭიმებოდნენ, მგლი-
სათვის ესროლა.

მგელი ასი მეტრით მაინც იქნებოდა დაშორებული. ცხადია, სანადირო
თოფით მამია მას ვერ მოკლავდა, მაგრამ თუნდაც დაეჭრა, ეს ძაღლებს გა-
უადვილებდა ბრძოლას. და მაშინვე ესროლა.

მივხვდით, მგელი დაიჭრა. იგი გაცოფებული უკან მოტრიალდა, რომ
მთელი ძალით შეტაკებოდა არსებას, რომელმაც თქმოზე საშინელი ტკივი-
ლი მიაყენა. ახლოს რომ ვერავინ ნახა, ნაძვნარისაკენ მოკურცხლა. მალე
თვალთაგან ჩვენი ნაგაზებიც გაქრნენ.

ყველანი შევშფოთდით.

მამიას ბევრი არ უფიქრია, ხანჯალი გამომტაცა და ქამარში გაიჭო.
მამაჩემი წინ გადაუდგა.

— ძაღლები დავლუბეთ, ახლა კაციც გავწიროთ?

— დროს ნუ მაკარგვინებ, იქნებ ცოცხლებს მივუსწრო, მაშინ აღზნებულ, გაფართოებულ თვალებში ეტყობოდა, რომ მზად იყო შიშველი ხელებითაც შებმოდა ნადირს.

მამაჩემი ვერაფერს გახდა, მამიამ ნაძვნარს მიაშურა.

ბანაკიდან ირაკლი ბიძიამაც ჩამოირბინა. ყველაფერი რომ მოისმინა, ისიც ღრმად ჩაფიქრდა.

— არ უნდა გაგეშვათ. სროლას რომ ატეხდეს, ტყე ექოს. გამოსცემს, ნადირი დაფრთხება და ძაღლებსაც გული მიეცემათ.

ხანმოკლე კამათის შემდეგ გადაწყვიტეს ირაკლი ბიძია და მამაჩემი მისაშველებლად წასულიყვნენ. მათ თან წაიღეს ხანჯლები, კომბლები და ვედრო ხმაურის გამოსაწვევად.

საღამო მოახლოებული იყო, ისინი ფერდობზე რომ შეენიშნეთ. ტაფობში ჩავეგებე. მამიას არაქათგამოცლილი, სისხლში მოსვრილი ვეფხია ჩვილივით ხელში ეჭირა. მამაჩემს მგლის ტყავი მოჰქონდა, ირაკლი ბიძია კი ლეშის ნაჭერს მოათრევდა. ნადირა აღარსად იყო.

ირაკლი ბიძია ხევში დაეშვა. მივხვდი, რომ მახესთან ახალ მისატყუარს დებდა, მაგრამ ახლა ამას ნაკლებ მნიშვნელობას ვაძლევდი. ჩემი ერთადერთი საზრუნავი იყო, ვეფხია გადამერჩინა.

ვეფხიას განძრევის თავიც აღარ ჰქონდა. როგორც დადეს, ისევე დარჩა, თვალიც არ გაუხელია, მხოლოდ დროდადრო მისუსტებული ხმით თუ ამოიკვნესებდა.

ჭრილობებზე წამალი დაადეს, ნაღრძობი წინა ფეხი შეუხვიეს, მამაჩემმა ორი ნემსი გაუკეთა: მოწამლისა და სიცხის საწინააღმდეგო.

— თუ მოდიან, ბარემ დროზე ამოვიდნენ, — ვახშმის დროს მამაჩემმა საყვედური თქვა მონადირეებზე. სხვებს სიტყვაც არ დაუძრავთ. ყველანი ჩაქამებული ვიყავით.

განთიადისას ირაკლი ბიძიამ გამაღვიძა.

— ადექი, ბიჭო, კონცერტს მოგასმენინებ.

ვერაფერს მივხვდი, მაინც წამოვხტი და ჩაცმას შევუდექი.

კარგებს იქეთ გამიყვანა.

აღმოსავლეთი აღისფრად იმოსებოდა. ეტყობოდა, მალე ინათებდა.

— არაფერი გესმის?

ყური დავუგდე.

ხევიდან მდინარის ყრუ ხმაურს მოყვებოდა გაავეებული ნადირის ღრიალი. მაგრამ ერთი არ იყო, სხვადასხვა ხმა მოდიოდა.

— შევცდი, მახეები ახლოს დავაგე. ორი თუ გაება, ერთმანეთის ტყავს გააფუჭებენ. — უკმაყოფილოდ კი არა, ნიშნის მოგებით ჩაილაპარაკა ირაკლი ბიძიამ.

— ნუთუ ჩავარდნენ?

— აბა, ტყუილა მევიკალით თავი? — კარავში დაბრუნდა, თოფი აიღო, ქამარში შიშველი ხანჯალი ჩაიდო, ყაბალახი მოიხვია და გარეთ გამოვიდა.

— თუ გინდა წამოდი, იმათ სეირს გაყურებინებ. — გამომწვევად მი-
თხრა. სანამ ჩვენ ტაფობი ჩავათავეთ, ინათა. არც ხეობა იყო შორს.

ირაკლი ბიძია სიფრთხილეს არ კარგავდა, თოფი სასხლეტზე ჰქონდა შეყენებული. რაც უფრო ქვევით მივიწვედით, ნადირის ღრიალი მით უფ-
რო ძლიერდებოდა და დაუნდობელი ხდებოდა.

ბილიკი ჩავათავეთ, ლოდს გადავადექით.

თოფის გასროლის მანძილზე მახეში გაბმული ორი გაავებული მგელი
ერთმანეთს სასიკვდილოდ ფლეთდა.

— ნახე, ნახე, ეს პირშავეები რა დღეში არიან!

უფრო მივუახლოვდით.

— უჰ, თქვენი სინსილა გაწყდა, არც ახლა მოგვასვენებთ?! — ირაკლი
ბიძია ხეს მიეყრდნო და დაუმიზნა.

გასროლისთანავე ერთ-ერთი უსულოდ დაეცა.

ახლა შეგვნიშნა ცოცხლად დარჩენილმა. მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა,
ზღარბივით მოიხარა და გაავებული ნახტომით ჩვენკენ გამოქანდა, მაგრამ
მახეს თავი ვერ დააღწია და იქვე დაენარცხა.

— გინდა ესროლო? — მკითხა ირაკლი ბიძიამ.

პასუხის ნაცვლად თოფის გამოსართმევად ხელი გავუწოდე.

— მხარზე მაგრად მიიდე და თავში დაუმიზნე!

ჩემს გასროლაზე მგელმა საზარლად შეჰკივლა და აფართხალდა. ეტ-
ყობოდა, ზუსტად ვერ მოვარტყი, დავჭერი. მეორე გასროლით ირაკლი
ბიძიამ ბოლო მოუღო.

ბანაკში დავბრუნდით.

საუზმეს უკეთესი განწყობილებით შემოვუსხედით.

ის იყო, ნახირი საჩიხიდან უნდა გამოგვეშვა, რომ ტაფობში ჩვენკენ
მომავალი მონადირეები შევნიშნეთ, მათ თასმით ძაღლები მოჰყავდათ.

ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ.

* * *

ვეფხიას ჭრილობები შეუხორცდა, ნაღძობი ფეხიც მოუჩა, მხო-
ლოდ ერთგან დარჩა გადახდილი ბრძოლის სამუდამო ნაკვალევი, ცალი ყუ-
რი ჰქონდა ძირამდე გაფატრული და ასევე ორად გაყოფილი მოუშუშდა.

ნახირთან ერთად ჯერ არ გაგვეშვა, ბანაკში გვყავდა. ჩემთან ხალისით
ერთობოდა, დამყვებოდა წყაროზე, ნაძვნარში. როცა სადილი მიმქონდა,
მუდამ სევდით გამაყოლებდა თვალს, ჯაჭვით დაბმულს ვტოვებდი,
რომ არ ამდეგნებოდა.

იმ დღეს ვეფხიაც თან გავიყოლე. დამეზარა მარტო წასვლა, ცხენი

არ მყავდა. მთელი კვირის ამოყვანილი ყველი და სულგუნი წაიღეს მხარზე.

ხურჯინი მხარზე მოვიგდე, თოფი ხელში დავიჭირე და დაღმართზე დავეშვი.

ვეფხია წინ მიბრბოდა, ნახირისკენ მიუხაროდა. ძალიან რომ დაწინაურდებოდა, მშვიდი, კეთილი თვალებით შემომხედავდა. ალერსით კუდს გააქნევდა და დამელოდებოდა.

მაღალ ხევს რომ მივალწიეთ, ვეფხია შედგა, პატარა წრე შემოირბინა, მიწა დაყნოსა. როგორც ჩანს, საეჭვო ვერაფერი ნახა, შემდეგ თავი ზევით ასწია და ჰაერი დაყნოსა.

აშკარა იყო, რაღაც იგრძნო, თვალემა გაუფართოვდა, ხერხემალთან ბეწვი ყალყზე დაუდგა, ჯერ წკავ-წკავს მოჰყვა, შემდეგ მტრულად დაიღრინა.

ვეფხიას საქციელი კარგს არაფერს მიქადდა. სანამ გარემოს დავათვალიერებდი, თოფი გადავხსენი, ყვავზე სასროლი ვაზნა ამოვიღე, მსხვილი საფანტიანი ჩავდე და სასხლეტზე დავაყენე, შემდეგ ფერდობები შევათვალიერე. საგანგაშო ვერაფერი შევნიშნე. ბუჩქნარი არსად იყო, მწვანით დაფარულ ფერდობებზე მხოლოდ ზოგან მოჩანდა კუნძულებივით ამოზიდული ლოდები. არა მგონი, მგელს ისეთი აზროვნება ჰქონოდა, რომ ლოდთან წინასწარ ჩამსაფრებოდა. იქით, მდინარის მხარეს, ისეთი უფსკრული იყო, ფრინველი თუ ამოაღწევდა. მე მაინც შევათვალიერე ჩემთვის საიმედო საფარი—მდინარის პირას აღმართული ლოდი და გადავწყვიტე რამდენიმე წუთი შემესვენა, ვიდრე უსაფრთხოებაში დავრწმუნდებოდი.

ვეფხია მაინც არ ცხრებოდა, კისერი წაიგრძელა და ჰაერს ყნოსავდა, ბოლოს, უფსკრულს წაადგა. იქ კი გაავებით დაიღრინა და მთელ ტანში უცნაურად შეაჟრჟოლა.

ხევს გადავხედე და სახტად დავრჩი. დავსვს ორი ბელი მდორედ მიმავალ მდინარის პატარა საგუბარში ჩაეგდო და აბანავებდა. ბელები ნაპირზე გამოსვლას ცდილობდნენ, ეტყობოდათ, არ სიამოვნებდათ ცივი წყალი, მაგრამ დედა თათს მოსდებდა და ისევ მდინარეში ჩააგდებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ბელები, ალბათ, შეეჩვივნენ წყალს და ახლა საგუბარში ერთმანეთს დაუწყეს ჭიდაობა.

უფსკრულს ასი მეტრი სიმაღლე მაინც ექნებოდა. ჩემს ადგილას თუნდაც გამოცდილი მონადირე ყოფილიყო და უფრო დიდი ყალიბის თოფი ჰქონოდა, მაინც არ ესროდა. მით უფრო მე, რას გავბედავდი. დიდად არც საფრთხე მემაუჭრებოდა. ბევრჯერ გამიგონია, დათვი ადამიანს არ შეებრძოლება, გააგებული თუ არ არისო. მით უფრო ჩემთვის თავი რომ დაესწრო, მთელი კილომეტრი უნდა გაერბინა. გაავება კი ოდნავადაც არ ეტყობოდა. ბელების ბანაობით გახალისებული თვითონაც, შედგაფუნდა საგუბარში და

მუცლით ჩაწვა. ბელემა დრო იხელთეს და დედას რუხ-ნაცრისფერი ბანჯა გვლით დაფარულ ზურგზე შეახტნენ.

დათვი ჭუჭყიანი ცხოველია, მთელი ზამთარი ბუნაგში აგდია. ახლოს რომ მიუახლოვდები, საზარლად ყარსო, გამიგონია. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ ვეფხიამ ადვილად გამოიცნო სახიფათო ნადირის სიახლოვე.

მე გამიტაცა მათმა უწყინარმა ბანაობამ. ლოდზე ჩამოვჯექი და სიამოვნებით ვუყურებდი. კიდევაც გადამაღიწყდა, რომ იქ, ქვემოთ, მეტისმეტად საშიში მხეცი იმყოფებოდა.

საფრთხე ვეფხიამ შემახსენა, მომვარდა და მკაცრად შემეყეფა. ალბათ, თუ მაგრძნობინებდა, აქაურობას გავეცალოთო.

ძაღლის ყეფამ მდინარემდე ჩააღწია. დათვი უმაღლვე საგუბარიდან ამოიჭრა და ზევით ამოგვხედა.

მე მაშინ მომაგონდა ირაკლი ბიძიას ნათქვამი, დათვი გონიერი ცხოველია, თოფს ცნობსო. მე არ მოვრიდებვიარ, რომ მას ჩემს ხელში თოფი დაენახა.

მოხდა უცნაური რამ. დათვი მტრული ბურღულუნით ისევ შეიჭრა საგუბარში, ამოჰყარა ბელები და ქვევით, ხევში, გარეკა. შეილები რომ აეჩქარებინა, ზოგჯერ ისე მძლავრად ამოჰკრავდა თათებს, რომ ბელებს ორ მეტრზე იქნევდა. ბელებიც გრძნობდნენ რაღაც საფრთხეს. ამიტომ იყო, რომ კისრისტეხიო გარბოდნენ.

მწყემსებთან იმ დროს მივედი, როცა მამია ტაფობში თავის ბედაურს ავარჯიშებდა. იგი შეჯიბრებისათვის ემზადებოდა.

სადილზე მათ მოვუყევი, რაც გზაზე ვნახე.

მამაჩემს სახე მოედრებოდა.

— მაგ ოხრების შიშით ნახირი ნებაზე ველარ მიგვიშვია.

— რამდენიმე დღით გამათავისუფლეთ, სადმე როგორ ვერ წავაწყდები, — აღვზნებით სთხოვა მამიამ.

— შენ ახალგაზრდობა გალაპარაკებს. დათვზე ნადირობა არც ისე ადვილია, მით უფრო უმეძებროდ.

ორი დღის შემდეგ ისევ გავხდი უცნაური შემთხვევის მოწამე.

ნაშუადღევი იყო. ფერდობებზე შეფენილი ნახირი უზრუნველად ძოვდა.

მთიდან მოულოდნელად დაგორებულმა ქვებმა ნახირი დააფრთხო. იქით გავიხედე. თხემზე ვეებერთელა დათვი დაბაჯბაჯობდა, ქვებს დაეძებდა და თავფერღზე ისროდა.

ეტყობოდა, დათვი ერთობოდა. იგი ისე დიდი ჩანდა, იფიქრებდით, ტყვია ვერაფერს დააკლებსო.

მამიამ თოფს დაავლო ხელი, მაგრამ მამაჩემმა არ გაუშვა.

— სანამ ამ მთას აირბენდე, ის ან გაიქცევა, ან დაღლილობისა და

აღელვებისაგან თოფს კარგად ვერ გამართავ. უმჯობესია, დღესვე მიიწვიო
დირეებს ვაცნობოთ.

მამაჩემმა თოფი აიღო და დასაფრთხობად ჰაერში ორჯერ გაისროლა.
დათვა ქვების დაგორებას თავი მიანება და განაწყენებული გაიქცა.

* * *

ავგისტოს თბილი, უნისლო დღეები დადგა, ტყეები ნაძვის ყვავილისა
და კეკას საამო სურნელით აივსო. ყოველ თავისუფალ დროს ტყეში შევ-
დიოდით, ხალიჩად გაფენილ წიწვებზე ვნებივრობდით და სურნელებით გაჟ-
ღენთილ სუფთა ჰაერით ვტკებოდით. განსაკუთრებით შემეყვარდა მთა, შე-
ვეთვისე მწყემსების რთულ და ძნელ ცხოვრებას. „ძნელს“ იმიტომ ვამ-
ბობ, რომ ყველა ადამიანს როდი შეუძლია აიტანოს ის, რაც მე ვნახე. მთა-
ში ბოლო არ უჩანს ბუნების ჭირვეულობას. გახედავ სივრცეს, ცა გადა-
სარკულია, ხეობა უნისლოა, არსიდან ნიავიც კი არ უბერავს. დაღლილ-
დაქანცული გადაწყვეტ ცოტათი თვალი მოატყუო, მწვანეზე ნაბადს გაშ-
ლი, ან ლოდს მიეყრდნობი და ჩასთვლემ... გამოიღვიძებ და რას ხედავ,
გარემო ნისლში შეცურებულა, არ იცი ნახირი გაიფანტა თუ ფერდობს არ
გასცილებია და ვერ გაიგებ მანამ, ვიდრე ნისლი არ აიკრიბება. ზოგჯერ
გზააბნეული ცხოველი შორს გადაიხვეწება, იგი შეიძლება მტაცებლის
მსხვერპლი გახდეს ან სხვა ჯოგს შეუერთდეს.

მთის ბუნებამ გააგებაც იცის. ისეთ სეტყვას წამოუშენს, დაბურუ-
ლი ნაძვის ხეც ვერ დაგფარავს. მაშინ კაკლისოდენა სეტყვისაგან შეწუ-
ხებული საქონელი უაზროდ გარბის, რასაც ხშირად უბედური შემთხვევა
მოსდევს. ამას დაუმატეთ მოხეტიალე ნადირი, რომელიც ჯოგს უთვალ-
თვალეებს და შემთხვევას ეძებს ჩამორჩენილი საქონელი დაიმართხელოს.

მთელ ამ სიძნელეებში არის თავისებური გატაცებაც, რაც სიხალისე-
სა და ძალ-ღონეს გმატებს. კოკისპირულ წვიმასა და თავფერდზე დაქანე-
ბულ ნიაღვრებთან ბრძოლაში, როცა ტაფობში საქონლის შექუჩებას
ვცდილობდით, რამდენჯერ წავუქცევიათ წყლის გაცოფებულ ნაკადს, სი-
ცივისაგან აცახცახებულს არც კი მეგონა ძალ-ღონე თუ მეყოფოდა კარ-
ვამდე მისასვლელად, მაგრამ როგორც კი შევებებოდი, ისევ ნახირთან
გავბოდი, ვიცოდით, რომ იქ უამინდობას ებრძოდნენ მამაჩემი, ირაკლი
ბიძია, მამია, გაგარი და სხვები, რომელთაც უფლება არ ჰქონდათ, თუნდაც
ერთი ხბო საფრთხეში დაეტოვებინათ.

ასეთ სიძნელეთა მიუხედავად, როცა მოულოდნელად მამაჩემმა გადა-
წყვიტა ჩემი გაგზავნა ბარში, სევდა მომერია.

ეს ასე მოხდა. ერთხელ მამაჩემმა ბახმაროზე ექიმთან წამიყვანა. ექიმ-
მა ყურადღებით გამსინჯა და თქვა, მთის ჰაერი საკმარისია, კარგი იქნება,
ცოტა ხნით ზღვაზეც თუ დაისვენებსო.

მამაჩემი ძლივს დავითანხმე, დოღის დამთავრებამდე დავეტოვენი.
უკან დაბრუნებისას მთიდან გაღმა მხარეს რომ გავხედე, საღაც ჩვე-
ნი ნახირი ძოვდა, გული უცნაურად ამიჩქოლდა. მზე ოქროსფერ სხივებს
უხვად აფრქვევდა მწვანით დაფარულ ფერდობს. იქაურობა ზღაპრულ ხა-
ლიას წაგავდა. მწვანე ფონზე მოჩანდა მუქი, რუხი, თეთრი, შავი, წი-
თელი ფერების გამა.

ნახირის შეგროვებას იწყებდნენ. მამია ტაფობში დააჯირითებდა ბე-
დაურს, ირაკლი ბიძიას მძლავრი ბარიტონი ტალღასავით აწყდებოდა სივრ-
ცეებს, ვეფხია ბორცვზე აჩქარებდა ჩამორჩენილ ძროხებს, გაგარი თავში
მოქცეოდა და ბილიკისაკენ ერეკებოდა დაწინაურებულებს.

მხიარულად შემეგებნენ, მაგრამ მოწყენილი რომ მნახეს, შემფოთე-
ბით შემომეხვივნენ. მათ სახეზე, თვით ვეფხიას გამომეტყველებაშიც
ვხედავდი, თუ რაოდენ ახლოს იყვნენ ჩემს გულთან, როგორ განიცდიდ-
ნენ ჩემს ყოველ ტკივილს.

— რაო, რა თქვა ექიმმა? — პასუხის მოლოდინში სუნთქვა შეკრულ-
ნი მომჩერებოდნენ.

მე მათთან განშორება მიჭირდა, მხოლოდ ეს იყო ჩემი მოწყენილ-
ობის მიზეზი.



შოთა რაყვა

ქ ა რ ბ ი ქ ა ც ი

შემოგხვდება, გაგახარებს, გულში ვარდის მარცვალია,
გინდა მასთან საუბარი — მას არასდროს არ სცალია.
იგი უნდა ხარაჩოზე ამომავალს შეხვდეს ცისკარს,
იგი უნდა დარაჯობდეს დახუნძლული ბალის ჭიშკარს.

რაც კი არის სანუკვარი, რა წალოცსაც არწევს ქარი,
ყველგან მისი მარჯვენაა, მისი კვალი, მისი მხარი...
ჩვენი მიწის მხენელ-მთესველი, მეფუტკრე თუ მევენახე,
მარჯანი და ოქრო ცვივა მის მოვლილს და ხელშენახებს.

გამრიგე და თვალშემყურე, საიმედო მეზობელი,
შებმულია ხარი ურემს, ისე გააქვს ეს სოფელი.
მუდამ ჩუმი, უჩინარი, თავისთავზე ამბობს განა?
მაგრამ ის რომ არ ზრუნავდეს, მოისრება ეს ქვეყანა!

შენ იხარე, შენ იცოცხლე, კაცო ხელებდამაშრულო,
შენ, სიკეთის დასაწყისო, ბოროტების დასასრულო!

მაგ მარჯვენის შემყურეა ჩვენი ბაღია, ანეული,
შენი მაღლი ჩვენს ღვინოში, ჩვენს პურშია გარეული...

წინათ, როცა ამ ზურმუხტებს დიდი რისხვა გადმოევლო,
ხმლით და გუთნით შენ იცავდი ჩვენს პატარა საქართველოს.

შენი სისხლი იქცეოდა, მამულს ჭირი შენ მოჰხადე.
შენს ფაცხაში ჩვენი მიწის არ გაზრდილა მოღალატე.

ციხე-ტაძრებს აშენებდი, რომ მტერს გული არ გაეპო,
მიწას ქვებით ამძიმებდი, რომ ქარიშხალს არ წაეღო.
დაგიკოცნი მაგ მარჯვენას, კაცო, გამრჯევ და მზრუნველო,
შენ სიკეთის დასაწყისო, ბოროტების დამორგუნველო!
ჩვენი ქვეყნის ცისარტყელას დედაბოძად ხარ შედგმული.
გაუმრავლდეს საქართველოს კარგი კაცი, კარგი გული!

✍

თეატრის რეჟისორი

ნ ე ზ ა ნ ტ ა

ლიას რახანია ეღვიძა, მაგრამ თვალებს არ ახელდა. ოდნავ გახსნილ წამწამებზეა აპარებდა მზერას მეგი დედისაკენ.

ო, რა ლამაზი იყო დედა მეგი ამ ახალ ჩინურ ხალათში, კალთაზე ამოქარგული ყვითელი ქრიზანტემით და ფრთაგამოღილი ჩიტით!

— ჩიტი, მიფრინავს! — უთხრა გუშინ ლიამ დედას.

— ჰო, მიფრინავს. ეს ჩიტი შენ ხარ, ყვითელი ქრიზანტემა კი განმორების ემბლემა! — მიუგო დედამ.

— დედიკო, რაა ემბლემა?! — ჩაეკითხა ლია.

— რაა, რაა? ყველაფერი გეცოდინება, დროზე ადრე ატირდები! — მიუგო მეგი დედამ.

„სხვანაირი გახდა, რად გამოიცვალა დედა მეგი?!“ — ფიქრობდა ლია და ყველაფერს იმ ახალ უცხოურ ავეჯს აბრაღის, მთელი ბინა რომ დაიკავა და დედა და ლია სამზარეულოში გამოასახლა.

— აჰ, აჰ, კერძის და ჩაის ორთქლისაგან პალიროვკა გაუფუჭდება, — თქვა დედა მეგიმ.

— მცხელა! — აჭირვეულდა ლია.

— სიცხე ძვალს არ აგატკივებს! — მოუჭრა დედამ ცივად. „არა, ყველაფერი ახალი უცხოური ავეჯის ბრაღია“, ფიქრობს ლია და იგონებს იმ ღრმა და რბილ სავარძლებს, საკომისიო მაღაზიაში რომ გავზავნა დედამ.

— ვინმე მეშინას ან სოფელას მოხიბლავსო, — გაიცინა. ო, როგორ უყვარდა ლიას იმ სავარძელში დედასთან ერთად ჯდომა, რა მყუდრო იყო! ახლა კი სასტუმრო ოთახი მუდამ გამოკეტილია.

— აჰ, აჰ, ავეჯი არ დაიფხაჭნოს! — შესთახა ერთხელ მეგიმ სტუმარს მისულ მეგობარს ტასოს.

— ავეჯია შენთვის, თუ შენ ხარ ავეჯისათვის? — გაიცინა ტასომ. ჰო, ყველაფერი სერვანტის, დივნისა და სავარძლების ბრალია და კიდევ „ინფანტასი“. ო, როგორ მოსწონდა ლიას ლამაზი „ინფანტა“! რა მშვენიერი კაბა აცვია, რა ყვავილები უმკობს ამაყ სახეს! საათობით შეეძლო ეცქირა იმ ნახატი გოგონასათვის ლიას, მაგრამ ერთხელ დედამ შეუხსწრო და კინწის კვრით გააგდო სამზარეულოში, როგორ თუ ფეხსაცმლებით შეხვეულ ოთახში, პარკეტი დაიფხაჭნებო.

— თვალები არ დაგიდგეს ინფანტას ცქერით, — დაგესლა დედამ სურათის დასათვალიერებლად მეორედ შესული ლია.

— როგორ დაუშვნივდი, იზრდები და უშვნივდები! — უთხრა იმ დღეს დედა მეგიმ ლიას.

— ცხვირი გეზრდება და გეზრდება, ბურატინოს შეგარქმევვენ სკოლაში! — დასცინა მეორედ. მეტი აღარაფერი უთქვამს, მაგრამ ლია მეგის ყოველ შეხედვაზე გრძნობდა, დედას არ მოსწონდა იგი.

ძალიან გამოიცვალა დედა მეგი. იმიტომ არ ახელს ლია თვალებს, თუმცა რახანია ღვიძავს.

რა ლამაზია მეგი დედა! ახლა ბროლის ლარნაკს რეცხავს, რბილი ტილოთი აკრიალებს, დიდხანს, ბეჯითად. მზეზე გახედავს. თვალმოშორებულად აკიაფდება ლარნაკი. დედა კმაყოფილია. უღიმის ლარნაკს. ლიამ იცის, რომ ლარნაკი ჩეხურია, რომ დედა ახლა იასამნის ტოტს ჩადებს შიგ და ინფანტას წაუღებს. ინფანტას მუდამ სურნელოვანი ყვავილებითა აქვს სავსე ლარნაკი.

„როგორ უყვარს მეგი დედას ინფანტა, ისე როგორც უწინ ლია უყვარდა, სანამ ინფანტას შეიძენდა“, ფიქრობდა ლია.

მეგი დედა გამოდის სასტუმრო ოთახიდან. სახე უღიმის. „არა, არა, ლია ცდება, არაფერი არ შეცვლილა. უწინდებურად უყვარს ლია მეგი დედას, აი ახლა მოეხვევა და აკოცებს, თუ კი ლია დაუძახებს“, ფიქრობს ლია, თვალებს ახელს და ეძახის:

— დედიკო, დედიკო!

— მე შენი დედა არა ვარ! — ისმის პასუხი.

— დედიკო ხარ, ჩემი ლამაზი დედიკო! — ყვირის ლია და კისკისებს.

— ვინ გითხრა, მე რომ დედა ვარ შენი?!

— ანო გადიამ!

— საბავშვო სახლში ყველა ბავშვს ასე ეუბნებიან, ვისაც აშვილებენ! — ამბობს მეგი და სამზარეულოში გადის.

ლია ჩუმად ტირის და იგონებს იმ დღეს, როცა გადია ანომ უთხრა დედამ მოგაკითხო. შემდეგ ლია დარბაზში შედის და ალტაცებით, თხევად ნახუქარ დედოფალს. შემდეგ ლამაზად ჩაცმულ ქალს ეუბნება:

— მადლობ, დედა! — და მიჰყვება.

— მეგი დედა, — უსწორებს მანდილოსანი.

— ბედნიერად.

— ბედნიერად! — ლოცავენ ლიას დირექტორი, აღმზრდელები, გადია ანო კი კვითინებს.

— ჩუ, რა გატირებს, დიდებულ ოჯახში მიდის! — ტუქსავენ ანოს აქეთ-იქიდან.

და ლია მართლაც გაბედნიერდა. იმდენ ხანს არასდროს უძინია ლიას. იმდენი ტკბილეული არასოდეს უჭამია ერთბაშად, იმდენი კაბები არასოდეს ჰქონია.

— დედოფალო, ჩემო პატარა დედოფალო! — შესძახდა ქალბატონი მეგი (ასე ეძახდნენ ლიას დედას მეზობლები) და თვალებს უკოცნიდა, თვალებს და ხელებს, ხელითაც ატარებდა.

— გამიშვი, დედიკო, განა პატარა ვარ! — ჭიკჭიკებდა ლია და ხელიდან უსხლტებოდა.

ბედნიერი იყო ლია, მხოლოდ გადია ანო ენატრებოდა. ერთხელ დაუურეკა ანომ ტელეფონით და ლიამ ელაპარაკა, კარგად ვარო, მხოლოდ პლასტელინი არა მაქვსო.

— აჰ, აჰ, როგორ შეიძლება ხელების ტუტყვნა? — შესძახა დედამ და ანოს სთხოვა აღარ დაერეკა. ასე უფრო იოლად გადაეჩვევა ბავშვიო.

ლიას ანოს ტირილი მოესმა. მოგეჩვენაო, უთხრა დედამ და ლიამ დაიჯერა. იმის შემდეგ თუმცა ორმა წელმა განვლო, არ დაავიწყდა გადია ანო. ახლაც მოაგონდა და უფრო მწარედ აქვითინდა. ჩუმად ტირიდა ლია, დედამ არ გაიგონოსო.

დედა სამზარეულოში ფუსფუსებდა, „აღბათ, საუზმეს ამზადებსო“, გაიფიქრა ლიამ, საწოლიდან ჩამოვიდა და სასტუმრო ოთახში შეიპარა. აქ ყველაფერი კრიალებდა. „ინფანტა“ ოქროს ჩარჩოდან ამყადა იცქირებოდა.

ჯერ ჭაღარა კაცის სურათთან მივიდა ლია.

— მამა! — უთხრა ჩურჩულით. პირველად კი ვინ არის ეს ბაბუაო, იკითხა.

— ბაბუა კი არა, ცოცხალი რომ ყოფილიყო, მამა იქნებოდა შენი! — უთხრა მეგი დედამ.

— ბაბუა! — ისევ თქვა ლიამ.

— ბაბუა იყო თუ არა, ჯიბე კი ჰქონდა სქელი, — გაიცინა მეგიმ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— სქელი? ჯიბე სქელი?! — აკისკისდა ლია. ძალიან სასაცილოდ ჩვენი სქელი ჯიბე. ახლა კი რატომღაც შევებრალა ლიას ჭალარა კაცი, ჩარჩოდან რომ უღიმოდა.

— მამა, ჩემო მამა, ხომ?! — უთხრა და ხელი გაიშვირა მისკენ, თითქოს მფარველობას, ხითქოს შეველას სთხოვდა იმას. შემდეგ უცებ მოიღრუბლა და „ინფანტას“ მივარდა. სკამზე შედგა. ჩამოიღო და გაავებით შესძახა:

— სულ შენი ბრალია. შენ ბოროტი გოგო ხარ. ჯუჯა ბიჭი შენთვის ცეკვავდა თურმე, შენ კი დასცინოდი. ახლა დედა დამცინის, შენ შეაძულე დედიკოს ჩემი თავი. შენ წამართვი მეგი დედიკო, შენ, შენ, ფინთო!

— ააა, ხელი არ ახლო, ხელი, შე საძაგელო! — დაიკივლა ამ დროს მეგიმ. ლიას სურათი ძირს დაუვარდა და ოქროს ჩარჩო გატყდა.

— მე კი გერიდებოდი პირდაპირ მეთქვა! მაშ, გაიგე, შენ უკანვე გაბრუნებ საბავშვო სახლში.

შუალამე გადასული იყო, ტელეფონმა რომ დარეკა მეგის ბინაში.

— ანო ვარ, გადია ანო. ბავშვი ძლიერ ცუდადაა. აბოდებს. სულ ინფანტას ბრალია, ინფანტა უყვარს, მე არ ვუყვარვარო. მობრძანდით, უთხარით, არ მიყვარს-თქო, დაამშვიდეთ.

— მერე ვინაა ის ინფანტა, იცით? — გაიცინა მეგიმ. — ნახატია, გოგონას ნახატი სურათი.

— ცოცხალი გოგონა ნახატს ანაცვალეთ?! — გაისმა ტელეფონში და პასუხს მწარე ქვეითინი მოჰყვა.



ლალ სიღიშვილი

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს

მე ვდგავარ შენი ცის სამრეკლოზე
და მთელი ძალით გიხმობ ზარებით...
მომართული ხარ მზით თუ ეკლებით —
მაინც ჩემი ხარ, არ მეზარები.
რომ უფრო გიგრძნო, მე არ ვთაკილობ
მოვარდნილ თქეში უქედოდ სიარულს.
შენს სამრეკლოზე თუნდაც დამეიდონ
ზარებად და შენს ცას მაზიარონ.
სამშობლოს ცაო, მე შენ წინაშე
ჯერ უზრუნველი ბავშვი ვარ მხოლოდ;
და ჩამახედე სიბრძნის წილში,
როგორ მოგწვდეს და რით გემსახურო.
და შენში რასაც ჰქვია სახელი,
რასაც ვერ უძლებს ჟანგი და წვიმა;
რა გააკეთეს მაინც ამხელა,
მასწავლე, როგორ ცხოვრობდნენ წინათ.
თორემ დროდადრო ფიქრები მიბჟრობს,
ვისაც მგულისხმობ, იქნებ არა ვარ,
მაშინ მიჩიე როგორი ვიყო,
რით დავშვენდები შენს დიდ ბალავარს.
ან სხვანაირად მაინც მითხარი,
როგორ შეგბედო და მოგეფერო —
ჩემო ტაო და ჩემო ხიხანო,
სამშობლოს ცაო და ყველაფერო...

და, როგორც ხედავ, მე შენ წინაშე
ჯერ უზრუნველი ბავშვი ვარ მხოლოდ;
გთხოვ, ჩამახედო სიბრძნის წიაღში,
როგორ მოგწვდეს და რით გემსახურო.

თეთრი ყვავილები

წელს გაზაფხული იყო ნაადრევი...
და პეპლებივით თავზე გვაყრიდა
ქარი ვეება თეთრი ჭადრების
გამტკნარებულ და ლამაზ ყვავილებს.

მერთალ და მოჭიქულ ციდან თუ თეთრი
ხის ტოტებიდან წვრილი ხელებით
დაქანდებოდა წვიმის ბრგე წვეთი
და წითელ მტვერში გაეხვეოდა.

ჰგავდა წითელი მიწა დიდ მაქმანს,
დაგვირისტებულს წვიმის თეთრ ხელით.
და სულში წვიმის პატარა ლაქა
სულს უბერავდა დაქანტულ სხეულს.

იმ დროს ფიქრები იყო ფოთოლი,
ჯერ არ დაცემული, შემერთალი ფეთქვით...
და ჩემს სხეულზე ეყარა თოვლი
შენი სხეულის თბილი და თეთრი.

და მე ვადიდებ იმ შემერთალ ფოთოლს,
მოწყვეტილს, მაგრამ ჯერ არ დაცემულს;
მთელი დამე რომ უსაზღვროდ მოთოვს
და დილით მოგგვრის ბრწყვიალა ცრემლებს.

ამგვარი იყო დრო ნაადრევი,
პეპლებივით რომ თავზე გვაყრიდა
ქარი ვეება თეთრი ჭადრების
გამტკნარებულ და ლამაზ ყვავილებს.

აქ ისეთი სიჩუმეა, სიმყუდროვე ისეთი...
 არა მიწიერი, რაღაც შორეული;
 საკუთარი სუნთქვა, შეზღუდული სივრცეთი,
 და კიდევ ვიღაცის სუნთქვა შერეული.
 აქ არის მხოლოდ წმინდა მოგონება.
 ასე გეგონება თიხაა მოგონება;
 თითქოს სამკაულები უცხო გოგონებმა
 მოიხსნეს ყელიდან და დარჩა მოგონებად.
 და მერე ვიღაცის სალამია მდაბიო;
 ჩუმი თვალებია, სულს რომ გამოფიტავს.
 ეს მოლაპარაკე არქეოლოგია —
 საფლავის ქვებში გვამცნობს სერაფიტას.
 რა მოკრძალებას და რა დუმილს იჩენს,
 ყოველ ქვას და თიხას ბაგეებით ვეხები.
 თუ აიტანენ ასეთ სიჩუმეს
 ისევ გამომწვარი თიხები.
 ჩამქრალ კერასთან აწყვია ქოთნები,
 ნანადირევი ირმის ბეჭები;
 ბატონის დაბრუნებას ელიან მოთმენით
 კერასთან ტერფების ანაბეჭდები.
 რა ისეთი სიჩუმეა, ისეთი სიმყუდროვე...
 ჩუმი თვალებია, სულს რომ გამოფიტავს,
 ამ თიხას ადროვეთ, ამ მტვერს ადროვეთ,
 ყველაფერ ამაშია ახლა სერაფიტა.



ინახა გერიძე

ორი გზა გვქონდა...

გახსოვს ზღვისპირას ლამაზი ოდა,
წლები ფიცის და წლები მღურების?
ჩვენ მაშინ თურმე ორი გზა გვქონდა —
სიხარულის და უბედურების.
მერე ცხოვრებას დაუხვდი მედგრად
და გაიმარჯვე ამ არადაწში —
შენ გზა პირველი გარგუნა ბედმა,
მე კი მეორის ამარა დავრჩი.
გქონდა, თუ გულით რამ გინატრია,
რისიც ოდესმე იყავ მსურველი
და შენს ნაკვალევს ახლაც ატყვია
მტლად მიგებული ვარდის სურნელი.
სხვა იყო ის გზა, მე რომ ვიარე
(მიკვირს, ცოცხალი როგორ გადავრჩი) —
ხან სევდიანი და მგლოვბიარე,
ხან ანთებული ლექსის ბადაწმით.
არ მიტაცებდა მე კალდერონი,
გოეთეს ცეცხლი მწვავდა სიყრმიდან
და იმთავითვე მღევდა ღემონი,
მაგრამ ეს სული ვერ შეისყიდა.
მე ცამდე მანძილს, როგორც აფთარი,
ვზომავდი, ვჭვრეტდი ღრუბელს ნამეხარს,
როცა მესმოდა ავი ხარხარი
და... გასაფრენად ფრთები არ მესხა.
ახლა თვით ვხედავ, ბედი მერევა

და უსარგებლო წლები მიდიან,
მაგრამ ეგ შენი ბედნიერება
განა ჩემს წვაზე უფრო დიდია?
განა გიხმობდა ხმა იდუმალი
ფერგატრეცილი გარიჟრაჟების,
ან გესეოდნენ მთანი მდუმარნი
ფიქრის, ოცნების და მირაჟების?
...გახსოვს, ზღვის პირას ცისფერი ოდა
და დაკრეფილი ლურჯი იები,
ნაზი სიცელქე ცის ფერიათა,
დაუცხრომელი წლები ძიების?
ჩვენ მაშინ თურმე — მერმისის მზვერავთ —
ორი გზა გვქონდა, ორივე მღელვარე:
შენ მიღწიე სიმდიდრის მწვერვალს,
მე — შეუცნობის მაღალ მწვერვალებს.

დ ი ს ო ნ ა ნ ს ე ბ ი

უკვე აისი მოადგა ქედებს,
უკვე სიცოცხლის სიმი დაირხა.
ო, შთაგონება, მე სანთლით გეძებ,
მე სანთლით გეძებ, ნეტავ საით ხარ?
მომნატრებია ისეთი ლექსი,
გულის სიღრმეში ფესვს რომ იტოვებს.
მე როდი ვკვნესი, მე როდი ვკვნესი —
ქარი აწვალებს ხეების რტოებს.
მომნატრებია მუხების ქროლვა,
პარნასზე ჩუმი ციალი მთვარის.
„მე ისევ მოვალ“,
„მე ისევ მოვალ“ —
ფეხის ხმაა თუ შრიანებს ქარი?
ეს მან მოგლიჯა ფოთოლი ტირიფა,
მიაფრიალებს ძლევის ემბლემას.
მე როდი ვტირი,
მე როდი ვტირი —
ხე იცრემლება.



ათაჲ ღოლიჲ

უკვე გვიანი იყო...

ივანე სახლში გვიან ღამით დაბრუნდა. დილით უხასიათოდ ადგა. თმა-
აბურძგნული და მკერდგაღეღილი გავიდა ეზოში. ფეხებში კუდბინძვერა
ძალი გაეხლართა და ლაქუცი დაუწყო.

— კარგა ხანია არ გვინადირია, ხომ? — ჩაიშუხლა ივანემ. — ხვალ
წავიდეთ. — უთხრა პირუტყვს, თავზე ხელი გადაუსვა, დაამთქნარა და სა-
მუშაოზე უხალისოდ წავიდა.

ფანჯარასთან გადმომდგარი შავგვრემანი ქალი ოთახში შებრუნდა და
სკამზე ჩამოკიდებული ახალი კოსტიუმი აიღო, კარადაში უნდოდა დაეკი-
და, მაგრამ გაშეშდა: კოსტიუმი ძლიერ დაჰმუჭუნული და ბეწვებით იყო გა-
გინგლული. შარვალს კი წითელი ტალახი ეცხო. სკამქვეშ ტალახიანი ფეხ-
საცმლები ეყარა.

„სად იყო ნეტავ წუხელ?.. სად ნახა ამდენი ტალახი?“ — სახე მოედ-
რუბლა ქალს.

ფეხსაცმლები ონკანთან დააწყო და ოთახში შებრუნდა.

ამხანაგის ნათქვამი მოაგონდა, ვილაც ქალთან დავინახეო, და ეჭვ-
მა გაუკენწლა გული.

ვინ არის ნეტავ ის ქალი?..

განა ვერ ვხედავ, რომ სულ გამოიცვალა? მე კარგი, მაგრამ შვილებ-
საც რომ არ იკარებს?..

აი თუნდაც გუშინ, მედიკო რომ აედევნა...

— სად მიდიხარ, მამიკო? — და მუხლებზე მაგრად მოუჭირა პაწია
ხელები.

— გადი, გაიწი იქით, ნუ დამსვარე, ნუ დამკმუჭნე. — სწრაფად იშორა პატარა და გზა განაგრძო.

— მეც წამიყვანე, მეც! შენთან მინდა! — არ მოეშვა გოგონა, — კამფეტები მიყიდე!

— გიყიდი, კარგი, გიყიდი. — ისეთი ხმით წარმოთქვა ივანემ, თითქოს კამფეტების ყიდვა ვიღაც გადამთიელს შეპირდა და გავიდა.

ბავშვმა ცრემლით სახსე თვალები გააყოლა მამას.

„მოვა თუ არა სამუშაოდან, ისაღილებს, ახალ ტანსაცმელს ჩაიცვამს და მიდის, ვინ იცის საით! ღამით გვიან ბრუნდება, შვილები დასანახავად ეზარება... ქალაქში დავდივარო. რა უნდა ყოველდღე ქალაქში? ნუთუ არაფერი აჩერებს ოჯახში?“ და ქალმა დათაღხულ ცას ახედა. ღრუბლები ქალის გულივით დამძიმებულობიყვნენ და ქალაქს თავზე ჩამოწოლოდნენ...

— შეიძლება გაწვიმდეს. მთელი წელია წვიმა ჩამოდის ოთახებში, ჭერი ჩამოლბა, სახურავის შესაკეთებლად კი დრო ვერ იშოვა.

ქალი ბავშვის ხმამ გამოაფხიზლა.

— დედიკო, ჩართე რადიო, ჩართე! ვარჯიში უნდა გავაკეთო. — ატიკტიკდა მედიკო.

— არ მუშაობს, გაფუჭებულია, შვილო!

— მამიკომ რომ თქვა, გავაკეთებინებო?

— არ ცალია და ვერ გააკეთა. ხვალ გააკეთებინებს.

— არ ცალია, საქმეზე მიდის, სულ არ ცალია. კი მარა, რატო არ ცალია? — გრძელი პერანგი აიკალთა გოგონამ და უკმაყოფილო გარეთ გავარდა ვარდებითა და ყვავილებით გადახვევრდებულ ეზოში.

ივანე სამუშაოდან დროზე დაბრუნდა, ისაღილა და ჩვეულებისამებრ წასასვლელად მზადება დაიწყო.

ქალი კერავდა, ვითომ ქმარს ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ როცა ივანემ გაუთოებული ცხვირსახოცი ყუთიდან ამოიღო, ველარ მოითმინა და შეეკითხა:

— საით, ივანე? რადიომიმღები ხომ არ მიგაქვს შესაკეთებლად?

— არა... დღეს არა... ხვალ გავაკეთებინებ... დღეს ქალაქში მივდივარ.

— რატომ?

— ივანეს სახე მოედრებლა. ნაძალადევად გაიღიმა და ცოლს წარბებქვემოდან გახედა.

— კრება მაქვს.

— გუშინ რად დაიგვიანე?

— ამხანაგებმა თავი მოვიყარეთ და ვმსჯელობდით, როგორ უნდა გა-

კეთდეს ტელევიზორის ანძა. ხედავ, როგორი მიღწევები გვაქვს ცხოვრებაში? — საქმიანი სახე მიიღო ივანემ, ოთახში გაიარ-გამოიარა. — კარგია ტელევიზორი, კარგი. კინოსა და თეატრში წასვლა ნაკლებად დაგვჭირდება, ყველაფერი სახლში გვექნება. შენ ახლა აღარ გეპატიუები კინოსა და თეატრში, ვიცი, ჯერ არ წახვალ, დედაზე ხარ მგლოვიარე.

დედის გახსენებაზე ქალს თვალები ცრემლით აევსო. როცა ცრემლი შეიმშრალა, ივანე უკვე იქ აღარ იყო.

— აი, თანაგრძნობა! — გათიქრა ქალმა, საკერავით ხელში გარეთ გამოვიდა და მეზობელთან გადავიდა. — დეიდა მარო, ასე ცხოვრება აღარ შემიძლია. — მორიდებით უთხრა ეზოში მოფუსფუსე ხანშიშესულ ქალს.

— რა იყო, შვილო, რამ გაგიცივა გული ცხოვრებაზე ახალგაზრდა ქალს? — წინსაფარზე ხელები შეიმშრალა კეთილმა ქალმა.

— ან მე არ ვარ ჭკუაზე, ან ჩემი ქმარი.

— ივანე?... ჰო... ყველაფერი ვიცი, შვილო! — თანაგრძნობით უთხრა ქალმა. — შენ მაინც მოთმინება გამართებს. იაროს, იაროს და მობეზრდება. ნუ დაუწყებ ბევრ ლაპარაკს. მაგნაირი გულის კაცს რაც უფრო შეუტევ, მით უფრო გაღიზიანდება. შენ წინანდებურად გაურეცხე, მოუკერე, ტკბილად დაელაპარაკე, არაფრად ჩააგდო მისი ხეტიალი. ვნახოთ ერთი, სანამდე ივლის. მოვა დრო და თვითონვე მიხვდება თავის დანაშაულს, შერცხვება.

— არა, დეიდა მარო, მეტი აღარ შემიძლია. გუშინ რომ გარეცხილი პერანგი ჩაიცვა, დღეს დაჭმუჭნული და ქიმიური პომადით გასვრილი მოიტანა. დღეის შემდეგ არც გავურეცხავ, არც სადილს გავუმზადებ და არც არაფრად ჩავთვლი. იყოს თავისთვის და მოიქცეს ისე, როგორც უნდოდეს. აღარც ფული მოაქვს სახლში, მისი შვილების ლუკმას ვიღაც ოხერს აჭმევს.

— დამშვიდდი, დამშვიდდი, შვილო! — რომ გირჩიე, ისე გააკეთე. ყველაფერი თავისით მოგვარდება. მოთმინება და დროა მაგის წამალი.

მეზობლის დარიგება ჭკუაში დაუჯდა, სახლში შებრუნდა და ვახშმის მზადება დაიწყო.

* * *

რაც დრო გადიოდა, მით უფრო შორდებოდა ივანე ოჯახს. მით უფრო აუტანელი და შორეული ხდებოდა იგი ცოლ-შვილისათვის. ერთ დღეს ცოლმა ვეღარ მოითმინა, კარებში შეაჩერა და უთხრა:

— დღეს სადღა მიდიხარ?

— საყვარელთან! — არ დაფარა ივანემ.

— როგორ?! — განცვიფრდა ქალი. — სად მიდიხარ?

— როგორც გაიგონე. საყვარელთან...

გაკვირვებულმა ქალმა უტიფრად მოლაპარაკე ქმარი თავიდან ფეხად დე შეათვალიერა.

— ივანე, მე კარგი, მარა... შვილები?... ოჯახი?... შვილები არ გეცოდება?! გონს მოდი... ეშმაკს ნუ გადაეკიდე. ახლა უნდა შენი სიტბო და სიყვარული პატარებს.

— უკვე გვიანია... მე იგი მომწონს... მიყვარს... შესანიშნავი ადამიანია!.. იცი, რა შემოსავალი აქვს? ექიმია.

— ერთი ამას დამიხედე! — თვალებიდან ნაპერწკლები გადმოაფრქვია ქალმა. — არ გაპატიებ... არაფრის გულისათვის არ გაპატიებ... ჩვენი ბავშვების გულისათვის არ გაპატიებ...

— რას იზამ? — გესლიანად მოჭუტა წვრილი, ჭროლა თვალები.

— მაშინ ნახავ. ეს ქვეყანა ჩალით დახურული არ არის. კანონი და სამართალი არსებობს.

— მაშინებ?

— შიში რა შუაშია? ჯერ ერთი, ადამიანს სინდის-ნამუსი უნდა აკავებდეს... მეორე, სამართალი არსებობს-მეთქი და...

— ჩემს სინდისს თავისუფლება მივეცი, როგორც უნდა, ისე იმოქმედოს. რას მიქვიან კარჩაქეტილობა! სულის ტანჯვაა და მეტი არაფერი. აღარ მიყვარხარ!.. არც თქვენი სამართალი მწამს...

— აღარ გიყვარვარ?... არც სამართალი გწამს? — ნაძალადევად გაიღიმა ქალმა. — აღარც შვილები გიყვარს?

— არა... გყავდეს, ხომ არ გართმევ?! — ისე გულწრფელად თქვა, თითქოს თავის ბავშვებს კი არა, უბრალო ნივთს ტოვებდა.

თბილი, მზიანი საღამო იყო. სუსტი ზღვაური მაგნოლიებს ოდნავ აშრილვებდა.

ჩვილი აკვანში ტიროდა, ცისფერთვალება გოგონა კი ეზოში გამოღვებულ კარადას, ჩემოდნებსა და ქვეშაგებს გარს უტრიალებდა.

— არაფერი დაგვრჩეს, დედიკო! — საქმიანად ფუსფუსებდა.

ამ დროს მოშვებული ნაბიჯით ეზოში ივანე შემობარბაცდა.

სახგანაწამები ქალი ერთდროულად აკანსაც არწევდა და ჩემოდანში თეთრეულსაც ალაგებდა.

— რა გატირებს, აბა რა გატირებს? — ეფერებოდა მედიკო პატარას. — არ დაგტოვებთ, თან წაგიყვანთ, თან წაგიყვანთ! გაჩუმდი, თორემ ბაბაიკა მოვა და წაგიყვანს. არ გეშინია? — ტიტინებდა გოგონა.

ჩვილი თავისას არ იშლიდა, ტიროდა და ტიროდა, თითქოს ენანებოდა მამისეული კუთხის მიტოვება.

— მიდიხარ? — ცივად დაეკითხა ივანე ცოლს და სახეზე ხოცვებს
წვალემა დაუწყო.

— დიახ! მივდივარ...

— მიდიხარ, ხომ? ჰმ... წადი, რაკი ასე გირჩევენია!

— მეც წავიდე, პაპუჩია? — გაბედა გოგონამ.

— წადი. შენც წადი... დედაშენთან ჯობია ყოფნა...

— ბაიეც წავიყვანოთ?

— წაიყვანეთ.

— კი მარა, სად წავიდეო, პაპუჩი? — აღერსიანი ცისფერი თვალებით ახედა მამას და მოეხვია.

ივანემ ქორის თვალებით დახედა ბავშვს, შემდეგ სახეზე ეარდისფერმა გადაურბინა, დაიხარა და ხელში აიყვანა. თმები გადაუწია, შუბლზე აკოცა და უთხრა: — არ ვიცი, შვილო! — ცრემლებით აემღვრა თვალები. — წადი... წადით... მე მარტო დავრჩები.

ბავშვმა იყუჩა, შემდეგ პაწია ხელებით სახე დაუჭირა და კითხა:

— პაპუჩი, მართლა? არც დედიკო გინდა და არც მე გინდივარ?

— არა, შვილო, არა! მინდიხართ, მარა წადით... წადით... — სიტყვა ბურთივით გაეჩარა ყელში.

* * *

ბევრი აღარ უფიქრია ივანეს. გაუშვა ერთი, მოიყვანა მეორე.

ახალი მეუღლე თავს ბედნიერად გრძნობდა.

„ქმარი მყავს, — ფიქრობდა იგი. — ვინ იცის, იქნებ, შვილიც მეყოლოს. ჩვენი მეზობელი ვარვარა ორმოცდახუთი წლისა იყო, შვილი რომ შეეძინა. მეტის არც მე ვარ. ყოჩად შენ! — შეაქო თავისი თავი და სარკის წინ შეტრიალდა. — აბა, ვინ იტყვის ჩემზე, რომ ამდენი ხნისა ვარ?“

რამდენი გამოვიცვალე, რამდენი? თუმცა სიყვარულით არც ერთი მყვარებია... სიყვარული? სიყვარული ზღაპარია, დღეს არ არსებობს სიყვარული... მხოლოდ ცხოვრების უნარი უნდა გქონდეს და...

მაინც საოცრად ხარბი აღმოჩნდა ივანე. მაწანა შევბირდი და ცოლ-შვილზეც კი აიღო ხელი. ალბათ, სიყვარულიც ჰქონდა ჩემი, თორემ...

ძალიანაც რომ მოინდომოს, ახლა ვერსად გამეჭევვა. ორ წელიწადს სულ რესტორანებში ვატარე. ახლა ნუთუ სინდისი მისცემს იმის უფლებას, მიმატოვოს, უარი მითხრას? მაშინ ნამდვილად უნამუსო იქნება.

თვალს რომ დახუჭავს, მიცვალებულს ჰგავს, მაგრამ მაინც მომწონს, მაინც არის რაღაც მასში. თუმცა რა მოსაწონია შუაზე გაწყვეტილი სქელი წარბები, გვერდზე მოქცეული ცხვირი. თუმცა უნაკლო არც მე ვარ, მაგრამ სხვის ნაკლზე ადამიანი მეტს ლაპარაკობს, ვიდრე თავისაზე. ყო-

გელივე ეს მომწონს, მე ქმარი მინდა და... იგი ჩემი ქმარია... ხალხი ალა-
მიანის მოტყუება ადვილი საქმე ყოფილა.

ოო! — არა, არა!.. მაგ კაცთან ფრთხილად უნდა ვიყო, შეიძლება ფუ-
ლის სიხარბით ერთ მშვენიერ ღამეს ყელიც კი გამოიმჭრას, მაგრამ არა,
არა! მას ხომ ვუყვარვარ, ხომ მითხრა, ნახევარჯერ არ მძინავს, უშენოდ
ცხოვრება არ შემიძლია, ნამდვილად ჭლექი გამიჩნდებაო?!

ნეტავ, მე ვუყვარვარ თუ ფულები?

დედა ხშირად მეტყოდა ხოლმე, „შენ ისე გაიტყეხე სახელი, შვილო,
არც ერთი პატიოსანი მამაკაცი არ გენდობაო. საბრალო დედაჩემს ქვეყ-
ნის დამაქცევარი ვგონივარ. აბა რა ვქნა, სხვაგვარად თუ არ გამოდის?
დედაჩემო, ფული უნდა დამახმარო... ფული... ფული!“

ნამძინარევი ივანე ფანჯარასთან მივიდა და ფარდები ასწია.

— შუადღისას ამდენი ძილი გაგონილა? — უსაყვედურა ქალმა.

— არა უშავს, — ხელი ჩაიქნია ივანემ. — ერთი ეს მითხარი, ბოლოს
და ბოლოს, მიყიდი თუ არა მანქანას?

— მანქანას?! რა ვიცი... განა ეს აუცილებელია?

— როგორ? პირობას უარყოფ?! — წამოიწია ივანე.

— დაწყნარდი, ყველაფერი იქნება! — ხმა შეიცვალა ქალმა.

— როდის იქნება? — გაცხარდა ივანე.

ქალს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რაღაც უნდა დაჯდომოდა, მანქა-
ნა უნდა ეყიდა, მაგრამ როგორ? ფული ჰქონდა, მაგრამ არ ყოფნიდა. კი-
დეც ესაჭიროებოდა. დედა დამიმატებსო ფიქრობდა, მაგრამ მან სასტიკი
უარი უთხრა, „შენ პაწიების ცოდო დაიდე, მამა წაართვი, ოჯახი დაშალე,
ჩემგან ნურაფერს ელიო.“

მაშინ უნამუსო ქალმა ოჯახი გაქურდა და ნაქურდალით მანქანა შეი-
ძინა.

ეზოში რომ მანქანა დაინახა, ივანეს შუბლი გაეხსნა, თავი მილიონე-
რად წარმოიდგინა, გაიბღინძა და გაიბერა.

დააქროლებდა მანქანას და თავი მოსწონდა, რომ ფულიც ბევრი ჰქონ-
და, რომ ექიმი ცოლი ჰყავდა, მაგრამ როგორი ექიმი?

„პატიოსანი რომ ყოფილიყო, — გაიფიქრებდა ხანდახან, — ცოლ-
შვილს დამატოვებინებდა? რამდენჯერ გავიგონე, ცუდი წარსულის ქალიაო.
ისიც კი მითხრეს, ახლაც სხვაზე გცვლისო. არა, არა, ეს არ იქნება სწორი,
არა!“

* * *

— კარგი საღამოა, გავისეირნოთ, ივანე! — უთხრა ცოლმა და პასუხს
არ დაუცადა, მზადება დაიწყო.

— გავისეირნოთ! — დაეთანხმა ივანე.

ამ დროს მეზობლის გოგონა მოადგა ჭიშკარს.

— ბიძია ივანე, ბავშვი ყოფილა ავად.

— ბავშვი? რომელი?

— უფროსი.

— მერე რაო, შემოთვალა რამე?

— არაფერი, იცოდეს, რომ ავად არისო.

— რითია ავად, ნეტავი? — ფერი ეცვალა ივანეს.

— რა ვიცი. — მხრები აიჩიხა გოგონამ.

„ჩემი ცისფერთვალეზა, ჩემი თმახუჭუჭა, ჩემი ლამაზი გოგო! როგორ შენატრები, შვილო! ალბათ, შენც გენატრები! ჩვენ ხომ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი?“ — გაკენწლა სხეულში ტკივილმა.

ისე მწვავედ იგრძნო შვილის სიყვარული, მისი სიშორე, რომ მზად იყო დაეყვირა, აგერ ვარ, მამიკო! ნუ გეშინია, მოგარჩენო...

ოო... რა ცუდად მოეწყო ჩემი ცხოვრება?!

„მოღალატე ხარ, მოღალატე, შვილები უნამუსო ქალის ფულსა და ქონებაზე გაყიდე!“ საიდანლაც ჩაესმა ივანეს საზარელი ხმა.

— ივანე, გავისეირნოთ! — შეახსენა ქალმა.

— არა.

— რატომ?

— არაფერი სხვა არ მინდა, მხოლოდ ჩემი მერცხლების ჭიკჭიკი მენატრება!

— ჩაჯექი მანქანაში, შეგხედო ერთი, როგორ დააქროლებ მანქანას! მერცხლების ჭიკჭიკს მოესწრები. ჩვენც მალე გვეყოლება მერცხალი...

— სულელი! — წამოიძახა ივანემ.

— ეს მე ვარ სულელი?!

„რა ძნელი ყოფილა ცოცხლად შვილების დაკარგვა?! იცი, რომ ისინი არასოდეს დაგიბრუნდებიან, იცი, რომ ვერასოდეს მიუაღერსებ, ვეღარ ჩაიკრავ გულში წინანდებურად. იცი, რომ შენ ჭერქვეშ არასოდეს განმეორდება მათი ჭიკჭიკი“, ფიქრობდა ივანე.

„ჭიშკართან დარაჯად მედგა. დამინახვდა თუ არა სამუშაოდან მომავალს, ხელებგაშლილი გამოექანებოდა ჩემკენ. კრიალა, ცისფერ თვალებს შემომმანათებდა და მკერდში ჩამეკვრებოდა. შემდეგ პაწია ხელებს სახეზე მომიცაცუნებდა. განა ამაზე მეტი თბილი და ტკბილი არის სხვა რაიმე გრძნობა?..“

ვერ დაგივიწყებთ, ვერა, შვილებო!“

— არ წავიდეთ, ივანე? — გაუმეორა ქალმა.

დაღამდა.

ნისლი ჩამოწვა ქალაქში.

ქუჩაში ელნათურები აციმციმდნენ.

მანქანა ნელა კეცავდა გზას. ხმას არ იღებდა არც ერთი.

„შვილის სიყვარული ყველაზე მაღალი და სათუთი გრძნობა ყოფილა. ახლა ავად არის ჩემი კისკისა გოგო. მე კი, მისი მამა, ვილაც ქალს დავატარებ მანქანით, რომ დრო გავატარებინო. ვინ იცის... იქნებ, სასწრაფო დახმარება ესაჭიროება ჩემს მედიკოს, მე, მე კი?..

ოოხ!.. ღმერთო ჩემო! არაფერი არ მინდა, არა, ჩემი შვილის მეტი! ნუთუ, არ გესმით?! ნუთუ ვერ ხვდებით?! — და ივანემ უნებურად ფეხი მუხრუჭებს დააჭირა. — მეჯავრება ეს მანქანა, ქალიც მეზიზღება. მეგონა კი მიყვარდა! გველივით მიზის გვერდით. ვცდებოდი თურმე!“ — გაიფიქრა და წარბებქვემოდან გახედა ცოლს.

— ძალიან გავცდით ქალაქს, დავბრუნდეთ! — უთხრა ქალმა და მამაკაცის მკლავი ორივე ხელით ჩაბღუჯა.

ივანემ სიჩქარეს მოუმატა. ფანჯარაში ხედავს, როგორ სძინავს მის ლამაზ, თმახუჭუჭა გოგონას, სიცხისაგან თეთრი ლოყები როგორ დასწითლებია, პაწია ხელები როგორ ამოუწყვეია საბნიდან. აი, მამის ფეხის ხმა გაიგონა, იგრძნო მისი მოსვლა. ამღვრეული თვალები გაახილა.

— პაპუჩია!.. — სუსტი ხმით წარმოთქვა და ხელები გაშალა, უნდა მამას ყელზე მოეხვიოს, გულში ჩაიკრას.

— შვილო! — წამოიძახა მამამ და საჭეს ხელი გაუშვა.

ყველაფერი აირია.

— ივანე! — სასოწარკვეთილად დაიკივლა ქალმა და მანქანის კარებზე გამოაღო, მაგრამ უკვე გვიანი იყო.



ოლეს იზანკო

* * *

მოდო, ეგ თავი დამადე მკერდზე.
დახარე თავი. ნუ შიშობ, მენდე.

ვინ გაგვიბედავს, გათიშვის ვაშლი
ახაროს ჩვენი ტრფიალის ბაღში?

ვინ შეძლებს ტრფობას მოუღოს ბოლო?
მე შენ მიყვარხარ, შენ ერთი მხოლოდ!

მოდო, ეგ თავი დამადე მკერდზე.
დაე, საეჭვოდ ილიმონ ჩვენზე.

იქნება, ვინმე წლებს მოიგონებს,
რომ ნახავს შენი ტუჩების თონეს.

იქნება, ზოგს გული მით დაეჭვალა,
რომ ვერ უგრძნია ტრფიალის ძალა.

დახარე თავი. ნუ შიშობ — კმარა.
ძვირფასო ჩემო, შენ გეტრფი მარად!

ბ ი ლ ი კ ი

აი, ის! პსოლის ნაპირზე გარბის,
ზედ ტეგანია, პიტნა და ბარდიც.

ახედავ ზევით — კრიალა ცაა,
დახედავ ქვევით — ბილიკი გზაა,

ბილიკი ცელქი, რომ ხტის და როკავს,
ბილიკი ცელქი, ყრმის სიზმარს რომ ჰგავს...

აი, ის! პსოლის ნაპირზე გარბის,
ხალხს მოუტანა ბედიც და ვარდიც.
ა იმ ბილიკით ის დადიოდა,
ვინც უკრაინის ვარამს ჩიოდა,
ვინც მის სიყვარულს აგუზგუზებდა
და ვისაც მისთვის გული უძგერდა,
გული, ნილოვნას მზე რომ აჩუქა,
გული, დანკოს გზა რომ გააშუქა...
ის შევერდენი უშიშრად ფრენდა
და ხალხს იმ გულით სინათლეს ფენდა!

ოქანეს შიკაზი

* * *

ძველ სამყაროს მე არ ვიცნობ,	და სიკვდილი მიშვერს
არც ტკივილი ვიცი მისი, —	ბრტყალებს.
იმის ხსოვნით რად ავივსო,	ძველ სამყაროს მე არ ვიცნობ,
რასაც ადევს ბინდი, ნისლი!	არც ტკივილი ვიცი მისი,
მაგრამ როცა დედას ვუცქერ,	მაგრამ დედას საამისოდ
თმაჭაღარა დედის თვალებს,	ბრმა გულებში უდგას ნისლი.
თვალწინ ის დრო დგება უცებ	

ჟ რ მ ლ ბ ა

მე დედის მზრუნველ
კალთაში ვწევარ.
აყრუებს ღრუბელს
ტირიფის რწევა.
წყარო ჩქეფს მხნე და
სიამით სავსე.
აღერსით დედა
ხელს მისვამს თავზე:

„სჯობს იყო რუ და
სუფთა, კრიალა,
ვიდრე ურგები
ტირიფის ჭალა“.
ჩავეკარ ცხოვლად
და უხმაუროდ!
„წყაროვ, სიცოცხლე
და სიხარულო!“

თარგმნა ნესტორ მაღაზონიამ.





ალექსანდრე ჩხაიძე

მედი ღლე კოსმონავთებთან

იმ საღამოს სერგო აღამიასთან მოვიყვარეთ თავი. მეორე დღეს კვირა იყო და ქუთაისში ვაპირებდით გამგზავრებას ფეხბურთის მატჩზე. ეზოში ვიჯექით. სერგო თავის „პობედას“ ჩაჰკირკიტებდა, შორეული რეისისათვის ამზადებდა. საუბარი, რა თქმა უნდა, ხვალისდელი ფეხბურთის გარშემო ტრიალებდა. იმავე დღეს თბილისის „დინამოც“ თამაშობდა ზოგიერთმა ჩვენგანმა ქუთაისში მატჩის ნახვას თბილისიდან რეპორტაჟის მოსმენა ამჯობინა. ახრი ორად გაიყო.

გამოსავალი ისევ მასპინძელმა გამოიწვია:

— მოდი, თამაშიც ვნახოთ და რეპორტაჟიც მოვისმინოთ თბილისიდან.

— როგორ, — გავიკვირვეთ, — თამაში ქუთაისშიც და თბილისშიც ერთდროულად იწყება!

— როგორ და... — სერგო ერთი წუთით სახლში შევიდა და იქიდან მომტრო წითელი კოლოფი გამოიტანა. ტრანზისტორულ რადიომიმღებს ჰგავდა. — ამით თბილისს კი არა, პარიზს დავიკვირებ.

ვიღაცამ რადიომიმღები ჩამოართვა. ტელში შეატრიალა, შემდეგ ჩართო. გა-

ისმა მუსიკა და... უცებ გოცების შემახილი:

— ბიჭოს!

ყველამ მივუხედეთ.

— შეხედეთ ერთი! — გამოგვიწოდა რადიომიმღები.

გამოვართვით და ლითონის თეთრ ფირფიტაზე ამოკვეთილი სიტყვები ამოვიკითხეთ: „ზაურ აღამიას გერმანე ტიტოვისაგან“.

გოცებულნი სერგოს მივაჩერდით. მან გაიღიმა:

— ზაური ჩემი უმცროსი ძმაა. ახლახან დაბრუნდა არმიიდან. გერმანე ტიტოვის მანქანაზე მსახურობდა მძღოლად. ზაურ! — გასძახა მან ძმას.

კარებში ტანმაღალი, სანდომიანი სახის თმახუჭუჭა ახალგაზრდა გამოჩნდა. გავიცანით. გამოველაპარაკეთ. ზაური ძუნწად მოგვითხრობდა კოსმონავთების ამბებს. რომ აღარ ჩამოვეთხოვეთ, ადგა, სახლში შევიდა, იქიდან წიგნებისა და ფოტოსურათების დასტა გამოიტანა და მოკლედ თქვა:

— აგერ აქ ყველაფერია ნათქვამი.

ვათვალეირებთ ამ ნივთებს. ფოტოები-

დან შემოგვცქერიან ჩვენი სახელოვანი კოსმონავტები — იური გაგარინი, გერმანე ტიტოვი, ანდრიან ნიკოლაევი, პავლე პოპოვიჩი. ეს წიგნებიც, რომელთა ავტორები თვითონ არიან, მათს ლეგენდარულ რეისებზე, კოსმოსის დაპყრობის ისტორიულ დღეებზე მოგვითხრობენ. არაჩვეულებრივი თითქოს არაფერი იყო ამ ნივთებში, მათ ყველა მაღაზიის თაროზე, ყველა კიოსკში შეხედებოდათ. მაგრამ ეს ერთი შეხედვით. ისევე როგორც რადიომიმღებს, ამ ფოტოებს და წიგნებს ამშვენებდნენ სამასსოგრო წარწერები. „კოსმონავტი-2“ თავის წიგნებზე „700.000 კილომეტრი კოსმოსში“ და „ჩვიდმეტი კოსმოსური განთიადი“ წაუწერია: „ზაურ ადამიას. „აღმოსავლეთ-2-ის“ გაფრენისა და ერთად სამსახურის მოსაგონრად. გერმანე ტიტოვი, 14 მაისი, 1962 წ.“. აი, კიდევ ერთი წიგნი — „ორნი კოსმოსში“, რომლის ყდაზე გამოსახულია კოსმონავტები — ანდრიან ნიკოლაევი და პავლე პოპოვიჩი. ეს წიგნიც სამასსოგრო წარწერით მიუძღვნიათ ციურ ძმებს ბათუმელი ქაბუკისათვის.

ფოტოებზეც ასეთივე ავტოგრაფები და ეს წარწერები თავისთავად მიტყველებენ ყველაფერზე, მაგრამ ზოგჯერ ზაური მაინც ჩაუტრთავს ხოლმე მოკლედ ზოგიერთი ფოტოსურათის ისტორიას.

— პავლე პოპოვიჩი შესანიშნავი კოსმონავტი და საპაერო ხომაღლების მართვაში ბადალი არა ჰყავს. მაგრამ ავტომანქანის საჭესთან უფრო უხერხულად გრძნობდა თავს, ვიდრე კოსმოსში, და თავისუფალ დროს ჩემგან იღებდა შოფრობის გაკვეთილებს. ეს ფოტოსურათიც მაშინ მაჩუქა. — ზაურმა დასტიდან ერთი ფოტო ამოიღო, რომელზეც სკაფანდრის მინის იქით მოღიძირი პავლე პოპოვიჩი მოჩანდა, ქვემოთ კი მისივე მინაწერი იყო: „სახსოვრად ზაურ ადამიას „ახალგაზრდა შოფრისაგან“ მისი ცოდნისადმი პატივისცემის ნიშნად“.

ერთ ფოტოზე ზაურ ადამია გადაღებულია მსოფლიოს პირველ კოსმონავტ

იური გაგარინთან ერთად. მეორე ფოტოზე სახელოვან კოსმონავტს მიუწერია: „ზაურ ამბროსის-ძე ადამიას. ერთად სამსახურის მოსაგონრად. პატივისცემით ი. გაგარინი, 16/II, 62 წ.“.

ამ ნივთებმა კიდევ უფრო გააღვივა ჩვენი ცნობისმოყვარეობა. დაინტერესდით, საიდან, როგორ მოხვდა ბათუმელი ქაბუკი კოსმონავტებთან. აღარ მოეშვეით და ზაურმაც მოკლედ გვიამბო.

...თვრამეტი წლისა იყო, თანატოლებთან ერთად არმიაში რომ გაიწვიეს. მანამდე შოფრად მუშაობდა ბათუმის ერთ-ერთ სატრანსპორტო კონტორაში. სამხედრო სამსახურს საავიაციო ნაწილში გადიოდა. იქაც საჭეს უჯდა. ენერგიულად უძღვებოდა საქმეს. მრავალჯერ დაიმსახურა მაღლობა.

ერთხელ სამხედრო გაზეთმა ნარკვევო დაბეჭდა ზაურ ადამიაზე. მისი ფოტოსურათიც გამოაქვეყნა. შეიძლება გაზეთის ის ნომერი ედო წინ შენაერთის მეთაურს, როცა მოსკოვიდან დეგეშა მოვიდა, სასწრაფოდ გამოაგზავნეთ ჩვენს განკარგულებაში ერთი მცოდნე, გამოცდილი და ჯანმრთელი შოფერიო.

არჩევანი ზაურ ადამიაზე შეჩერდა.

— სიმართლე გითხრათ, — იღიშება ზაური, — მაშინ, მაინცა და მაინც, არ მესიამოვნა შტაბში რომ გამომძახეს და ეს ამბავი მაცნობეს. წელიწადი და ოთხი თვე მქონდა ნამსახური. შეჩვეული ვიყავი ჩემს ნაწილს, მყავდა მეგობრები, მეტაურები მაფასებდნენ. მაგრამ, მოგვხსენებათ, არმიაში სხვა წესებია და მეც უნდა დავმორჩილებოდი ბრძანებას. აბა რა ვიცოდი ვისთან შემახვედრებდა ბელი! შტაბში მხოლოდ მისამართი და სამხედრო ნაწილის ნომერი მომცეს.

ზაური მითითებულ საავიაციო ნაწილში გამოცხადდა. შტაბში გულდასმით ესაუბრნენ, ყველაფერი დაწვრილებით გამოკითხეს და შემდეგ ავტოპარკში გაგზავნეს.

ნაწილის ავტოსამსახურის უფროსიც დიდხანს ესაუბრა ახალ მძღოლს და, რო-

გორც ჩანს, კმაყოფილი დარჩა. შემდეგ ავტოგრაფიონობა დათვალა იერებინა. ჯერ „ვაზ-69“ აჩვენა და უთხრა, „შოფრები მორიგეობით იმუშავებთ ამ მანქანაზეო, მერე შავად მზონავ ახალთახალ „ვოლგასთან“ მიმიყვანა.

— ეს „ვოლგა“ კი პირადად შენზე იქნება გაპროგნეზებული.

„ალბათ, გენერალი უნდა ეატარო“, — გაიფიქრა ზაურმა, მაგრამ რადგან ავტოსამსახურის უფროსი კვლავ არაფერს ამბობდა, თვითონ კითხა: — ამხანაგო კაპიტანო, ვინ უნდა ეატარო ამ მანქანით?

— გერმანე ტიტოვი, — ისე უბრალოდ მიუგო უფროსმა, რომ ზაურს მღელვარებისაგან ყელი გაუშრა. ხომ არ მომეყურაო, შეეჭვდა და ხელმოკრედ შეეკითხა:

— ვინ, ამხანაგო კაპიტანო?

— მაიორი გერმანე ტიტოვი.

— რომელი?! თვითონ ის?!

— დიახ, — გაიღიმა კაპიტანმა, — თვითონ ის, მფრინავი-კოსმონავტი, საბჭოთა კავშირის გმირი მაიორი გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვი.

ავტოსამსახურის უფროსმა გასაღები გადასცა ადამიას. მიხვდა, ჯარისკაცი ახლა მხოლოდ ამ მანქანის პატრონთან შეხვედრაზე ფიქრობდა და უთხრა:

— გერმანე სტეფანეს-ძე ამჟამად საზღვარგარეთაა. მალე ჩამოვა. აბა შენ იცი, როგორ დაახვედრებ მანქანას.

ზაური საჭეს მიუჯდა, მორტორი ჩართო და შეუდგა საქმეს. მანქანა საათივით იყო აწყობილი, არაფერი აკლდა, საუცხოოდ მუშაობდა, მაგრამ მაინც ყველაფერი გულდასმით შეამოწმა. ხუმრობა ხომ არ იყო, ამ მანქანით ხომ თვითონ გერმანე ტიტოვი უნდა ეტარებინა.

სალამოდვე სხვა შოფრები და მექანიკოსები გაიცნო. შოფრები, საერთოდ, სწრაფად უახლოვდებიან ერთმანეთს. ყველაზე უფრო მაინც იური მუხინს შეეთვისა. მუხინი კარგა ხანია მსახურობდა ამ ნაწილში, ატარებდა იური გაგარინს, გერმანე ტიტოვს, სხვა კოს-

მონავტებს. მის თვალწინ ემზადებოდნენ ისინი კოსმოსის დასაპყრობად, აქედან გააცილა კოსმოდრომისაკენ „კოსმონავტი-1“ და „კოსმონავტი-2“, რომელთა სახელები მალე შეიტყო მთელმა მსოფლიომ.

ბევრი საინტერესო რამ მოუთხრო იური მუხინმა ახალ შოფერს. შფოთიანი ძილი ჰქონდა ზაურ ადამიას იმ ღამით. მომავალ შეხვედრაზე ფიქრობდა მღელვარებით.

მეორე დღით, კვლავ მანქანას რომ დატრიალებდა, იური მუხინმა ჩაულაპარაკა:

— შეხედე, გაგარინი მოდის.

გაგარინი ავტოსამსახურის უფროსთან ერთად მოაზიგებდა ნაძვების ხეივანში. გორბუთნოვი რაღაცას ჰყვებოდა. გაგარინი იცინოდა და ახლა იგი ძალიან უბრალოდ და ჩვეულებრივად იყო, მით უმეტეს, რომ მკერდზე არ ეკეთა არც გმირის ვარსკვლავი და არც ორდენები.

აი ისინი ავტოპარკისაკენ გამოემართნენ. გაგარინი თავის მანქანასთან მივიდა და მაშინვე თვალი ჰკიდა ტიტოვის „ვოლგასთან“ სმენაზე მდგომ შოფერს.

ორივე, გაგარინიც და გორბუთნოვიც, ზაურისაკენ გაემართნენ.

ზაურის შემოცნა, გორბუთნოვმა რომ უთხრა გაგარინს:

— ახალი მძღოლია, გერმანე ტიტოვის მანქანაზე იმუშავებს.

— გამარჯობათ, — მიესალმა გაგარინი და ყურადღებით შეათვალა.

— რიგითი ზაურ ადამია! — მოახსენა.

— ალბათ, ქართველი ხარ?

— დიახ... — ზაური ისე დაიბნა, რომ აღარ იცოდა როგორ მიემართნა: „ამხანაგო მაიორო“, ეპატარავა, გვართ ან სახელითა და მამის სახელით — ეუხებრუ-ლა.

გაგარინმა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ახალ მძღოლს და ავტოსამსახურის უფროსს მიუბრუნდა:

— სხვათა შორის, ძალიან ჰგავს გერმანე სტეფანეს-ძეს. — შემდეგ ზაურის ღიმილით უთხრა: — რამდენიმე დღეში ჩა-

მოვა ამ მანქანის პატრონი. მხოლოდ საჭე არ ანდო, კოსმოსურ სიჩქარეებზეა მიჩვეული და ასი კილომეტრი საათში არაფრად მიაჩნია.

...ხუთი დღის შემდეგ გორბუნოვმა აცნობა ზაურ ადამიას. ახლახან გერმანე ტიტოვმა დარეკა, ჩამოსულა, მანქანას ითხოვს.

ოციოდე წუთის შემდეგ შავი „ვოლგა“ კოსმონავტების საცხოვრებელ კორპუსთან იდგა.

აი, სადარბაზო შესასვლელიდან გამოვიდა გერმანე ტიტოვი. ზაურმა, რა თქმა უნდა, იგი უმალ იცნო. ტიტოვი სწრაფი, მსუბუქი ნაბიჯებით გაემართა მანქანისაკენ.

ზაურმა სამხედრო წესისამებრ აუღო ხელი.

ტიტოვმა ხელი ჩამოართვა და მოკლედ თქვა:

— ტიტოვი.

შემდეგ მძღოლის გვერდით დაჯდა. სანამ ხეინით მიდიოდნენ, ხმას არ იღებდა; როგორც კი გავიდნენ ფართო გზატკეცილზე, ზაურის მიუბრუნდა:

— საით წავიდეთ?

— საითეცნაც მიბრძანებთ, გერმანე სტეფანეს ძე!

ტიტოვმა შუბლი მოისრისა და თქვა:

— იცი, მოდი მოსკოვისაკენ გავუტოოთ. ძალიან მომენატრა მოსკოვი. საზღვაოგარეთ კარგია, ჩემო ძმაო, მაგრამ შინ ყოფნას მაინც არაფერი ჯობს.

ფართო გზატკეცილზე გავიდნენ და მოსკოვისაკენ აიღეს გზა.

„მართლა მოსკოვში გავლა მოენატრა თუ მე მცდის?“, — ფიქრობდა თავისთვის ზაური და ცალ თვალს მალ-მალე აპარებდა სპირომეტრისაკენ. ისარი 70-სა და 80-ს შორის ცახცახებდა. გულში ღრმად ჩარჩა, გაგარინმა რომ გააფრთხილა, ხუმრობით თუ სერიოზულად, ტიტოვი კოსმოსურ სიჩქარეებზეა მიჩვეული და საჭე არ ანდო. ეს კი იმასაც ნიშნავდა, შენც ფრთხილად იარეო.

მაგრამ ტიტოვი არც საჭესთან მიჯლო-

მას აპირებდა და არც ხმას იღებდა. მძღოლს რეზული კაცის თვალებით ხარბად გასცქეროდა მარცხნივ და მარჯვნივ არცის ხის კორომებსა და დილის ორთქლით შებურულ ტბებს, მინდორში გასულ ნახირს და სკოლისაკენ მიმავალ ბავშვებს.

სოფლისა და სავარეუბნო პეიზაჟები მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების უგრძესი კვარტალებით შეიცვალა. შემხედვარმა წინქანებმა იმატა.

— კარგად იცნობ მოსკოვს? — კითხა ტიტოვმა მძღოლს.

— ვიცნობ, — მოკლედ მიუგო ზაურმა. „კარგად ვიცნობო“, ამის თქმას მოერიდა. წინათ არასოდეს ყოფილა დედაქალაქში. სანამ გერმანე ტიტოვი საზღვარგარეთ იმყოფებოდა, მუხინთან ერთად რამდენიმეჯერ გავიდნენ მოსკოვში. კარგი მძღოლისათვის კი ეს საკმარისი იყო, თუ საგზაო ნიშნებსაც მიაქცევდა ყურადღებას.

სადოვოე კოლცოზე გავიდნენ. მაიაკოვსკის მოედანს რომ მიიღწიეს, გორკის ქუჩაზე გადაუხვიეს და თავქვე დაეშენენ.

— წითელ მოედანზე გავიდეთ, — თქვა ტიტოვმა.

ზაურმა შეამჩნია, რომ გამვლელები დამთ გვერდში მიმავალ მანქანებში მსხდომნი სცნობდნენ გერმანე ტიტოვს, ღმილს აყოლებდნენ, ხელს უქნებდნენ.

როგორც ჩანდა, ტიტოვი უხერხულად გრძნობდა თავს ასეთი ყურადღების გამო, ცდილობდა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო, უფრო ღრმად მოთავსდა თავის ადგილზე.

წითელ მოედანზე კვლავ წამოიწია და მძღოლს თხოვა, ნელა იარეო.

მაცხოვრის კოშკზე კურანტებმა ათჯერ ჩამოჰკრეს. ლენინის მეგობლეუმიან იცვლებოდა ყარაული...

აქეთენ გამომგზავრების წინ ნაწილში ფილმი უჩვენეს კოსმოსში გერმანე ტიტოვის გაფრენაზე. წითელ მოედანზე ზღვა ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მიწაზე დაბრუნებულ გმირ კოსმონავტს. გაზა მამინ იფიქრებდა ზაურ ადამია, რომ

ორიოდე კვირის შემდეგ სწორედ აქ, კრემლის წინ, ჩაივლიდა ამ ლეგენდარულ ადამიანთან ერთად?

იქნებ, თვითონ ტიტოვიც იმ მღელვარე დღეს იგონებდა?

ვახლ ნეტარის ეკლესიას ჩაუარეს და სანაპიროზე გავიდნენ.

— ახლა კი სახლისაკენ, — თქვა ტიტოვმა და იმავე გზით გამობრუნდნენ უკან.

შინ მისვლამდე ტიტოვი საჭეს არ მიჯდომია.

— ყოჩაღ, კარგად მართავ მანქანას! — შეაქო გამომშვიდობებისას ტიტოვმა მძღოლი.

„ესე იგი, გამომცადა“, — დაასვენა ზაურმა. არ წყენია ეს; პირიქით, გაეხარდა, რომ გერმანე ტიტოვი კმაყოფილი დარჩა.

* * *

„გაზ-69“ კოსმონავტთა საცხოვრებელი სახლის წინ დგას. ამ მანქანით მძღოლებს მორიგეობით დაჰყავთ კოსმონავტები ნაწილში, სპორტულ ქალაქში. დღეს ზაურის რიგია. იგი საჯესთან ზის და წიგნს კითხულობს. ეს წიგნი ამას წინათ აჩუქა გერმანე ტიტოვმა სამახსოვრო წარწერით, — ჩვენს ლოდინში რომ არ მოგწყინდესო. თვითონავე ავტორი. კოსმოსში გაფრენის ამბებია შიგ ალწერილი...

კოსმონავტები გამოჩნდნენ. ზაურმა მოტორი ჩართო. მანქანა გაემართა ნაბეზის ხეივანით. ვიღაცამ მისი წიგნი აიღო. ფურცელა დაუწყო. ზაურის უკნიდან ესმის:

— შესანიშნავია იულია ბორისოვა „ირაკლესის ისტორიაში“.

— არ მინახავს.

— ვირჩევ, ნახო.

— წელს ნამდვილად მოსკოვის „დინამოა“ ჩემპიონი.

— მე მგონია, რომ „სპარტაკი“.

...მესამე თვეა ზაურ ადამია იმყოფება ამ საოცრად მამაც და საოცრად უბრალო ადამიანებს შორის. ორი მათგანის სახელი უკვე ლეგენდარული შარავანდედითაა მო-

სილი, ოქროს ასოებითაა შესული კაცობრიობის ისტორიაში. სხვებიც, ეგვიპტეში, დღე-დღეზე შეიჭრებიან კოსმოსში მალ სამყაროში, შეიძლება უფრო მეტი ხნით, უფრო რთული დავალებით. ისიც იცის ზაურმა, რომ კოსმონავტებს აქ, მიწაზე, გაცილებით მეტი სიძნელეების გადალახვა უწევთ, ვიდრე ზეცაში, რომ მზად იყვნენ ყოველგვარი შემთხვევისათვის.

აქამდე ზაურს კინოში ენახა, გაზეთებსა და წიგნებში ამოეკითხა, თუ როგორ მართვდებოდნენ კვირაობით კოსმონავტები სურდოსაკენ, როგორ უძლებდნენ ხელოვნურად შექმნილ სამარისებურ სიწყნარეს და ჯოჯოხეთურ ხმაურს, გულის-შემალენებელ პაპანაქებას და ძარღვებში სისხლის გამყინავ სუტხს.

ახლა ზაურმა უკვე კარგად იცოდა: როცა რომელიმე კოსმონავტი რამდენიმე დღით გამოაკლდებოდა ჯგუფს, ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი სურდოსაკენში გადიოდა უმჯაყრეს გამოცდას.

შემდეგ მას კვლავ ხედავდა ამხანაგებს შორის, წვერმოშვებულსა და ფერმკრთალს, მაგრამ წარმატებით ჩატარებული გამოცდით ბედნიერსა და თვალეზანთებულს.

ზაურის გვერდით რომ საშუალო ტანის შავგვრემანი მაიორი ზის და ტიტოვის წიგნს ათვალეირებს, „კოსმონავტისამის“ სახელითაა ცნობილი, გერმანე სტეფანეს-ძის დუბლიორი იყო და, საჭირო რომ დარჩენილიყო, თვითონ უნდა აქრილიყო „აღმოსავლეთი-2“ კოსმოსში. მაგრამ ეს არ დარჩა საჭირო და ყველა თვლის, რომ იგი მორიგი გაფრენის კანდიდატია. ჯერჯერობით მისი გვარი მხოლოდ ძალიან ვიწრო წრეში იცის. იცის ზაურმაც, მაგრამ...

— მე არ ვასახელებ ჩემს მეგობარ კოსმონავტებს პირველ რიგში იმიტომ, რომ მათ ყველაზე მეტად ესაჭიროებათ სიმშვიდე კოსმოსში გასაფრენად ღიდი და რთული მოსამზადებელი მუშაობისათვის. განა მისცემენ მოსვენებას ჟურნა-

ლისტები, რომ შეიტყონ მათი სახელები? ამ მიზეზით არ ვასახელებ „კოსმონავტი-სამის“ სახელს. მაგრამ მსოფლიო მალე შეიტყობს მას“. გერმანე ტიტოვის წიგნში ახლა, იქნებ, სწორედ ამ სტრიქონებს კითხულობს ზაურის გვერდით მჯდომი „კოსმონავტი-3“ და ამიტომაც ბავშვური ღიმილი ეფინება მის ფართო სახეს.

ზაურს ყოველთვის საოცრად ნაცნობი ეჩვენებოდა ამ კაცის სახე და სწორედ ახლა მოაგონდა, თუ ვის აგონებდა იგი — ალექსეი მერესიევს, მფრინავს, სამამულო ომის გმირს.

არა, შეუძლებელია, რომ ისინი არ ღელავდნენ! მაგრამ გარეგნულად რომ არაფერს იჩინებენ?! ისინი ლაპარაკობენ ყველაფერზე, კოსმოსში გაფრენის გარდა. იური გაგარინი გულიანად ჰყვება კუროთზებს სახლგარეშეთუი მოგზაურობიდან. ვიღაც დაბალ ხმაზე ღიღინებს: „ოი, ღნიპრო, ღნიპრო“. სარკეში ხედავს ზაური, რომ ახალგაზრდა კაპიტანი „ოგონიოვი“ კროსგორდს ავსებს და ზოგჯერ გვერდით მჯდომ აშხანავს რადიკას ეკითხება ხმადაბლა.

...სპორტული ქალაქი. ზაური აჩერებს მანქანას. აქ მათ ელოდებიან ინსტრუქტორები.

მოედანზე მწყრივდებიან სპორტულ კოსტიუმებში გამოწყობილი კოსმონავტები. აქაა უკლებლივ ყველა — გაგარინიც, ტიტოვიც... თავდაპირველად, ცოტა არ იყოს, უკვირდა ზაურს: ორივემ უკვე მოიარა კოსმოსი, სახელოვანი ადამიანები არიან და რაღად უნდათ, კიდევ რომ ვარჯიშობდნენ. როგორღაც ტიტოვთანაც წამოსცდა ეს. მან სერიოზულად უთხრა:

— სხვათა შორის, გაფრენამდე მეც ვფიქრობდი ასე, რა აუცილებელი უნდა ყოფილიყო კაბინაში გამომწყვდეული კაცისათვის მთელი საათობით სირბილი და კალათბურთის თამაში. თურმე საჭირო ყოფილა და ამაში დამარწმუნეს ინსტრუქტორებმა, კოსმოსში ყოფნამ. ახლა კი იმიტომ ვვარჯიშობთ, რომ არ არის გამორიცხული, იური ალექსის-ძეს და მე

კიდევ მოგვიხდეს კოსმოსში გასეჩქვება. — ზაურს მოაგონდა, რომ ოთხთუმა გაგარინმაც და ტიტოვმაც ასე განუცხადეს უცხოელ ჟურნალისტებს პრეს-კონფერენციაზე. შემდეგ ტიტოვმა ღიმილით დაუმატა: — ყველაფერს რომ თავი დევნებოთ, როდის იყო, რომ სპორტი კაცს ვნებდა. არც შენ გაწყენს.

და ზაურიც ძალიან ხშირად მათთან ერთად თამაშობდა კალათბურთს, ქანაობდა საქანელაზე, ცირკის აკრობატივით ხტოდა გაჭიმულ ბაღეზე, დაჟროლებდა ველოსიპედს, ცურავდა აუზში...

კოსმონავტები მოუთმენლად ელოდნენ ზამთარს, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ციგურებითა და თხილამურებით სრიალი და, რაც მთავარია, ჰოკეი.

— უნდა გასწავლო ჰოკეი. აი ესაა ნამდვილი სპორტი, ვაჟკაცების თამაში! — ეუბნებოდა ქართველ მეგობარს იური მუხინი.

მაგრამ ზამთრის დადგომამდე კოსმონავტთა ოჯახში ღიღი ამბები მოხდა.

უკვე იგრძნობოდა, რომ სულ მალე მორიგი საპაეო ხომალდი უნდა მოსწყდომოდა მიწას კოსმოსში შესატყრელად.

კოსმონავტები მზად იყვნენ წარემართათ ეს ხომალდი. მზად იყო ყველა. მაგრამ ზუსტად არავინ იცოდა, ვისზე შეჩერდებოდა არჩევანი, როგორი იქნებოდა ფრენის პროგრამა და ხანგრძლიობა.

გავიდა კიდევ ცოტა ხანი და აი, ყველაფერი ცნობილია. აგვისტოს დამდეგს, დილადრიან, ზაურ ადამიას მიჰყავს მანქანა მეზობელი აეროდრომისაკენ. მანქანაში სხედან „კოსმონავტი-სამი“ და „კოსმონავტი-ოთხი“. რამდენიმე დღის შემდეგ მათ სახელებს შეიტყობს მთელი ქვეყანა.

ისინი სხედან ერთმანეთის გვერდით — შავგერმანი, შავწარბებგადანასკვეული სიტყვაძენი მათარი ჩუვაშეთის პატარა სოფლიდან და მუდამ მზიარული და ყველა გართობის მოთავე პოდპოლკოვნიკი უკრაინელის აქცენტით, რომელიც ახლაც კი, უდიდესი გამოცდის წინ, ხმადაბლა

ლილინებს საყვარელ „ოი, დნიპრო, დნიპროს“.

მანქანაში სხედან ორივე კოსმონავტის დუბლიორებიც.

ერთ-ერთი მათგანი, „კოსმონავტ-სამის“ დუბლიორი, ხუმრობს:

— მესამეჯერ მივემგზავრები კოსმოდრომზე გამცილებლის როლში. მართალია, ამჯერად დუბლიორად, მაგრამ ვინ მომცა იმის ილბალი, — მეგობრებს „კოსმონავტ-სამისაკენ“ უჩვენებს, — რომ მან უარი თქვა გაფრენაზე.

— არაფერია, მეც შენს დღეში ვიყავი, გერმანე სტეფანეს-სე რომ მიფრინავდა. — ილიმება „კოსმონავტი-სამი“ და ბეჭეებზე ხელს უთათუნებს.

მათთან ერთად კოსმოდრომისაკენ მიფრინავენ იური გაგარინი, გერმანე ტიტოვი, სხვა კოსმონავტები.

ვატილები ხანმოკლე, მღელვარე წუთები. წამსვლელები სათითოდ ემშვიდობებიან გამცილებლებს. ზაურ ადამია ხელს მაგრად ართმევს „კოსმონავტ-სამს“, „კოსმონავტ-ოთხს“ და ამბობს:

— მალე შეხვედრამდე!

რამდენიმე წუთიც და ვერცხლისფერი ლანგრი წყდება მიწას, სულ შორს და მაღლა მიიწევს და მალე თვალს ეფარება.

შემდეგ ერთმანეთს სცვლის მღელვარებითა და მოლოდინით აღსავსე დღეები. ნაწილში ცხოვრება თითქმის ჩაკედა. წითელ კუთხეში რადიოსთან დღიან-ღამიან მორიგეობენ ახალი ამბების მილოდინში.

ერთ დღით გარაჟში იური მუხინი შემოიჭრა და შესძახა:

— ჩქარა, წითელ კუთხეში! ნიკოლაევი კოსმოსშია..

ზაურმა სირბილით მიასურა წითელ კუთხეს. აქ უკვე იმდენი ხალხი შეგროვილიყო, რომ რადიომიმღები არც ჩანდა. ისმოდა მხოლოდ მოსკოვის დიქტორის ნაცნობი, ხვევრდოვანი ხმა. საუდესის ცნობას მოჰყვა ანდრიან ნიკოლაევის პარველი რადიოგრამა, რომ ყველაფერი რიგზეა, თავს შესანიშნავად გრძნობს და ილუმინატორებიდან კარგად ხედავს დედამიწას.

ამ წუთებში მთელი პლანეტა ზემოთა და საბჭოთა ადამიანის მორიგ გამოცდებს, მაგრამ განსაკუთრებული აღფრთოვანება სუფევდა ზაურის სამხედრო ნაწილის წითელ კუთხეში, სადაც რადიომიმღებთან შეკრებილ ადამიანთა მცირე წვლილიც იყო ამ შესანიშნავ გმირებაში.

მაგრამ აქ იცოდნენ, რომ ამჯერად ერთი ხომალდით არ უნდა დამთავრებულიყო კოსმოსში გაფრენა და ელოდნენ ახალ ცნობას.

მართლაც, ზუსტად ოცდაოთხი საათის შემდეგ მოსკოვის რადიომ კვლავ ამცნო მთელ მოსფლიოს კიდევ ერთი ხომალდის — „აღმოსავლეთი-4“ გაშვება, რომელსაც მართავდა პოდპოლკოვნიკი პავლე რომანის-ძე პოპოვიჩი.

დაიწყო მსოფლიოში უმაგალითო ჯგუფური ხანგრძლივი ფრენა ციურ ოკეანეში.

ნაწილში ყველა დარწმუნებული იყო ფრენის მშვიდობიანად და წარმატებით დამთავრებაში, მაგრამ მეთაურები, ინსტრუქტორ-მასწავლებლები, ზაური და მისი მეგობრები, ყველანი დღედაღამ და მოუთმენლად ელოდნენ ციური ძმების მიწაზე დაბრუნებას.

დრო და დრო ტელევიზორიდან, რადიომიმღებიდან ესმოდათ კოსმოსური სივრცეებით ოდნავ ნირშეცვლილი ნიკოლაევისა და პოპოვიჩის ხმები: „კარგად ვართ. ყველაფერი რიგზე მიდის. ერთმანეთთან კავშირი გვაქვს. სალამი მეგობრებს. დედამიწაზე შეხვედრამდე!“

15 აგვისტოს დღით მოსკოვის რადიომ ამცნო ყველას, რომ ორივე საპაერო ხომალდი მშვიდობიანად დაეშვა დედამიწაზე და ანდრიან ნიკოლაევიც და პავლე პოპოვიჩიც თავს შესანიშნავად გრძნობენ.

ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ზაურ ადამია იყო იმათ შორის, ვინც ალტაეებით ეგებებოდა „ციურ ძმებს“ ვნუკოვის აეროდრომზე და წითელ მოედანზე.

ციურ ძმებზე აღრე ნაწილში ჩამოვიდ-

ნენ გაგარინი, ტიტოვი, სხვა კოსმონავტები. ანდრიან ნიკოლაევი და პავლე პოპოვიჩი ახლობლებთან ერთად ისვენებდნენ კოსმოსში მოგზაურობის შემდეგ, სამედიცინო შემოწმებას გადიოდნენ.

აეროდრომიდან გერმანე ტიტოვი ზაურმა ნაწილში მიიყვანა, იქიდან კი ცოტა ხნის შემდეგ კოსმონავტთა ბინისაკენ გაემართნენ.

ნიკოლაევისა და პოპოვიჩის გაფრენაზე ბევრს წერდნენ გაზეთები, მაგრამ ზაურის უნდოდა უშუალოდ მონაწილისაგან მოესმინა ეს ამბები, თვითონ ტიტოვი კი სულ აქაურ ამბებს ეკითხებოდა.

მანქანა ტიტოვის სახლის წინ შეჩერდა. გერმანე სასწრაფოდ გადმოვიდა და ზევით აიხედა. თამარ ფანჯარასთან იდგა. იგი ელოდა მეუღლეს. გერმანემ ხელი დაუქნია ცოლს და ზაურს მიუბრუნდა:

— იცი, რა? მოდი, ავიდეთ ზევით. როცა მოგზაურობიდან ვბრუნდები, თამარმა გემრიელი საჭმელების მომზადება იცის ხოლმე. რაღაც სოკოს სუნი მცემს. ცივი ბურაჩიკი არ გვაწყენდა ამ სიტყვში.

ნაცნობ მანქანას სხვა სახლებიდანაც ჰკიდეს თვალი და ტიტოვების სასტუმრო ოთახი ნელ-ნელა გაივსო ხალხით. ესენი იყვნენ კოსმონავტთა ოჯახის წევრები და ახლობლები. თვითეული მათგანი რაღაცთი იყო დაკავშირებული ამ დიდ საქმესთან და ამიტომ, ბუნებრივია, სხვებზე მეტად აინტერესებდათ კოსმოსში ჯგუფური გაფრენის ამბები.

გერმანე ტიტოვს შეკითხვები სეტყვასავით დაჰყარეს. ისიც უპასუხებდა მისთვის ჩვეული სიხალისითა და იუმორით. დიდხანს ვაგრძელდა ეს გაუთვალისწინებელი პრეს-კონფერენცია.

რამდენიმე დღის შემდეგ მშობლიურ ნაწილს დაუბრუნდნენ კოსმოსის ახალი გმირები — ანდრიან ნიკოლაევი და პავლე პოპოვიჩი. კოსმოსიდან დაბრუნებული ყველა მფრინავი თავს ვალდებული თვლიდა ანგარიში ჩაებარებინა იმათთვის, ვის გვერდითაც, ვისი უშუალო მონაწი-

ლეობითაც იჭედებოდა ეს დიდმოქმედების გამარჯვება. ასე მოხდა ამჯერად ანდრიან ნიკოლაევი დაბნეული გამოიყურებოდა: როგორც ჩანდა, თავს ცოტა არ იყოს უხერხულად გრძნობდა გმირის როლში.

პავლე პოპოვიჩი კი, როგორც ყოველთვის, იღიმებოდა, ხუმრობდა და თითქმის ჩვეულებრივი ამბავიაო, ისე ჰყვებოდა კოსმოსში ოთხდღიანი „სეირნობის“ ამბებს.

იმ საღამოს იგი ჩვეული ენერგიულობით ხელმძღვანელობდა მხატვრული თეიმოქმედების კონცერტს და თვითონაც იმღერა გუნდთან ერთად „მოსკოვური საღამოები“.

შემდეგ, როცა ზაურ ადამია პოდპოლკოვნიკ პოპოვიჩის შოფრობის დაკვეთილებს უტარებდა, პავლე რომანის-ძემ გულისკბიდან ოთხად გაკეცილი სქელქალღისად ამოიღო და უთხრა:

— აი ეს ბორტუერნალში აღმოვაჩინე. ჩვენებიდან ჩადებდა ვინმე გაფრენის წინ. საგზაო ნიშნებია ავტომოყვარულთათვის, რომ მოძრაობის წესები არ დამერღვია ვარსკვლავთა შორის. მეც თავისუფალ დროს ვათვლიერებდი. აბა, გამოცადე!

თეორიულ გამოცდას პრაქტიკულიც მოჰყვა. პოპოვიჩი ზოგჯერ სცოდავდა ხოლმე სიჩქარეების გადაყვანაში, ოფის იმშრალებდა და ბუტბუტებდა:

— საპაერო ხომაღლზე ძნელი სამარ-თავი ყოფილა!..

შემდეგ კი, როცა დამოუკიდებლად იმგზავრა მოსკოვში და ზაურმაც შეაქო, ის იყო ფოტოსურათი აჩუქა წარწერით, ზაურ ადამიას „ახალგაზრდა შოფრისაგანო“.

კოსმონავტთა ცხოვრება კვლავ ჩადგა კალაპოტში. ისევ დაიწყო სწავლა, წერტა, ვარჯიში პროგრამის მიხედვით.

მოვიდა ზამთარი და იური მუხინმა ასწავლა ზაურის დაპირებული ჰოკეი, ცეგურებით სრიალი.

კოსმონავტთა შორის ჰოკეიში ტოლარ ჰყავდა პავლე პოპოვიჩის და საინტე-

რესო მატჩების დროს“ „კოსმონავტი-4“
ლუენიკების ხშირი სტუმარი იყო.

ზამთარი გაზაფხულმა შეცვალა, და-
გა ზაფხულიც და მოახლოვდა არამიაში
ზაურ ადამიას სამსახურის დამთავრების
ვადაც.

საზეიმო გაცილება მოუწყვეს არმიიდან
წასულებს. აქ იყო ყველა კოსმონავტი—
კოსმოსში ნამყოფებიც და მორიგი გაფ-
რენის კანდიდატებიც, მწყობრის წინ
ბრძანება წაიკითხეს, სამოქალაქო ცხოვ-
რებაში წარმატებები უსურვეს ვალმოხ-
დილ ჯარისკაცებს.

შემდეგ ზაური სათითოდ გამოეთხო-
ვა ყველას. ახლა იგრძნო, როგორ შეეჩ-
ვია და შეეთვისა ოცი თვის მანძილზე
ამ მამაც ადამიანებს, კოსმონავტთა დიდ
მეგობრულ ოჯახს, საიდანაც ადრე თუ
გვიან კიდეც უნდა შეტყობილყვნენ კოს-
მოსში საბჭოთა შევარდნები.

იმ დღეს უკანასკნელად იმგზავრა მოს-
კოვში გერმანე ტიტოვთან ერთად.

გერმანე სტეფანეს-ძე დაწვრილებით
ეკითხებოდა ბათუმზე, ოჯახზე, ანტერე-
სებდა, თუ რას აპირებდა ზაური შინ
დაბრუნების შემდეგ.

ერთგან ტიტოვმა მანქანა შეაჩერებინა,
რომელიდაც სახელოსნოში შევიდა და
იქიდან მომცრო რადიომიმღები გამოი-
ტანა. ეს ტრანზისტორი ტიტოვების ოჯახ-
ში ხშირად ენახა ზაურს, საზღვარგარეთი-
დან ჩამოიტანა გერმანე სტეფანეს-ძემ.

ტიტოვმა რადიომიმღები გაუწოდა თა-
ვის მძღოლს და გაუღიმა. ზაურმა დახე-
და კოლოფზე დაკრულ ნიკელის ფირფი-
ტას, ზედ ამოკვეთილ წარწერას და მი-
ხედა, რომ ეს ძვირფასი საჩუქარი გერ-

მანე სტეფანეს-ძემ სიურპრიზად გაუგზავ-
ნა მას.

— რომ არ დამივიწყო, — უთხრა ტი-
ტოვმა.

— თქვენ, მე კი არა, ჩემს შეღილაშვი-
ლებს ემხსოვრებით, გერმანე სტეფანეს-
ძეც...

— ამისათვის კი, პირველ რიგში, ცო-
ლი უნდა ითხოვო, ჩემო ძმაო. — გაუ-
ღიმა ტიტოვმა.

...პირველად მაინც გერმანე ტიტოვმა
მოიგონა ყოფილი მძღოლი. ბათუმში ჩა-
მოსვლიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ ზა-
ურ ადამია პარტიის საქალაქო კომიტეტ-
ში გამოიძახეს და უჩვენეს გერმანე ტი-
ტოვის წერილი. „კოსმონავტი-ორი“ ახა-
სიათებდა ზაურ ადამიას, როგორც სამა-
გალითო ახალგაზრდას, გამოცდილ
მძღოლს და სთხოვდა საქალაქო კომი-
ტეტს ყურადღება მიექციათ მისთვის.

შემდეგ ზაურ ადამიამ მიულოცა თა-
მარ და გერმანე ტიტოვებს პირმშოს შე-
ძენა.

ცოტა ხანიც და მთელ ქვეყანასთან ერ-
თად ზაურ ადამიაც ზეიმობდა ვალერი
ბიოვსკისა და მსოფლიოს პირველი კო-
სმონავტი ქალის ვალენტინა ტერეშკოვას
შესანიშნავ გამირობას. ამ გაფრენასაც ხომ
ზაურის თვალწინ ეყრებოდა საფუძველი.

სულ ახლახან კი კომაროვის, ფე-
ოტისტოვისა და ეგოროვის გამირობით
გაიხარა მან.

...თუ კი თქვენ ბათუმის ქუჩებში
თვალს მოჰკრავთ ახალთახალ ცისფერ
ტაქსს — „ვოლგას“ ნომრით — 23-99,
რომლის საჭესაც უზის თმახუჭუჭა, სან-
დომიანი სახის ახალგაზრდა, იცოდეთ, ეს
ზაურ ადამიაა.



ქართული ლიტერატურის განვითარების პერიოდები

დაბადების სამოტი წლისთავი შეუსრულდა ხარტონ ახვლედიანს, ისტორიკოს-მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს.

ხარტონ ახვლედიანს-ახვლედიანს და-იბადა 1904 წელს სოფ. მახინჯაურში, ღარიბი გლეხის ოჯახში. საშუალო განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო, რის შემდეგ სრულიად ახალგაზრდა დანიშნეს მახინჯაურის მუშათა და გლეხთა კლუბის გამგედ. უკვე აქ მან თავი გამოიჩინა ნერგული შრომით: კლუბის გარშემო დარაზმა მშრომელთა აქტივი, გამოდიოდა მოხსენებებით გლეხობაში. მალე პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა ხ. ახვლედიანი საოლქო კომიტეტის ლექტორად დანიშნა. აქედან დაიწყო ხ. ახვლედიანის ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი აჭარის სოფლების ხშირი სტუმარი გახდა და კომუნისტის მართალი სიტყვა მიჰქონდა ხალხთან.

1931 წელს ხ. ახვლედიანი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც იგი ისმენდა ჩვენი სასიქადულო ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის ლექციებს. ამ ლექ-

ციებმა გაუღებდეს მას საქართველოს ისტორიის სიყვარული.

1936 წელს ხ. ახვლედიანმა ფრიაღზე დაამთავრა უნივერსიტეტი და დაინიშნა ბათუმის სახალხო განათლების განყოფილების გამგედ, მერე კი, 1938 წელს, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად. იმ დროს აჭარის მუზეუმი ერთ-ერთი პრიმიტიული და ძლიერ ჩამორჩენილი საგამოფენო დაწესებულება იყო, მაგრამ ხ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით მუზეუმის კოლექტივი ენერგიულად შეუდგა მდგომარეობის გამოსწორებას. ექსპონატების შესაძენად მოეწყო სამეცნიერო ექსპედიციები, გამოვლინებულ იქნა საარქივო მასალები და მალე მუზეუმი მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვან კერად იქცა. მოკლე დროში იმდენად გაიზარდა ექსპონატთა ფონდი, რომ ერთ-სართულიანი სახლი ვეღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნას. მშვენიერი მუზეუმი გვექონია ბათუმში, წერდა საქართველოს სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე, დიდი მუშაობაა გაწეული, ოღონდ მუზეუმი ბანის სიღრმეზე განიცდის, საჭიროა საგანგებო მუშაობა. და მართლაც, არ გასუ-

ლა დიდი ხანი და მუზეუმს დააშენეს მეორე საართული.

თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დღეს აჭარის სახელმწიფო მუზეუმი, ამას მოწმობს დამთვალიერებელთა ჩანაწერები:

„ბავშვობიდანვე ჩაუწერავო აღმამის მშობლიური მხარის, მის მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს სიყვარული, ასწავლო, თუ როგორ უნდა გამოიყენოს მხარის სიმდიდრე ხალხის სასარგებლოდ, ამ როლს მშვენივრად ასრულებს საქმის სიყვარულით მოწყობილი მუზეუმი. ვუსურვოთ მას შემდგომი წარმატებები“ (ავადემიკოსი მაკაროჩინი).

„დიდი ინტერესით დათვალიერე მუზეუმი. მრავალრიცხოვანი ექსპონატი დამეხმარა უკეთ გამეგო აჭარა და საქართველო, მისი ძველი, მდიდარი და ღრმა კულტურით“ (ვიქტორ კერნაზი, რუმინელი პოეტი, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი).

„აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის დათვალიერებამ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ აჭარას აქვს სახელოვანი ისტორია გმირული წარსულით, ბედნიერი აწმყო და უფრო ნათელი მომავალი“ (ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგატი).

დიდ ორგანიზატორულ საქმიანობასთან ერთად ხ. ახვლედიანი ფრიად ნაყოფიერ მეცნიერულ-კვლევით მუშაობასაც ეწეოდა. მის კალამს ეკუთვნის ბევრი დაბეჭდილი მეცნიერული შრომა და სტატია.

როგორც ცნობილია, XVII საუკუნის პირველი ნახევარი სამხრეთ საქართველოსათვის, კერძოდ, აჭარისათვის საბედისწერო აღმოჩნდა—იგი თურქ დამპყრობთა უღელქვეშ მოექცა. ცეცხლითა და მახვილით შეუღდგნენ თურქები ქართული კულტურის შემუსვრას, თურქული მიწათმფლობელობის, ადამ-წყესებისა და მუსლიმანური რელიგიის დანერგვას. აჭარა გმინავდა უცხოელ დამპყრობთა უღელქვეშ, გმინავდა, მაგრამ ხმალი არ ჩაუგია, შეუპოვრად იბრძოდა ქართული კულტურის, ქართული ენის შესანარჩუნებლად. და აი ეს თემა გახდა ხ. ახვლედიანის მეცნიერული კვლევის ძირითადი თემატიკა.

პირველი მეცნიერული შრომა „აჭარის ისტორიიდან“ ხ. ახვლედიანმა გამოაქვეყნა 1941 წელს. ამ წიგნში აჭარის წარსულის მოკლე მიმოხილვის შემდეგ ავტორმა ვრცლად განიხილა მხარის მიღწევები სამკოთა ხელისუფლების არსებობის ოცი წლის მანძილზე.

თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის შეუპოვრ ბრძოლას მიეძღვნა ხ. ახვლედიანის „ნარკვევები აჭარის ისტორიიდან“ და „აჭარა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში“, გამოცემული 1944-1946 წლებში.

1951 წელს გამოვიდა ხ. ახვლედიანის ნაშრომი „აჭარის ბიბლიოგრაფია“, რომელიც მეორედ გამოიცა 1960 წელს სათაურით „სამხრეთ საქართველოს ბიბლიოგრაფია“. აჭარისა და სამხრეთ საქართველოს ბიბლიოგრაფიის გამოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმის გამო, რომ საქართველოს ამ მხარეზე თურქთა სამასწლიანი ბატონობის პერიოდში არ გამოცემულა არც ერთი წიგნი და ჟურნალ-გაზეთი. დედა-სამშობლოსთან მისი შეერთების შემდეგ კი მოზღვადა შრომები და სტატიები სამხრეთ საქართველოსა და აჭარაზე. მოწყურებული ქართველი საზოგადოებრიობა დაეწაფა ტანჯულ ძმთა ისტორიის შესწავლას. დაუზარებელი შრომით ხ. ახვლედიანმა შეკრიბა ეს მასალები ერთ ცნობარში, რითაც გზა გაუყვლია მომავალ თაობას სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის ისტორიის, კულტურის, სახალხო მეურნეობის შესწავლის საქმეში.

1956 წელს გამოქვეყნდა ხ. ახვლედიანის ფუნდამენტური ნაშრომი „სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“. პირველი წყაროების, დოკუმენტური მასალებისა და საისტორიო ლიტერატურის ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველ-

ზე მასში ავტორმა ასახა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ხანგრძლივი და შეუბოვარი ბრძოლა.

ბ. ახელდინამ მრავალი დოკუმენტი გამოავლინა თურქთა მიერ სამხრეთ საქართველოში ჩადენილი ბარბაროსობის შესახებ. ახალციხის მუზეუმის არქივში მან აღმოაჩინა ვინმე მესხი გვარამაძის წერილი, რომელიც მკაფიოდ გვისახებუბს გითარებას თურქთა ბატონობის პერიოდში. „ვის ცოცხალს ტყავს ამოვბდნენ, ვის პალოზე გაკრულს ბაწრებით გულად იღებდნენ... ვის ხანჯლით გულ-მუცელს უბოვდნენ, ვის ადუღებულ წყალში ხარშავდნენ“, ნათქვამია მასში.

სხვებთან ერთად მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს დამპყრობლებს აჭარლებმა. ჭოროხში ცვილა აჭარელთა მოკვეთილი თავები, მაგრამ მათ წარბი არ შეუხრიათ. თურქებმა შემუსრეს ქართული კულტურის ძეგლები, აჩეხეს ქართული ვენახი, ქვითა და ღორლით ამოავსეს ქვევრები, ცეცხლს მისცეს წიგნები. გამაგებულ მტერს სურდა მოესპო ყველაფერი ქართული, მაგრამ ამოდ. აჭარამ უმწიკვლოდ შეინარჩუნა მშობლიური ქართული ენა, ბევრი ქართული ტრადიცია. ბ. ახელდინი პირველი მკვლევარი-ისტორიკოსია, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ თურქეთისათვის აჭარელი მუდამ გაიუბრი იყო და ვიღუტადვე დარჩა, მიუხედავად ისლამის აღიარებისა.

ბ. ახელდინი დწვრილებით განიხილავს რუსეთთან საქართველოს შეერთებას და სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლას. პირველ წყაროებზე დაყრდნობით იგი ასახებუბს, რომ ამ ბრძოლაში ქართველ მეფეებს მხარში ედგნენ აჭარლებიც. ასე, მაგალითად, სოლომონ მეფეს 1758 წელს ხრესილთან გამარჯვებაში დიდად დაეხმარა ახალციხისა და აჭარის ჯარი.

ნაშრომის ამ ნაწილში ბ. ახელდინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას აჭარაში. მან აღადგინა წარსულის

დაფანტული ფურცლები სელიმ ხიმშიაშვილის შესახებ. მართლაც, ვის არ შემატებეს ძალას სელიმ ხიმშიაშვილის მაგალითით, წერს ბ. ახელდინი. უმისარმა სელიმმა თავის მოკვეთის წინ ამაყად მოიხსენია თავისი ქართველობა და ჯალათებს ასე მიმართა: „მეჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი... ოსმალის არ შერჩება“.

აღსრულდა სელიმ ხიმშიაშვილის სიტყვები — სამხრეთ საქართველო, მათ შორის აჭარა დაუბრუნდა დედა-სამშობლო საქართველოს. მოძვე რუსი ხალხის დახმარებით 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად საქართველომ დაიბრუნა თავისი მიწა-წყალი. წიგნში ხაზგასმულია, რომ საქართველოსთან შეერთებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აჭარის ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობას. ქართველმა საზოგადოებრიობამ დახმარების ძმური ხელი გაუწოდა აჭარელ თანამემამულეებს.

ცალკე თავი დაუთმო ბ. ახელდინამ რევოლუციურ მოძრაობას აჭარაში 1905 წელს.

„ერთ წიგნში ორი მონოგრაფია“ — ასე შეაფასა ქართულმა პრესამ ბ. ახელდინის დასახელებული ნაშრომი. ეს იმიტომ, რომ მისი წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს მგზნებარე ქართველი პატრიოტის ჰაიდარ აბაშიძის წერტილებს და მათ ინტერპრეტაციას. ჰაიდარ აბაშიძის მოღვაწეობის დახასიათების პარალელურად იგი მკითხველს წარმოუდგენს აჭარის იმ მამაც შვილთა პატრიოტულ ღვაწლს, რომელთაც მთელი თავისი ენერგია მოახმარეს აჭარის კეთილდღეობისათვის ზრუნვას. სელიმ ხიმშიაშვილი, შერიფ ხიმშიაშვილი, გულო კაიკაციშვილი, აბდულ მიქელაძე, მემედ აბაშიძე, რეჯებ ნიჟარაძე და სხვები, აი, ის ადამიანები, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ ჩატეხილი ხიდის გამთენიებისათვის.

1963 წელს ჰაიდარ აბაშიძესთან მოწყობილ შეხვედრაზე მსცოვანმა მოღვაწემ იპოლიტე ვართაგავამ, ბ. ახელდინის

დასახელებული ნაშრომის შესახებ თქვა:
„უნდა გამოეტყდე, არ მოველოდი ბათუმში ასეთი დიდი ერთდროის, ისტორიული ფაქტების ასე ამომწურავად, დამაჯერებლად და თან შთამაგონებლად ამხსნელ-გამშუქებელ ანალიზატორს. მისი შრომა გაუზვიადებლად შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო მეცნიერულ შრომად“.

ხ. ახვლედიანის სხვა ნაშრომებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფრიად ორიგინალური წერილი, გამოქვეყნებული 1962 წელს ჟურნალ „ლიტერატურულ აჭარაში“ სათაურით „ევეგნი დაღაჯიო და ალესიო საქართველოს შესახებ“, და ალესიო წარმოშობით ვენეციელი იყო, ცხოვრობდა სტამბოლში და ურთიერთობა ჰქონდა იმ მცხრვრებ ქართველებთან. ქართველთა საქმიანობამ, სამშობლოს, ეროვნული კულტურის, მშობლიური ენის სიყვარულმა დიდად აღაფრთოვანა და ალესიო მან შეისწავლა ქართული ენა და დაწერა წიგნი „ქართველები კონსტანტინეპოლში“. ხ. ახვლედიანი, მიმოიხილავს რა ამ წიგნს, კიდევ ერთხელ აცოცხლებს სამშობლოს ხილვას მოწყურებულ ქართველთა სურათებს.

ასეთია ხ. ახვლედიანის მეცნიერული მოღვაწეობის მოკლე მონახაზი, მოღვაწეობისა, რომელმაც ხ. ახვლედიანი სამხრეთ საქართველოს ისტორიის გზამკვლეად გადააქცია.

თმებდათოვლილი, ხ. ახვლედიანი კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს მუშაობას და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში შეაქვს თავისი წვლილი. იგი არის აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრი, პარტიის აჭარის საოლქო

კომიტეტის შტატგარეშე ლექტორი და იდეოლოგიური კომისიის წევრი, ხელმძღვანელობს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს განათლებისა და კულტურის მუდმივ კომისიას, არჩეულია ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების აჭარის საოლქო განყოფილების გამგეობის თავმჯდომარედ, საზოგადოება „კოდნის“ აჭარის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ, ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციასთან არსებულ ლიტერატურისა და ხელოვნების საბჭოს თავმჯდომარედ. ყველა ამ

დავალებას ხ. ახვლედიანი კეთილსინდისიერად და მონდომებით ასრულებს. სსრ კავშირის კულტურის მინისტრის ბრძანებით, ხ. ახვლედიანი დაჯილდოებულია კულტურის წარჩინებული მუშაკის სამკერდე ნიშნით. მას მინიჭებული აქვს აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა და აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია მედლებით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების საპატიო სიგელით.

ამას წინათ აჭარის საზოგადოებრიობამ საზეიმოდ აღნიშნა ხ. ახვლედიანის დაბადების სამოცი წლისთავი. ამით ხალხმა გამოხატა სიყვარული თავისი, ერთგული შვილისადმი. ვუსურვებთ ხ. ახვლედიანს ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, ახალ-ახალ წარმატებებს მის მეცნიერულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.



სიმონ არაქელაძე

განახლებული ზღვისპირეთის პოეზი

სოციალისტური რეალიზმის პოეზია ჩვენი მრავალფეროვანი ცხოვრების მხატვრული ასახვაა. იგი ორგანულად შეიცარბს ახალი ეპოქის მაჯისცემას, გადმოსცემს ხალხის შრომისა და ბრძოლის დაუცხრომელ პათოსს. ჩვენი პოეზიის ლირიკული გმირი საბჭოთა ადამიანია, ახალი ცხოვრების შემოქმედი.

გიორგი სალუქვაძე თავის ლირიკულ გმირს ხედება ყველგან, ბუნების წიაღში, ქვეყნის მშენებლობის ყველა უბანზე, იქ, სადაც შრომობს აღფრთოვანებით, თავდადებით, მომავლის გამარჯვების ღრმა რწმენით.

პოეტი შთაგონებით ხატავს განახლებულ ზღვისპირეთს, მის წარმტაც პეიზაჟებს. იგი არ მიმართავს ისეთ განზოგადებას, რაც ბუნების გარდაქმნის ახალი კონცეფციიდან არ გამომდინარეობს. მაგრამ მას, უწინარეს ყოვლისა, შეგრძნებად სახეებთან აქვს საქმე და ინტელექტუალურად აღქმული მოვლენაც კი ემოციურ რერს იღებს. ეს არის ქეშმარიტი პოეზია, მღვლვარება სულისა. ამას მოწმობს ბუნებაზე დაწერილ ლექსთა რკალი. პირველ რიგში კი „მარჯვენა“.

„მარჯვენა გვექნდა თავის სარჩენად,
გუჟაკის მკლავიც, მკერდიც თვალს
მოსწონს,

მიტომაც ვამბობთ — შეგრჩეს
მარჯვენა!

მიტომაც ვამბობთ — გაგიმარჯოსო!
გაშლილ მინდვრებზე ლურჯად

რომ ჩანან,
როგორ იქნება თვალი არ დაგრჩეს?
ისე ერთხელაც გახედავ ყანას,
ქება არ უთხრა გლეხკაცის

მარჯვენს?
ხვატი ექნება თავთავს ორწილი
და შთაგონების წყაროც ეგ არის.
უხედავ: ჭეჯილი გადაქორილი.
მზეს ეგებება ცერზე შემდგარი“.

ესაა გადასვლა ბუნებაში, გამსჭვალვა მისი პარმონიით. პოეტი ხედავს, რომ „ფიჭვი ციკაბო კლდეზე შემდგარა, სამშობლოს დამცველ გმირისდაგვარად“. რომ ქოჩორა ვაჟკაცები „ახლებს კაფავენ და ყამირზე გაჰყავთ ხნული“. იგი ხედავს, რომ ბუნება თვითონ უხვად აფრქვევს მადლს და სიმდიდრეს უნაწილებს მშრომელ ადამიანებს; და ეს ახლა როდია ბუნების გარგვანი ფერისცვლების ნიშანი. აქ იგი წარმოგვიდგება ახლებურად, ადამიანური ზრუნვით, მშვიდობის ეშხითა და სილამაზით.

გ. სალუქვაძის ამავე რკალის ლექსებში მოცემულია პეიზაჟები, აჭარული ყო-

ფისა და ბუნების კოლორიტული სურათები. პოეტის ლირიკული განწყობილება კარგად ერწყმის მოვლენებს — ნაქაღულესს, წყაროებს, ყვავილებსა და ტყეებს. უსათაურო ლირიკულ ფრაგმენტებსა თუ მინიატურულ ლექსებში ცხოვრებისეული დეტალები გარდაქმნილია ლამაზ პოეტურ ფენომენად („ბერძნის წყარო“, „სტუბიანი გოგონა“, „ღელის გორა“, „სანაპიროზე“ და სხვ.).

გ. სალუქვაძის ლექსების წიგნი „სანაპიროზე“ არ არის დაყოფილი ცალკეულ თემატიკურ რაკლებად, მაგრამ მკაფიოდ იგრძნობა თემებისა და მოტივების მრავალფეროვნება. აქვე გვხვდება რამდენიმე გ. წ. ნეიტრალური ლექსი (მაგალითად, „რას იზამ“, „რა სუფთა არის ლავარდი“, აგრეთვე რამდენიმე უსათაურო ლირიკული ფრაგმენტი), რომლებშიც მკითხველი ვერ დაინახავს ვერც ლოკალურ დეტალებსა და ვერც კოლორიტს. როგორც იტყვიან, ასეთი ლექსი „უთვისტომოა“, მიტოვებულია „დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ“.

გ. სალუქვაძის ლირიკული პოეზია ფართოდ არის წარმოდგენილი მის ადრინდელ კრებულებში. მათ შორის ფრიად საყურადღებოა ლექსების წიგნი „ლირიკა“, რომელიც ჯერ კიდევ 1955 წელს გამოქვეყნდა.

აჭარის ბუნება, განახლებული ზღვისპირეთი და ადამიანი, რომელიც ახალ ცხოვრებას ქმნის და აღამაზებს, ეს არის გ. სალუქვაძის ლექსებისა და სიმღერების მთავარი საგანი, მისი პოეზიის ლირიკული მოტივი.

აჭარის ახალი ცხოვრების მაჯისცემა, საბჭოთა ადამიანის შრომითი თავდადება იგრძნობა ლექსებში „ბათუმი“, „მუხუშუმის მშენებელი“, „ილიჩის ნათურა“. მათში ნათელი პოეტური ფერებიტაა გამოხატული ჩვენს ქვეყნის განახლება. დიდმა ლენინმა ხალხს ბედნიერება და სინათლე მოუტანა, მან შექმნა კაცობრი-

ობის მარადუქნობი გაზაფხული, რომელიც განათებულია მოწინავე იდეებითა და ოპტიმისტური რწმენით. ამიტომაც:

„უსაზღვრო ბედნიერების
და უცვლადების დასტურად
დიად ცხოვრებას გვინათებს
დიდი ილიჩის ნათურა“.

ამ რაკლის ლექსების წამყვანი თემა ძმობა და მეგობრობაა. ლექსებში „დარეკავს კრემლი“, „მიაიკოვსკის სადგური“, „საღამო ერთი ლექსისა“, „ა. გრიბოედოვი“, „ხიზაძირში და დიკანის ახლოს“ და სხვ. პოეტი ამაღლდებლად უმღერის რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობას, შემოქმედებითს თანამშრომლობას, ამასთან აღიდებს სახელოვან კომუნისტურ პარტიას, რომელიც მათი უკვდავი ძმობისა და მეგობრობის სტულისჩამდგმელია. ლექსში „დარეკავს კრემლი“ ავტორი მიმართავს თანამომე რუს პოეტს:

„ჩვენ დავძმობილდით კრემლის
კედელთან
და არასოდეს გავითიშებით“.

ორიგინალური შემოქმედებითი გაზრებით ყურადღებას იპყრობს ლექსი „ხიზაძირში და დიკანის ახლოს“. აქ ჩვენ გხვდებით განახლებულ საკოლმეურნეო სოფელს, მის ბედნიერ ადამიანებს. ამ მცირე მოცულობის პოეტურ ნაწარმოებში კარგადაა ხაზგასმული ახალი ცხოვრების უპირატესობა, გლეხაქის სულიერი სიმდიდრე და მორალური სიწმინდე.

სალუქვაძის ლირიკული ნაწარმოებია „საღამო ერთი ლექსისა“. მოსკოვში, პიონერთა სასახლეში, 1947 წლის მარტში, ახალგაზრდა მწერლების საკავშირო თაობირის მონაწილეთათვის ჩატარდა ერთი ლექსის საღამო. საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კურორტ მახიჯაურზე აქ ლექსი წაიკითხა რუსმა პოეტმა ქალმა ელენე ნიკოლაევსკაიამ. გ. სალუქვაძისათვის ამ შემთხვევას შთაუგონებია ლექსი, რო-

მელიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „არის სიმღერა ათასმნიანი, ხალხთა ოცნების ფრთებზე ნარწევია“. რუსი პოეტი ქალის ლექსში გიორგი სალუქვაძემ იგრძნო მშობლიური კუთხის სუნთქვა, მისი სილამაზე და სიმდიდრე. „და თვითონაც გამოხატა ეს მრავლისმეტყველი განცდა გულწრფელ სტრიქონებში. ლექსი „ოლეგ“ იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით ამ განყოფილებაში ერთ-ერთი ძლიერი ლირიკული ნაწარმოებია. მაგრამ დაბალია შემეცნებითი ღირებულება ლექსებისა „შავი ზღვა ღამით“ და „ჩემი ბაღი“. ვერც ერთი ეს ლექსი მთლიანად ვერ უბასუხებს ციკლის იდეურ-თემატიკურ დანიშნულებას.

გ. სალუქვაძის ომისდროინდელი ლირიკა გასტყვალულია ხალხის გმირული ბრძოლების რომანტიკით, მტერზე გამაზრავების მტკიცე რწმენით. ლექსების რკალში „მუხა ჩემი სახლის წინ“ საბრძოლო ლირიკის რამდენიმე კარგი ნიმუშია. ლექსი „იძინე მშვიდად“ სამშობლო-სათვის გმირულად დაღუპული მამის გულწრფელი დატირებაა.

ლექსში „მუხა ჩემი სახლის წინ“ განზოგადებულად დახატულია მამულისათვის თავდადებული მებრძოლის პორტრეტი. „დაღუპულ მამას მავონებს მუდამ, დგას, როგორც მისი ცოცხალი ძეგლი“. სახლის წინ მდგარი მუხა სამამულო ომის გმირის სიმბოლური სახეა. მებრძოლი შეუდრეკლად იცავდა მშობლიურ სახლ-კარს, როგორც ტოტემძლიერი მუხა იცავს სახლს, მის სახურავს, რომ „ვეღარ აგნოს სახლს ქარიშხალმა“. მართალია, ამ განყოფილებაში წარმოდგენილი ყველა ლექსი არაა თანაბარი პოეტური სიძლიერით დაწერილი, მაგრამ საერთოდ მათში მძლავრად ჩქეფს საბჭოთა ადამიანის ცხოველმყოფელი პატრიოტიზმი, უსაზღვრო თავგანწირვა მტერთან შერკინებისას.

„შავადა ქართველი აფრენილ არწივს და გორგასალის გასროლილ ისარს.

აელვარებდა ხმალს ქუდზე კაცი, არ აშინებდა სიმრავლე მტრისა“.

მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სიხარული იგრძნობა გ. სალუქვაძის პატრიოტულ ლირიკაში. აღწერს პოეტი აჭარის ბუნების სურათებს თუ ადამიანის საარაკო შრომას, ყველგან გამოხატავს სამშობლოს ბედნიერებისა და აყვავების უძლეველ მისწრაფებას. ჩვენს ქვეყანაში ახალი ქალაქების დაბადებასა და ბუნების გარდაქმნას პოეტი ეხება ლექსებში: „ქალაქი ვოლგაზე“, „ბაღი უდაბნოში“, „მწყემსი“, „ორი სარფი“, „ყანაში“ და სხვ. ლექსი „დურგალი“ საინტერესოა თემატიკური კონკრეტულობითა და ფორმის სისადავით. ამბავი ლექსში გადმოცემულია ძალდაუტანებლად, ლირიკული უშუალობით. აქ არ გვგვდება ზოგადი ფრაზები, უსიცოცხლო, სქემატური სახეები.

მშვიდობის თემაზე შექმნილია რამდენიმე ლექსი, სადაც გამოხატულია მშრომელი ადამიანის დაუცხრომელი მისწრაფება მშვიდობიანი ცხოვრებისაკენ, ხალხთა ერთიანობისაკენ.

სატრფილო ლირიკის ზოგიერთი კარგი ნიმუშია „ფერთა წყაროს“ ლექსების ციკლში. სიყვარული ადამიანის ამამაღლებელი გრძნობაა. უმისოდ მკრთალი და უშინაარსოა ცხოვრება. უსიყვარულოდ დარჩენილ ქალს პოეტი „უყვავილებო ლარნაკს“ ადარებს. სიყვარულის ღამაზე გრძნობა ძალას უკარგავს ფიზიკურ სიმანჯვს: „როცა გულში სიყვარული ხარობს, აღამაზებს ქვაშიოდოს სახეს“ („წარწერა წიგნზე „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“). ამ კეთილშობილური გრძნობის მატარებელი ქალი, „უქეთეს ფიქრთა და პანგთა“ მპყრობელი, გატაცებით აშენებს კომუნისტურ ცხოვრებას. ასე წარმოგვიდგება ძირითადად ამ ლექსების ლირიკული გმირი, რომლის მისამართით შთაგონებულად ამბობს პოეტი: „პანგთა წყარო, ფერთა წყარო მხოლოდ

შენა ხარ“. ეს პირად-ინტიმური განცდა პოეტისა რიგ ლექსებში მართლაც იღებს განზოგადებულ ხასიათს („მედიცინის და“, „ყაშირის ია“, „ფერთა წყარო“ და სხვ.), მაგრამ ზოგიერთი ლექსი, მაგალითად, „შენი სიმღერა“, „ოცნების დროს“, „თუ იგონებ“ ამ მხრივ არ არის სრულყოფილი.

გ. სალუქვაძის ზოგიერთი ლირიკული ლექსი ხასიათდება ზოგადი ამღერებით. თემატიკურ მასალას არ აქვს მოძებნილი კონკრეტული მხატვრული ასპექტი. ზოგ სალუქსო სტრიქონს და ფრაზას ამძიმებს მსჯელობითი ტონი, აკლია ემოციური ცხოველყოფილობა.

მთლიანად გ. სალუქვაძის ლირიკას ხასიათებს თხრობის ბუნებრიობა, რიტმის სილამდე და ენობრივი დახვეწილობა. ლირიკული უშუალობითა და სისადავით გამოირჩევა მრავალი ლექსი („დურგალი“, „მუზეუმის მშენებელი“, „ვაზის

ძირი დაილოცოს“ და სხვ.). მცირედი გამოწერის გარდა, არ გვხვდება ქართული ენის ბუნებისათვის შეუსაბამო გამოთქმები, ყალბი ტონი. პოეტი გაბედულად იყენებს მოხდენილ მხატვრულ გამოთქმებსა და შედარებებს, ნაირსახოვან სამკაულებს. მაგალითად:

„იშლება ლექსი, როგორც ყაყაჩო,
როგორც ვარდები წინანდალისა“.

მაგრამ ხანდახან გვხვდება ბუნდოვანი სახეები და უხერხული გამოთქმებიც. ასე, მაგალითად, „შეირხა ნათელ ფიქრთა გროვანი“, „საზარ სახეს შავი კვამლი ლანძავს“ (დიალექტისმიერი სიტყვა) და სხვ.

გ. სალუქვაძეს თამამად შეუძლია შექმნას ჩვენი ეპოქის ღირსეული სიმღერა. ამას ადასტურებს როგორც მისი ორიგინალური შემოქმედება, ისე ცნობილი რუსი პოეტის ს. ესენინის ბრწყინვალე ქართული თარგმანები.



ლავით ნახვალაქა

ისიც ილვნოდა გაგუდისათვის...

მშობლიური ხალხის ცხოვრებაში ღრმა კვალის დაჩენა დიდ მოღვაწეთა წილ-ხვედრია. მაგრამ არიან თითქმის უჩინა-რი ადამიანები, რომელთაც შეძლებისა-მებრ გულწრფელად უზრუნველათ მშობ-ლიური ქვეყნისათვის და მათ ხალხი არ ივიწყებს. ამ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის გრიგოლ გურიელიც.

გრიგოლ დავითის-ძე გურიელი გური-ის მთავართა შთამომავალია. იგი იყო შესანიშნავი ქველმოქმედი, პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე. გრიგოლის მშო-ბლები გურიის სამთავროს გაუქმების შე-მდეგ სტამბოლში გადასახლდნენ, ხოლო თავისი პირმშო მოსავლელად და აღსა-ზრდელად ჩააბარეს ნათესავს, კინტრი-შის სეოხის მკვიდრს ქართველ მაჰმადიან ჯაშს. ლტოლვილ გურიელებს მტკიცედ სჯეროდათ, რომ მალე აღიდგენდნენ და-კარგულ დიდებას და კვლავ დაუბრუნდე-ბოდნენ სამშობლოს. მათ ამ ამოო მო-ლოდინში უცხოეთში აღმოხდათ სული.

აჭარელ ჯაშის ოჯახში გრიგოლი დიდი პატივისცემითა და მზრუნველობით იზრ-დებოდა. გრიგოლს ძალიან უყვარდა თავისი აღმზრდელები და ის კუთხე, სადაც ბავშვობის საინეტარო წლები გაატარა. „გრიგოლი ქართველ მაჰმადიანებში იმ-ყოფებოდა, იქ გაიზარდა და ამიტომ გა-

მოყვა ამ კუთხის განსაკუთრებული სიყ-ვარულით“, წერდა გაზეთი „ივერია“ (№ 288, 1891 წ.). მერე, უკვე სასკოლო ასაკის გრიგოლი გურიაში გადაიყვანეს და, როგორც დიდგვაროვანთა შთამომა-ვალი, თბილისის „აზნაურთა სკოლაში“ (შემდეგ გიმნაზიად გადაკეთდა) მიაბარეს. აღსანიშნავია, რომ ამ დროს აქ სწავლობ-დნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწე დ-ბაქრაძე, პოეტი ნ. ბარათაშვილი და სხვე-ბი. „ნიკ. ბარათაშვილი ჩემი დიდი მეგო-ბარი იყო“, გადმოგვცემს გრიგოლ გუ-რიელის ნაამბობს ზ. ჭიჭინაძე.

გიმნაზიაში გრიგოლი პოეზიითაც ყო-ფილა გატაცებული, წერდა ლექსებს. იგი თანაუგრძნობდა 1832 წლის შეთქმულე-ბის მონაწილეებს. მეფის მოხელეები გრიგოლს აბრალბდნენ ორგულობას, მთავრობის საწინააღმდეგო ლექსების წე-რას. ეს იქნებ ასეც იყო... 1833 წელს გა-უჩხრეკიათ კიდევეც მისი ბინა, მაგრამ გრიგოლს მოუტყურია ყველა თავისი „სა-ევეკო“ ნაწერის განადგურება. რა თქმა უნდა, გრ. გურიელი არც იმ დროს და არც შემდგომ არ ყოფილა მეფის მთავ-რობის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი და პროტესტანტი. იგი სამხედრო სამსა-ხურს ერთგულად ასრულებდა და ამი-ტომაც მეფის ხელისუფალთა ნდობაც და-

იმსახურა. ამას ისიც აღსატურებს, რომ ზოლოს გრიგოლმა გენერალ-მაიორის ჩინი მიიღო. ერთი კი არის: იგი იყო თავისი სამშობლოსა და მშობელი ერის მოსიყვარულე და მგზნებარე პატრიოტი. მუდამ ფიქრობდა იმ ქართული ტერიტორიების დაბრუნებაზე, რომლებიც დღესაქართველოს ძალრი წარსტაცეს თურქმა დამპყრობლებმა. ამიტომ იგი აღტაცებით შეეგება იმ ფაქტს, რომ რუსეთ-თურქეთის 1829 წლის ომის შედეგად საქართველოს დაუბრუნდა ახალციხის მხარე. მაგრამ თურქეთის მფლობელობაში კვლავ რჩებოდა ქართული მიწის დიდი ნაწილი და გრიგოლი ოცნებობდა იმ დროზე, როცა ისიც დაუბრუნდებოდა საქართველოს.

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, როგორც ცნობილია, რუსეთი გააქტიურდა და გადაწყვიტა დაებრუნებინა თურქთა მიერ მიტაცებული მიწები. მაშინ გრ. გურიელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის სასაზღვრო ჯარების უფროსი იყო. იგი ახლო იცნობდა აჭარის ბეგებს და ზოგიერთ მათგანს (შერიფ ხიმშიაშვილს, ქობულეთელ თავდგირიძეებს) ენათესავებოდა კიდევაც. გრიგოლ გურიელი აჭარა-ქობულეთში დიდი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა. ამ მრავალმხრივ განათლებულ ადამიანს, ქართული და რუსული ლიტერატურის ღრმად მცოდნეს განსაკუთრებით აინტერესებდა მშობელი ერის ისტორია და მას გულმოდგინედ ეწაფებოდა. ცნობილ გეოგრაფ გენერალ-ლეიტენანტ გიორგი ყაზბეგთან ერთად იგი დაკავშირებული იყო ი. ჭავჭავაძესთან, გრ. ორბელიანთან, აკაკი და გიორგი წერეთლებთან, სერგეი მესხთან, ზ. კიკნაძესთან და სხვ. ი. ჭავჭავაძე გრ. გურიელს სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის ისტორიული წარსულის შესასწავლად დავალებებსაც აძლევდა. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს მწერალი გ. წერეთელი გრ. გურიელთან ერთად აგრძელებდა

მასალებს აჭარის გმირული წარსულის შესახებ და აწვდიდა მათ ქართულ პრესას. რუსეთ-თურქეთის მომავალ ომში მოსალოდნელი იყო, რომ თურქები ჯარში გაიწვევდნენ აჭარლებს, რომლებსაც ბრძოლა მოუხდებოდათ რუსი და ქართველი მხედრობის წინააღმდეგ და, მასა-სადაც, ამაოდ დაიღვრებოდა ძმათა სისხლი. ამიტომაც მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ი. ჭავჭავაძის მეთაურობით უკავშირდებოდა გავლენიან აჭარელ ბეგებს და შთაგონებდნენ მათ, რომ ჩაეშალათ აჭარლების გაწვევა ოსმალეთის ჯარში. ამ საქმეში თავისი წვლილი შეჰქონდა გრ. გურიელსაც. 1874 წლის გაზაფხულზე იგი ჰაეციალური დავალებით გაემგზავრა აჭარაში. მის ამალას გააყო-ლეს თითქმის გურიელის მოსამსახურე გიორგი ყაზბეგი, რომელსაც დაევალია ტოპოგრაფიული მასალების შედგენა. გრ. გურიელი, როგორც სტუმარი, ეწვია თავის ნათესავს შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს. შერიფ-ბეგმა სტუმრები დიდი აღფრთო-ვანებით მიიღო. ერთ დამეს ბეგის მსახუ-რებმა შენიშნეს, რომ გ. ყაზბეგი ლოგი-ნიდან წამოდგა და რაღაცას წერდა. მსა-ხურებმა გ. ყაზბეგის ასეთი საქციელი სა-ეჭვოდ მიიჩნიეს და შერიფ-ბეგს მოახსე-ნეს. შერიფ-ბეგიც დაეკვდა და ამის შე-სახებ გრ. გურიელს გაუზიარა თავისი გუ-მანი. ისიც იძულებული გახდა ნათე-სავი მასპინძლისათვის გულწრფელად გა-ემხილა მათი მოგზაურობის მიზანი და გ. ყაზბეგის ვინაობა. შეშინებულმა ბეგმა შემდეგი სიტყვებით მიმართა მას: „ბა-ტონო და ძია გრიგოლ! ოსმალებმა რომ შეიტყონ ეს ამბავი, რაც ჩემს პაპას ახ-მედ-ფაშას და მის მამას სელიმ-ფაშა ხიმ-შიაშვილს უყვეს, იმაზე უარესს მიზამენ, თავს მომჭრიან და სახლ-კარს ამოხრე-ბენ. რომ ეს არ მოხდეს, მე დღეს თქვენ-თვის ყველაფერს გავამზადებ და ხვალ დილისთვის ადრევე წაბრძანდით აქე-დან, რათა თქვენს აქ ყოფნას ცუდი შე-დეგი არ მოყვეს. თუმცა, ბატონო გრი-

გოლ, ეს გარემოება ჩემთვის ერთობ მძიმეა და არა მოსაწონი“.

გრიგოლმა თხოვა შერიფ-ბეგს, ყოველივე ეს საიდუმლოდ შეენახა.

ეს ფაქტი ნათლად მოწმობს, თუ რა დიდი მისია ეკისრებოდა გრ. გურიელის ამალას დედა-საქართველოსთან აჭარის შემოერთების მომზადებაში. გრიგოლის ტკბილი, დაყვავებული რჩევითა და გავლენით ბევრი აჭარელი გადმოიბირეს და სანტერესო მასალებიც შეკრიბეს. სწორედ ამ მასალებმა შთააგონა გეოგრაფ გ. ყაზბეგსა და ისტორიკოს ღმ. ბაქრაძეს დაეწერათ მეცნიერული გამოკვლევანი ე. წ. „ოსმალის საქართველოს“ შესახებ.

„უკეთესი გამოკვლევანი ამ პროვინციისა ბაქრაძის და ყაზბეგის მიერ, გურიელის თანაშემწეობით მოხდა და უიმის-შემწეოდ მოუხერხებელი იყო ეს საქმე“, წერდა გაზეთი „ივერია“ 1891 წელს (№ 256).

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის დაწყების წინ გრ. გურიელმა დიდი მოლაპარაკება გამართა ქობულეთის ბეგებთან — ალი და ოსმან თავდგირიძეებთან, რომელთა ნათესავიც იგი იყო. გრიგოლი ცდილობდა მოსალოდნელ ომში მომძვინვარება სისხლი არ დაღვრილიყო და თავდგირიძეებს ურჩევდა თურქეთის სამსახურში არ გაეწვიათ აჭარლები, მაგრამ გაფანტალებული და ზონტქრის ოქროებით მოსყიდული თავდგირიძეების გადმოიბირება არ მოხერხდა. მეორე მხრივ, თურქები არ ენდობოდნენ აჭარლებს, პირიქით, ეკვის თვალთ უყურებდნენ მათ. სწორედ ამიტომ უკმაყოფილება ჩამოვარდა ოსმალეთის მაშინდელ სამხედრო მინისტრს დევრიზ-ფაშასა და ალი-ფაშა თავდგირიძეს შორის. დევრიზ-ფაშა თავდგირიძეს ეუბნებოდა: „თქვენ ქართველები ზარბაზნად გვიღობებთ“. ამიტომ თავდგირიძეების მოქმედებას წამაღწეოდა ზეგარდა იგი. ეს ამბავი დიარხა მაჰმადიან ქართველებში, რომლებმაც ალი-ფაშა თავდგირიძეს ლექსიც კი გამოუთქვეს. ეს

ლექსი დღეს ძველ სიმღერადაა ცნობილი „ალი-ფაშა გვიღობებს“ სახელით.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის დამთავრების შემდეგ, როცა ისტორიული უკუღმართობა ნაწილობრივ გამოიწვია და აჭარა დედა-სამშობლოს შეუერთდა, გრ. გურიელი ბათუმის ოლქის ჯარების უფროსი იყო, მაგრამ ერთი წლის შემდეგ სამხედრო სამსახურს თავი დაანება და ცხოვრობდა ოზურგეთში (დღევანდელი მახარაძე). აქ იგი მთელი ენერგიით ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას. 1885 წელს მისი თაოსნობითა და ხარჯით ქართულ ენაზე დაიბეჭდა შესანიშნავი ძეგლი „ქილილა და დამანა“. გარდა ამისა, იგი კრებდა საისტორიო მასალებს და ზრუნავდა მათი გამოცემისათვის. 1885 წელს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა ისტორიკოს ღმ. ბაქრაძის წერილი, რომელშიც ჩამოთვლილია გრ. გურიელის დედა გური-აჭარაში ისტორიული ძეგლების შეგროვების საქმეში. კერძოდ, გრ. გურიელს ღმ. ბაქრაძისათვის გადაუცია ეტრატზე მაღალი ხელოვნებით შესრულებული ასომთავრული ასოებით ნაწერე სახარება, მეათე საუკუნის კალიგრაფია და მხატვრობა. მანვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა XVIII საუკუნის სიგელ-გუჯარი, 1783 წელს დაბეჭდილი კონდაკი, გურიაში შეკრებილი ფოლკლორული მასალები, კინტრიშის ზეობაში ნაპოვნი უნიკალური ძეგლები და ა. შ.

გრ. გურიელი განსაკუთრებით ზრუნავდა სახალხო განათლების ამოღებისათვის. მისი ინიციატივით გაიხსნა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი, რომელსაც თითქმის მესამედ ფასად დაუთმო თავისი სასახლე. ჯერ კიდევ აჭარის შემოერთებამდე „გრ. გურიელი მრავალ ქართულ წიგნსა და ურნალს გზავნიდა ოსმალის საქართველოში და ამ გზით... ნიდავს უმზადებდა იქაურ მკვიდრთა შორის წერა-კითხვის და სწავლა-განათლების დანერგვის საქმეს“, — წერდა 1891 წელს გაზეთი „ივერია“ (№ 256).

გრ. გურიელმა აღზარდა და პეტერ-
ბურგში განათლება მიაღებინა აკადემი-
კოს ნიკო მარს. იგი თითქმის მთელ თა-
ვის ჯამაგირს არიგებდა ქობულეთელ მაჰ-
მადიან ქართველებში და იღვწოდა ქობუ-
ლეთში ქართული სკოლის გახსნისათვის.
„თუ ჩორუქსუში სკოლას გამართავთ,
სახლს მე ავიგებთო“, — ეუბნებოდა ქო-
ბულეთის თავკაცებს. გარდა ამისა, გრ.
გურიელი ორ მაჰმადიან ქართველს თა-
ვის ხარჯზე ზრდიდა თბილისში.

გრ. გურიელის თაოსნობით ოზურგეთ-
ში დაარსდა სტამბა. იგი ოცნებობდა ბი-
ბლიოთეკის გახსნაზეც. სხვათა შორის, მას
ჰქონდა უმდიდრესი პირადი ბიბლიოთე-
კა, სადაც მუშაობდა ცნობილი კლასიკოსი
ეგნ. ნინოშვილი. აქ, ამ წიგნთსაცავში გა-
ეცნო ბელეტრისტი 1841 წლის აჯანყე-
ბის მასალებს, რომელთა საფუძველზეც
შემდეგ შექმნა თავისი უცვლადი რომანი
„სამწუხარო შედეგი“ („ჯანყი გურიაში“).

ზ. კიკინაძე იგონებს, რომ „გრიგოლ
გურიელის სახლი საცხე იყო წიგნებით.
მას ყოველი ახალი წიგნის გამოსვლა ახა-

რებდა, ყველა ჟურნალ-გაზეთის იწებდა, აწუხებდა ჩვენი სიზარმაცე, სიღარიბე და საყვედურით იხსენიებდა იმ მდიდარ ქარ-
თველებს, რომლებიც დაიხოცნენ და სა-
მშობლოს არ გამოადგნენ“.

გრიგოლ გურიელი გარდაიცვალა 1891
წლის 29 ნოემბერს ოზურგეთში. მის
დასაფლავებას ფართოდ გამოეხმაურნენ
გაზეთები „ივერია“ და „დროება“. კერ-
ძოდ, ილ. ჭავჭავაძის „ივერიამ“ შემდეგი
სიტყვებით მოიხსენია გრიგოლ გურიე-
ლის ღვაწლი:

„გრიგოლის დაცარგვის გამო მთელი
საქართველო ჰგოდებს, მთელი საქარ-
თველო ვიშობს და ვალალობს. აბა, ვის
უნდა წაჰყვეს ქვეყნისა და ერის ცრემ-
ლი, თუ არა ისეთ კაცსა, რომელიც მუ-
დამ თავის ქვეყნისა და ერის წარმატე-
ბასა და წინ წაწევის შესახებ ფიქრობდა.
მაშ ვინ უნდა დაიტყროს საზოგადოებაჲ
გულწრფელი ცრემლით თუ არა გრიგო-
ლი, რომელმაც ერისა და ქვეყნის წარმა-
ტების ფიქრებში და ამ ფიქრის საქმედ
ქცევის საქმეში დალია სული“.



აზიზ ახვლედიანი

ხადხუკი ღამის „სოღალა“

„ივერიის“ 1877 წლის № 8 დაბეჭდილია პ. უმიკაშვილის წერილი „ოსმალის საქართველო“, რომელშიც ვკითხულობთ: „რომ ქართული ენა თითქმის შეუცვლელია ოსმალის საქართველოში, ამის დასამტკიცებლად მოგვყავს აქ სოღალა ლექსი, რომელიც აჭარაში ყველგან საშლერალთა აქვთ და რომელიც საქართველოს ყოველ კუთხეში იმერეთში თუ ქართლ-კახეთში, ხევსურეთში და სხვაგან, საკვირველად მოფენილი და გავრცელებულია. ეს ლექსი ქართლ-კახეთის კილოთია აქამომდის დაბეჭდილი სხვათაშორის „ღედა ენაში“ და აქ ვბეჭდვთ ნამდვილის აჭარულის კილოთი“.

რა თქმა უნდა, დიდად საინტერესოა, სად შეიქმნა პირველად სოღალა ესოდენ პოპულარული ლექსი, ვინ არის თვითონ სოღალა და როდის ცხოვრობდა იგი.

შინაარსის მიხედვით, ლექსში აღწერილი ამბავი თითქმის საკმაოდ შორეულ წარსულს უნდა ეხებოდეს. მინაწერების მიხედვით, რომელიც ზოგიერთ ვარიანტს ახლავს, სოღალა ისტორიული პირია, იგი მესხია და ცხოვრობდა XVII საუკუნეში. უმრავლესობა ამ მინაწერებისა ასეთი შინაარსისაა: „სოღალა იყო კოპაძე, მისი

ნასროლი ჯირითი ერთ ვერსამდე მიდიოდა. ამისი სიმამრი ჰაჯი ფაშა იყო, გამშენებული ციხის ჯამისა აია სოფიის ჯამის გეგმაზედ, ახლა რომ ჯარის ეკლესიად არის ახალციხეს“. ყველა ესენი, ფაქტურად გამეორებაა „ძველი საქართველოს“ III ტომში დაბეჭდილი ჩანაწერისა. არსებულ ვარიანტთა შედარება (რომელთა რიცხვი ორ ათეულამდე აღწევს), თქმულება-გადმოცემების პროზაული ჩანაწერები და მათი შეჯერება ისტორიულ წყაროებთან საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „სოღალა ლექსი“ შექმნილია არაუგვიანეს XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დასაწყისისა.¹

ჩვენს ხელთ არსებულ ვარიანტთა უმრავლესობა აჭარაშია ჩაწერილი. აღსა-

¹ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ლექსის შექმნის დრო უფრო ადრეა საგულისხმებელი, კერძოდ, XVI საუკუნის 80-იანი წლები და სოღალას სახელი ყვარყვარე V ათაბაგის სახელს დაეუკავშირეთ (იხ. „ქართლის ცხოვრება“, II, 1959 წ., გვ. 526), მაგრამ საკითხის საფუძვლიანი შესწავლა ამ ვარაუდს არ ამართლებს.

წიშნავია ისიც, რომ ამ ლექსის მცოდნეთ აჭარის უხუცეს წარმომადგენელთა შორის დღესაც ვხვდებით. ამასთან საყურადღებოა, რომ აღნიშნულ ვარიანტთა მთქმელები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ „სოლადს“ ერთი ვარიანტი შეტანილი აქვს დოქ. ჯ. ნოლაიელს თავისი „ხალხური სიტყვიერების“ მეორე წიგნში (გვ. 183-184). ხოლო ერთ-ერთი უძველესი ვარიანტი პ. უმიკაშვილს ჩაუწერია 1859 წელს სოფ. მერისიდან კახეთში გადასახლებულ თავდგირიძის თქმით. გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, სოლადს აჭარული ვარიანტები დაიბეჭდა „ივერიასა“ და „დროებაში“. ეს ცნობები (რა თქმა უნდა, არასრულად) იმიტომ მოვიტანეთ, რომ გვეჩვენებინა, თუ როგორ იყო და არის ახლაც გავრცელებული „სოლადს ლექსი“ აჭარაში, რაც სხვა მონაცემებთან ერთად, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ, დაგვარწმუნებს, რომ იგი აქ, აჭარაში, წარმოშობილ და შემდეგ გავრცელებულა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

სოლად, როგორც საყუთარი სახელი, ძალზე გავრცელებულია აჭარაში. გვარი სოლოდლი (ახლა ბევრი ამ გვარის მატარებელი ბერძენი იწერება) და სახელი სოლად ახლაც ხშირად გვხვდება. თ. ახოკიას თავის წიგნში მოჰყავს ის ქართული გვარები, „რომლებიც ხელუხლებლად ბირვანდელი სახით დარჩენილა და ზომლებიც აჭარაშია შეკრებილი“. აქ დასახელებულ გვართა შორის არის სოლოლაშვილი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი გვარი საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება. ცალკე ეს სახელი შემორჩენილია ერთ ძველ საყოფაცხოვრებო თემებზე შეთხზულ ლექსშიც:

„სოლადავო, სოლადავო,
მამაშენმა გაგახაო,
საქათმიაში დიეკარგე,
აჭყავაშია მოგნახაო“.

მაინც რა დროს არის შექმნილი ეს ლექსი? როგორც უკვე ითქვამო, გიერთი მკვლევარის აზრით, იგი უნდა ეკუთვნოდეს XVII საუკუნეს, როდესაც სამხრეთ საქართველოში (მესხეთ-ჯავახეთში) ოსმალებს მტკიცედ ჰქონდათ მოკიდებული ფეხი და ადგილობრივ ხელისუფალთა მოხსნა-დანაშენს თვითნებურად განაგებდნენ (გ. კალანდაძე, ქართ. ხალხ. ბალადა, გვ. 48). ალ. ხახანაშვილი წერდა, რომ ამ ამბავში ასახულია თურქეთისა და მესხეთის ურთიერთობა XVII საუკუნეში, როდესაც მესხეთი მთლიანად მოექცა ოსმალთა ბატონობის ქვეშ (იხ. ნარკვევები (რუს.), გვ. 57). ლექსი რომ მართლაც იმ დროს არის შექმნილი, როდესაც სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში მტკიცედ ჰქონდათ თურქებს ფეხი მოკიდებული, ეს უდავოა, მაგრამ XVII საუკუნეთი მისი დათვარილება საუკეთესოა იყოს.

საინტერესოა გ. კალანდაძის მიერ მოტანილი ერთი თქმულება: „სოლადი იყო ივლიტელი... მას ჰყავდა სიძე აღზია აჩუყიჩაღა, რომლისთვისაც მიაციებინა ფაშობა“. ვინ არის ეს აღზია აჩუყიჩაღა? მივმართოთ ისტორიას. ხ. ახვლედიანი, ლაპარაკობს რა ხიმშიაშვილთა გვარის განმტკიცებაზე აჭარა-ახალციხეში, კერძოდ, ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილის ბრძოლებზე თურქეთის მმართველობის წინააღმდეგ, რომელიც XIX საუკუნის 30-იან წლებით თარიღდება, მოჰყავს თურქი ისტორიკოსის ჯევედეთის („თარიხი ჯევედეთი“) შემდეგი ცნობა: „ახმედ ბეგის ხალხს დიდძალი ხალხი შეემატა... ახალციხის „ოჯაკილი“ იანიჩარის აღათავან ვინმე აღზი აჩუყ მეჰმედმა მას დიდი დახმარება გაუწვია და იკისრა მისი მფარველობა“ (ხ. ახვლედიანი, ნარკვევები..., გვ. 51). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულ „საისტორიო მისიონერულ წერალებში“ სახელები: აღზი აჩუყ, აღზი ბეიუგ და სხვ. ხშირად გვხვდება. ასეთი ზედმეტი სახელები, შერქმეული ცალკე-

ული პირებისადმი, აჭარაშიც დასტურდება. თუ ზემოთ მოტანილ თქმულებაში ხსენებული პირი ისტორიკოს ჯეფდეთის მიერ დასახელებული აღზი აჩუკია, რომელიც თქმულების მიხედვით სოლალას სიძეა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ სოლალა ახმედ და სელიმ ხიმშიაშვილების თანამედროვეა. იმავე თქმულების მიხედვით, სოლალას მისცეს ფაშობა, მაგრამ მან არ ინდობა, ვერ მოვიხმარო. ლექსის თითქმის ყველა ვარიანტში ნათქვამია, რომ სოლალა მიდის სტამბოლს გარკვეული დავალებით და გარკვეული მიზნით. კერძოდ, რომელი ხიმშიაშვილის დროს შეიძლება სოლალას გამგზავრება ხონთქარის კარზე? ახმედ-ბეგი (სელიმის შვილი) სულთნის კარზე აკურთხეს ფაშად (1826 წ.) და ისე წარმოგზავნეს აჭარა-ახალციხეს. ასე, რომ მას არ დასჭირდებოდა ვინმეს შუამავლობა. სელიმი კი მამის აბდულ-ბეგის სიკვდილის შემდეგ (1784 წელს) შეებრძოლა ახალციხის მფლობელ შერიფ-ფაშას, დაამარცხა იგი და თვითონ დაიჭირა ახალციხის საფაშო 1802 წელს (ვ. იაშვილი, აჭარა ისმალთა ბატონობის პერიოდში, გვ. 105). ახალციხის მუზეუმის აღნიშნულ „წერილებში“ ნათქვამია: „1803 წლის 13 თებერვალს აჭარელ სელიმ ალას ყაფუჯი ბაშობა მოუვიდა“ (გვ. 76). ამ დროისათვის, როგორც ჩანს, სელიმი ჯერ კიდევ ალაა და არა ფაშა. იმავე „წერილების“ 78-ე გვერდზე წერია: „1803 წ. 21 ენკენისთვის სელიმ ფაშას თულები და მეყარამა მოუვიდა“. აქ უკვე სელიმი ფაშის ტიტულით იხსენიება. ამასვე ადასტურებს „საქართველოს სიძველენში“ მოთავსებული 1803 წლის 26 აგვისტოთი დათარიღებული წერილი, რომელსაც სელიმ-ალა ყოფიანი უგზავნის იოსებ მიშვარბაშს (ბე-ბუთაშვილს — ა. ა.): „ვიციტ გიამებათ, ხიმშიაძეს სამი თულით ახალციხის ფაშობა მოუვიდა უმაღლესი ხელმწიფიდან და ჩვენ სალახობობა“ (ტ. III, 1910 წ., გვ. 99). „წერილების“ მომდევნო გვერდებზე ვხვდებით ასეთ ჩანაწერებსაც:

„1804 წ. 24 იანვარს სელიმ ფაშას ფაშობის მუქდა მოუვიდა“ (გვ. 79). „1804 წ. 17 თიბათვეს სოლაბეგი სტამბოლითგან მოვიდა“ (გვ. 80). შესაძლოა ეს სოლაბეგი (ამჟამად უკვე ბეგის ტიტულით შემკობილი) იყოს ის სოლალა, რომელიც ჩვენ გვიანტერესებს.

დადგენილია, რომ სელიმ ხიმშიაშვილს სულთნის „კურთხევა“ უშუალოდ მის კარზე არ მიუღია. ბუნებრივია, რომ სელიმი ამ ტიტულის მისაღებად სულთნის კარზე სტამბოლში სათანადო ცოდნითა და ძალ-ღონით აღჭურვილ კაცს გაგზავნიდა. ასეთ კაცად გვეჩვენება ჩვენ სოლალა, რომელსაც რაღაც ნათესაური კავშირიც უნდა ჰქონოდა სულთანთან, ან სხვა რომელიმე წარჩინებულ პირთან: „სოლალა სტამბოლს წავიდა თავის სიმამრის კარზეა“ (იხ. „ივერია“, 1877, № 8), რომელსაც „ვეზირნი ჰკოცნიან კალთასა“. მას ჯირითში გამარჯვების შემთხვევაში პირადებიან „ფაშობაჲს იმ ახალციხის კარზეა“ (იქვე). ჩვენი ყურადღება მიიპყრო აგრეთვე იმანაც, რომ ლექსის ბევრ ვარიანტში მოხსენებულია სელიმ-ფაშაც:

„სოლალა და სელამ ფაშა
დასხდნენ ღვთის სამართალზედა,
აღვნენ და ქვეით წაიღვდნენ
დიდი ყვენის კარზედა“.

დანარჩენ უმრავლეს ვარიანტებში ლიპარაკია ჩაი/რ/ბეგზე, რომელიც მიდის ხონთქარის კარისაკენ სოლალასთან ერთად. ვინ არის ჩაი/რ/ბეგი? საკუთარი სახელით თუ რაიმე წოდებას აღნიშნავს? ჩვენ გვგონია, რომ ჩაი/რ/ბეგი იგავე დერებეგია (იხ. ვ. იაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 59, ჩვენი „ოლქა, ოლქობა“, ლიტ. აჭარა, 1962 წ., № 1, გვ. 67; სახ. მუზეუმის ფ. № 231, გვ. 17), რომელსაც ეტყება ყველა ხევის უფროსს, შემდეგში უკვე ცალკეულ ბეგებს. სელიმი, ვიდრე ფაშობის ოფიციალურ ტიტულს მიიღებდა (1802 წ.), იწოდებოდა დერებეგად, ჩაი/რ/ბეგად (ჩაი/რ/ბეგი-დერებეგი თურქული სიტყვებია და მიტყუა-სიტყვით ხევის-

თავს, ხევის უფალს ნიშნავს).¹ იგი მიჰყვება თავის წარგზავნილ დესპანს, მაგრამ გრძნობს რა დამნაშავედ თავს სულთნის წინაშე მომხდარი უზურპაციის საქმეში, უკან ბრუნდება. ამ აზრს ისიც ამტკიცებს, რომ ვერცერთ ვარიანტში უკვე სულთნის კარზე მომხდარ ამბებში, სოლდას გარდა, აქედან ჩასულს ვერავის ვერ გზავნის. ერთ-ერთ ვარიანტში, რომელიც ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდშია დაცული, ნათქვამია:

„სოლოღან და ფერის ფაშა
დასდნენ ღვთის სამართალზედა“.

ფერს, ფერიანს ეშვას, ეშვაქელს ეტყვიან თურქული გააზრებით აქარულში. ცხადია, ხელისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სელიმს მოწინააღმდეგეები ეშვასის ეპითეტით შეამკოდნენ.

თუ ჩვენი ჯარადები მართალია, მაშინ სოლდა სელიმის თანამედროვეა და იგი არის წარგზავნილი სულთნის კარზე სპეციალური დავალებით — დაუმტკიცოს სელიმს ხიმშიაშვილს ოფიციალური ტიტული ფაშობისა. მიხანი მიღწეულია, სოლდას ეუბნებიან: „გიჩდ შენ ქენი ფაშობა, გინდა გადიეცი სხვაზე“ (შ. რუსთაველის სახ. ლიტ. ინსტ. ფოლკ. არქივი, № 113). მაგრამ წინასწარი ნდობით აღჭურვილმა სოლდამ, როგორც ალ. ხახანაშვილი შენიშნავს, ამჯობინა არ მიეღო ეს ტიტული და თანამდებობას კი არა, საკუთარ მკლავს დაყრდნობოდა.

ჩვენთვის ცნობილი ყველა ვარიანტის მიხედვით, სოლდა გამარჯვების შედეგ მშვიდობით ბრუნდება სამშობლოში. 1961 წელს გაზეთ „ლელოში“ (№ 3) დაიბეჭდა ა. ციბაძის წერილი „ვისაუბროთ გულახდილად“, სადაც ლაპარაკია სა-

ბკოთა სპორტსმენის მორალურ დეგრადაციის პრინციპებზე. წერილში სხვათა შორის, ლაპარაკია სოლდაზეც, როგორც „სახელგანთქმულ ქართველ მოჯირითეზე“. გამარჯვების შემდეგ „სირცხვილანაჲმამა თურქებმა სიკვდილით დასაჯეს ქართველი მოჯირითე, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვა თავისი ქვეყნის ღირსება უცხოეთის მიწაზე“. ჩვენ, არ ვიცით საიდან აიღო ავტორმა ასეთი მოტივი. დღემდე ცნობილ ვარიანტებში კი, ვიმეორებთ, სოლდა გამარჯვებული ბრუნდება სამშობლოში, ხონთქარი ავიღოებს მას და პირდება ახალციხის ფაშობას, მაგრამ სოლდა უარს ამბობს ამ დიდებაზე.

ამგვარად, „სოლდას ლექსი“ შექმნილი უნდა იყოს XIX საუკუნის პირველ მეოთხედში. მისი შექმნის ადგილია აჭარა, ან უკიდურეს შემთხვევაში ახალციხე, სადაც ამ დროისათვის ბლომად იყვნენ აჭარლები, ხიმშიაშვილთა, ახალციხის მაშინდელ მფლობელთა მსახურები, რომელთა წრეშიც თავდაპირველად შეიქმნა ეს ლექსი.

რაც შეეხება ლექსის გაერცვლებას საქართველოს სხვა კუთხეებში, ამას ხელი შეუწყობს იმან, რომ ამ დროისათვის, როგორც ცნობილია, მკვიდრო ეკონომიური ურთიერთობა არსებობდა აჭარას, ახალციხის საფაშოსა და საქართველოს სხვა მხარეებს შორის. „ახმედ-ბეგის ფაშობის კარიერა იწყება იქიდან, რომ ჯერ კიდევ ალრაი აბდულ ბეგის და შემდეგ მამის სოცოტლელის ის საქართველოს მთიან ადგილებიდან მიმავალ მეჯოგეებს თუშებს, ფშავეებს, ხევსურებს და სხვებს პატივით ეპყრობოდა (თავის მამა-პაპის მსგავსად). იგი ახალციხის და სხვა ფაშებსა და მეჯოგეებს შორის წარმოშობილ საკითხების მომწესრიგებელი იყო“ (ხ. ახვლედიანი, ნარკვევები..., გვ. 55). ასე, რომ საქართველოს სხვა კუთხეებიდან აქ მოსულ ქართველებს შეეძლოთ ამ ლექსის შესწავლა, წაღება და გადაცემა სხვებისათვის. მისი გატანა შეეძლოთ თვით აჭარლებს,

1 ტოპონიმები: ჩაისი, ჩაირი ახალციხის მიდამოებში მრავლად გვხვდება (იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გვ. 65, 107, 396, 416, 538 და სხვ.).

რომელთა ადგილმონაცვლეობა იმ დრო-
ისათვის განსაკუთრებით ინტენსიური
იყო. ამის დამადასტურებელია თუნდაც
აღნიშნული ლექსის ერთ-ერთი უძველესი
ვარიანტი, პ. უმიკაშვილის მიერ „ჩაწე-
რილი 1859 წელს სოფ. მერისის მცხოვ-
რების თავდგირიძის თქმით, რომელიც გა-
დმოსახლებულა კახეთში“. გარდა ამისა,
როგორც აბ. ცანავა აღნიშნავს, „ქართვე-
ლი ხალხის ისტორიული მტრის თურქე-
თის სამეფოს კარზე სოლაღას ასეთი
ბრწყინვალე გამარჯვება საბაბი გახდა ენა-
წყლიანი მესტვირისათვის შეეთხზა. პერო-
ნკული ლექსი გამარჯვებულ მოჯირითე-
ზე და გავერცელებინა მთელს საქართვე-
ლოში“ (ქართ. მესტვ. პოეზია, 1953 წ.,
გვ. 100).

როგორც ვხედავთ, მკვლევარს მესტვი-
რეთა წრეში შექმნილ ლექსად მიაჩნია
სოლაღას ლექსი, ხოლო მესტვირული პო-
ეზიის გავრცელების არეს განხილვისას,
ბუნებრივია, აჭარასაც ამ არეში მოაქ-
ცევს (იქვე, გვ. 41, 98).

„სოლაღას ლექსი“ მკაფიო დადასტუ-
რებაა იმისა, თუ რა დიდი ყოფილა ერო-

ვნული სიამაყის გრძნობა აჭარლებში იმ
დუნებრივ დროსაც კი, როდესაც აჭარა
ნი ბატონობდნენ. კიდევ მეტი, ხალხური
მთქმელი, რომელსაც პატრიოტული მო-
ტივი აქვს წამოწეული წინა პლანზე, ერთ-
გვარად აქიაქებს კიდევაც მაშინ გაბატო-
ნებულ მუსლიმანურ რელიგიას. ცხენი-
დან გადმოვარდნილ არაბს, რომელსაც
„სული არ დაჰყვა ძირშია, ხოციები, მო-
ლიები ქითაბს აბერტყენ თავზე“. ამაზე
მთქმელი სარკასტულად შენიშნავს: „ქი-
თაბ-მითაბი ქიარს არ იქს, ქურქი წაბუ-
რეთ თავზე“. გარდა ამისა, ლექსში სო-
ლაღა, როგორც სამართლიანობისათვის
მებრძოლი გმირი, შემკულია დადებითი
თვისებებით: დარბაისლობით, სულგრძე-
ლობითა და გამჭრიახობით.

ერთგვნილი გმირი/სოლაღა, რომელმაც
ასახელა სამშობლო, გახდა საბაბი ხალ-
ხური ლექსის შექმნისა. სულ მოკლე ხან-
ში ეს ლექსი მოედო თითქმის მთელ სა-
ქართველოს. ხალხი ყოველ ისტორიულ
პირს როდი თვლის ხსოვნის ღირსად. მას
უყვარს და აქებს ერის მხოლოდ ჭეშმა-
რიტ მოამაგეებს.

რამაზ სურგულაძე

ქალაქი თბილისი აჭარაში

ორმოცი წლის წინათ, 1924 წლის შემოდგომაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჩრდილოეთ კავკასიაში (ქელუზნოვოდსკში) იმყოფებოდა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე კლარა ცეტკინი. ქელუზნოვოდსკიდან იგი ექიმების რჩევით წამოვიდა ქობულეთში. გზად ნახა თბილისი, აგრეთვე გაეცნო ამიერკავკასიის ისეთ მსხვილ სამრეწველო ცენტრებს, როგორიცაა ბაქო, კიათურა და ბათუმი.

აჭარაში ყოფნისას კლარა ცეტკინის ყურადღება განსაკუთრებით მიუბრუნდა ამ კუთხის კლიმატს, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს, ადამიანებს, ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობას.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით ბათუმს, წერს იგი, მით უფრო გვიპყრობდა სამხრეთის ლანდშაფტის თავისებური სილამაზის გრძნობა. საბჭოთა ხელისუფლებას არსებობის სულ რაღაც სამი წლის მანძილზე ქალაქს სრულიად უცვლია სახე, იშვიათად გვხვდება უპატრონოდ მიტოვებული, დაუგეგმილი ქუჩები, დანგრეული და დაცარიელებული სახლები. შემდეგ კლარა ცეტკინი აღნიშნავს, რომ საშუა-

ლება მიეცა თავისი თვლით ენახა ბათუმის სამრეწველო საწარმოები, რომელთა ხელმძღვანელებს დიდი სიძნელეების გადალახვა უზღებოდათ მენშევიკების ორგულობით მწყობრიდან გამოსული ტექნიკის აღსადგენად.

გარდა იმისა, რომ თავიანთი ბატონობის დროს სრულიად დააცარიელეს საწარმოები, მენშევიკებმა გაქცევის წინ მთლიანად დაანგრეს და მწყობრიდან გამოიყვანეს უაღრესად მნიშვნელოვანი სამრეწველო აპარატურა. ყოველივე ამის გამო საწარმოებში ერთხანად ძალზე ძნელდებოდა ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვა, რაც საშიში იყო მუშათა ჯანმრთელობისათვის. მეტალის ქარხნის სახელოსნოებსა და საამქროებში გამაყრუებელი ხმაური იყო, იდგა მძაფრი სუნები, რის გამო დიდხანს იქ დაჩერება ძნელი იყო. ამ სიძნელეების მიუხედავად, ახალგაზრდა საბჭოთა საწარმოებში მუშები გადაყვანილ იქნენ შვიდსაათიან სამუშაო დღეზე, უფასოდ იღებდნენ რძეს, გამოუმუშავება კი საშუალოზე მეტი ჰქონდათ.

ანალოგიური მდგომარეობა იყო საღებავებისა და პაპირის ფაბრიკებშიც, სადაც, სამუშაოთა თავისებურების გამო შე-

საძლებლობის მიხედვით მაქსიმალურად იყენებდნენ საენცილაციო დანადგარებს. აჭარის სანაპირო ზონის კლიმატისა და საკურორტო ადგილების (მახინჯაური, მწვანე კონცხი, ქობულეთი და სხვა.) დასასიათებისას კლარა ცეტკინი ამ საქმის დროს ცოდნას იჩენს. მეფის ხელისუფლების დროს ეს აგარაკები მხოლოდ ბეგებისა და მდიდრების კუთვნილებას წარმოადგენდა, საბჭოთა ხელისუფლებამ კი ისინი ხალხს, მუშებსა და გლეხებს გადასცა და ჯანმრთელობის კერებად აქცია. მოუწყო ბავშვთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობაც, კერძოდ, გაიხსნა კოლონიები (ტუბერკულოზური და სხვ.), რომლებიც იმყოფებოდნენ ექიმის მუდმივი მეთვალყურეობისა და კონტროლის ქვეშ. ხალხურ სიმღერებში, წერს კლარა ცეტკინი, ხშირად ვაისმის სიტყვები იმის შესახებ, თუ როგორ ბედნიერად გრძნობენ თავს აქ ვიწრო და ბნელი სარდაფებიდან ახლახან გამოსული ბავშვები. ეს გრძნობა გამოსახულია მათს სხეულზე, გარუჯულ კანზე, მძლავრ კუნთებზე, მათს ხალისიან თამაშსა და ენერგიულ მოძრაობაში.

კურორტების შემდგომი გაფართოებისა და კეთილმოწყობისათვის მთავრობა ითვალისწინებდა მთელ რიგ ღონისძიებებს. კლარა ცეტკინის თქმით, ქობულეთს სხვა კურორტებთან შედარებით აქვს უპირატესობა — სიწყნარე და კლიმატური ფაქტორების ერთობლიობა. მთისა და ზღვის ჰაერის ურთიერთობას, სამხრეთის მზის პაპანაქებაშიც კი, სიგრილე მოაქვს. ფართო ბალებით გარშემორტყმული სახლები ჩაფლული არიან მცენარეულობაში. ზღვა თავისკენ გიზიდავს. მისი ტემპერატურა ოქტომბრის ბოლოს ოცი გრადუსი იყო ნულს ზემოთ. სანაპირო პლაჟი რბილია, ნიადაგი შედგება უამრავი წვრილი გლუვკიდეებიანი კენჭისაგან, რომლებიც სხეულზე შეხებისას არავითარ უსიამოვნებას არ იწვევენ.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეში მოპოვებული წარმატებების ნათელ-

საყოფად, კლარა ცეტკინი იხსენებს საშინელ მდგომარეობას, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე იყო. მოსახლეობის ჯეროვან სამედიცინო მომსახურებას ხელს უშლიდა კაპიტალიზმის მეგეკიდროებით და ისლამის ფანტიზმით დამკვიდრებული დახატებული ადამიანები. ფართოდ იყო გავრცელებული მალარია, მენსტრუაციის კი ბათუმიდან გაქცევის დროს ქართველი ხალხის სხვა სიმდიდრესთან ერთად გაიტაცეს მთელი საქართველოს ქიანქინის ის მცირე მარაგიც, რომელაც იმ დროს ბათუმში ინახებოდა. ხშირი იყო აგრეთვე გადამდები დაავადებანი, რასაც ცუდ კვებასა და საბინაო პირობებთან ერთად ხელს უწყობდა ჰიგიენური წესების დაცვებთან, სიბინძურე და ანტისანატარიი. ბირო-ბოროლა კერძო ექიმთან მოსვლის საშუალება მხოლოდ შეძლებულ პეონებს. მოსახლეობის ფართო მასების ჯანმრთელობის ბედი როგორც ქალაქად, ისე სოფლად დამოკიდებული იყო ექიმბაშზე, რომელიც მკურნალობდა ვეღური და ნახევრად ვეღური ხალხისათვის დამახასიათებელი მეთოდებით. ბევრს სჯეროდა, რომ ავადმყოფობას იწვევდა ორგანიზმში მოკალათებული ავა სული და, ვიდრე იგი არ გამოიდევნებოდა, სნეულს საშველი არ დაადგებოდა. ამისათვის ექიმბაში იყენებდა სხვადასხვა ბალახ-ბუღახს, არაბულ ნაჯაბნებს. მალარიით დაავადებულ ადამიანს, რომელსაც საშინელი ცხელება სტანჯავდა, ექიმბაში თავზე ცხელ ავურს ადებდა. სამწუხაროდ, წერს კლარა ცეტკინი, მოლებისა და ექიმბაშების რწმენა მოსახლეობაში დღესაც არსებობს და აღწერს ერთ შემთხვევას, თუ როგორი ტანჯვით დაიღუპა ქობულეთში ათი წლის ბიჭი. ასეთივე ტანჯვით გარდაცვლილა მძიმე ავადმყოფი ქალი. იგი ძალით მიუყვანიათ ცეცხლის ალით და ქმარი ელვადღებოდა რაღაც ლოცვებს. ქალი საშინლად კიოდა და ტკივილებისაგან იგრძნებოდა, მაგრამ ნათესავები ცეცხლს არ აცილებდნენ. ბოლოს, როცა ხელი გაუშვეს, ქა-

ლის სხეულზე საშინელი სიღამწვრე გან-
ვითარებულიყო. რამდენიმე დღეში ავად-
მყოფი გარდაიცვალა. მახლობლები ამ
მოვლენას „ალაპის ნებად“ თვლიდნენ.

ცარიზმის დროს მუშაობდა რამდენი-
მე საავადმყოფო სალარო. მაგრამ ამ სა-
ლაროების ნამდვილი დანიშნულება იყო
არა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა,
არამედ მოჩვენებითი მზრუნველობა და
მუშათა რევოლუციური მოძრაობის წინა-
აღმდეგ ბრძოლა. ძალუფლების საბჭოე-
ბის ხელში გადასვლისთანავე ავადმყოფთა
მკურნალობის გაუმჯობესების მიზნით ჯა-
ნმრთელობის დაცვის სახალხო კომისა-
რიატმა მოაწყო ოთხი საავადმყოფო, ხო-
ლო სოფლის მოსახლეობისათვის თექვს-
მეტი ამბულატორია. 1924 წლის ექვსი
თვის მანძილზე ათმა ამბულატორიამ მო-
მსახურება გაუწია 15.443 კაცს. აქ ავად-
მყოფები იღებდნენ უფასო სამედიცინო
დახმარებას, წამლებს, შესახვევ და საღე-
ზინფექციო საშუალებებს, ხოლო როცა
საჭირო იყო, სხეულს საავადმყოფოში
გზავნიდნენ. ამბულატორიებმა დიდი მე-
შაობა გაშალეს ეპიდემიებისა და სხვა მა-
ჩობრივ დაავადებათა წინააღმდეგ საბრ-
ძოლველად. სანიტარულ-ჰიგიენური საქ-
მის პროპაგანდა გაიშალა არა მარტო ცე-
ნტრალურ, არამედ „მიყრუებულ“ სოფ-
ლებშიც.

ავადმყოფთა მკურნალობასა და დაავა-
დებებთან ბრძოლასთან ერთად დაიწყო

მუშათა სოციალური დაზღვევა, რომელიც
დიდ როლს ასრულებს ხალხის ჯანმრთე-
ლობის დაცვისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ექიმებმა ძლიერ მალე აჭარის
მოსახლეობის დიდი ნდობა და სიყვარუ-
ლი დაიმსახურეს. ხალხის თვალში ისინი
იყვნენ არა მარტო მკურნალები, არამედ
ახალი წყობილების წარმომადგენლებიც.
მათთვის ნდობის გამოცხადება, ერთი
მხრივ, ნიშნავდა ექიმბაშობის უარყოფას,
ხოლო მეორე მხრივ, საბჭოთა დაწესებუ-
ლებების, და, ამგვარად, ახალგაზრდა საბ-
ჭოთა სახელმწიფოს აღიარებას. პედაგო-
გებთან, კულტურისა და კომუნალური მე-
ურნეობის სხვა მუშაკებთან ერთად, რომ-
ლებიც უშუალოდ ემსახურებოდნენ მო-
სახლეობას, სამკურნალო დაწესებულება-
თა თანამშრომლები ქმნიდნენ საბჭოთა
ორგანოების ერთიან ჯაჭვს და განამტყი-
ცებდნენ ახალი ხელისუფლების ავტორი-
ტეტს.

ასე შესანიშნავად აგვიწერა საბჭოთა
ხელისუფლების გარიჟრაჟზე დიდმა რე-
ვოლუციონერმა კლარა ცეტკინმა ლე-
ნინის მიერ შექმნილი ბოლშევიკური პარ-
ტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუპოვა-
რი ბრძოლა აჭარის მოსახლეობის ჯანმრ-
თელობის დაცვისა და კეთილდღეობის
ამაღლებისათვის. ამიტომაც ვიგონებთ
დღეს ესოდენი სიყვარულით ქალთა საერ-
თაშორისო მოძრაობის გამოჩენილი ხელ-
მძღვანელის ყოფნას აჭარაში.



აჭარის პარტიული ორგანიზაცია კულტურული რევოლუციის ლენინური იდეის განხორციელებისათვის ბრძოლაში

სოციალისტური კულტურა არის ახალი, უმაღლესი ტიპის კულტურა, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიამ არ იცის. ვ. ი. ლენინი თავის დროზე საზგასმით აღნიშნავდა: „კოოპერირება რომ საეცებით განხორციელებული იყოს, ჩვენ ორივე ფეხით სოციალისტურ ნიადაგზე ვიდგომებოდით. მაგრამ სრული კოოპერირების ეს პირობა გულისხმობს გლეხობას (სწორედ გლეხობის, როგორც უდიდესი მასის) ისეთ კულტურულობას, რომ ეს სრული კოოპერირება შეუძლებელია, თუ მთელი კულტურული რევოლუცია არ მოხდა“ (თხზ., ტ. 33, გვ. 560).

სსრ კავშირში, მასშაბად, საქართველოშიც, კულტურული რევოლუცია განხორციელდა სოციალისტური მშენებლობის პროცესში. ეს იყო უდიდესი ისტორიული მოვლენა, რომლის შესწავლასაც მიეძღვნა მთელი რიგი მეცნიერული ნაშრომები. მაგრამ ამ ბოლო დრომდე არ დამუშავებულა კულტურული რევოლუციისათვის ბრძოლის საკითხები აჭარაში. ამ მხრივ ფრიალ საყურადღებოა დავით დიხაშიძის წიგნი „აჭარის პარტიული ორგანიზაცია კულტურული რევოლუციის ლენინური იდეის განხორციელებისათვის

ბრძოლაში“, რომელიც ახლახან გამოცა „საბჭოთა საქართველო“.

სარეცენზიო წიგნი შეიცავს ავტორის წინასიტყვაობას, შესავალსა და ხუთ თავს.

შესავალი ეძღვნება თურქი დამპყრობლების მიერ აჭარის მიტაცებიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე პერიოდის ზოგად ისტორიულ მიმოხილვას.

პირველ თავში „კულტურული რევოლუციის ლენინური იდეა“ გაანალიზებულია ორი ძირითადი საკითხი — „კულტურული რევოლუცია სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის შემადგენელი ნაწილია“ და „სოციალისტური კულტურის წარმოშობა და განვითარება“. ორივე საკითხი ზოგად-თეორიულია და ავტორს იგი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების იდეათა შექმნე აქვს განხილული.

წიგნის მეორე თავი „აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანოების პირველი ღონისძიებანი კულტურული მშენებლობის დარგში (1921-1925 წწ.)“ ეხება მეტად მნიშვნელოვან წლებს. საბჭოთა ხელისუფლებამ აჭარაში მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ დარაზმა მთელი აქტივი სასკოლო

სისტემის გარდაქმნის, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გასაჩაღებლად.

1921-1925 წლებში მოპოვებულ იქნა პირველი მნიშვნელოვანი წარმატებებიც.

მესამე თავში „იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავება აჭარაში კულტურულ გარდაქმნებთან დაკავშირებით (1926-1929 წ.წ.)“ ავტორი კარგად აშუქებს საბჭოთა წყობილების განმტკიცებას, ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობას. აჭარაში შემორჩენილი კულაკობა, ალა-ბეგები და ხოჯა-მოლები დიდ წინააღმდეგობას ეწეოდნენ. ამ ნაძირალებმა მორწმუნე მუსლიმანურ მოსახლეობაზე დაყრდნობით აშკარა თუ ფარული ბრძოლა გააჩაღეს პარტიის ღონისძიებათა წინააღმდეგ.

ჯამეების, მეჩეთების, მედრესების დახურვამ, შარიათისა და მუფთოების გაუქმებამ, ჩადრის ახლამ და სხვა ღონისძიებებმა, აგრეთვე ამ გარდაქმნებთან დაკავშირებით დამუშებულმა შეცდომებმა, ანტისაბჭოთა ელემენტების ზეგავლენამ განაწყენებულ მორწმუნეებს გამოიწვია 1929 წლის მარტის მღელვარება ხულოს რაიონში. მაგრამ პარტიამ და მთავრობამ მიიღეს სათანადო ზომები და ეს რეაქციული გამოსვლები ლიკვიდირებულ იქნა. მოსახლეობაში ფართოდ გაიშალა ახსნა-განმარტებითი მუშაობა კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის დასაძლევად.

ნაშრომის მეოთხე თავში „კულტურული რევოლუციის განხორციელება აჭარაში (1930-1937 წ.წ.)“ ავტორი წარმოგიდგენს წარმატებებს საკოლმეურნეო მშენებლობასა და კულტურის ფრონტზე პირველ და მეორე ხტოწლებში. წინათ ჩამორჩენილი და წერა-კითხვის უცოდინარი აჭარა უკვე გვერდში ამოუდგა საქართველოს სხვა მოწინავე რაიონებს. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გან-

ხორციელდა სახალხო განათლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ლიტერატურისა და ხელოვნების, პრესისა და სხვა დარგების განუხრელი აღმავლობა. ამის დასტურად წიგნში მოტანილია სტატისტიკური ცნობები და მასალები.

მესთე თავი „კულტურული რევოლუციის დამამთავრებელი ეტაპი“ არსებითად წიგნის დასკვნითი ნაწილია. აქ გადმოცემულია დღევანდელი მდგომარეობა სასწავლო-სააღმზრდელო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელში, ლიტერატურისა და ხელოვნებაში და ა. შ. მდიდარ ფაქტობრვ მასალაზე დაყრდნობით ნაშრომის ავტორი ცხადყოფს, თუ რა განუხრელად მაღლდება მშრომელთა კულტურული დონე. მაგრამ მოსახლეობის ნაწილში ჯერ კიდევ შემორჩენილია წარსულის მავნე გადმონაშთები, რომელთა მთლიანად აღსაკვეთად კვლავ ტარდება სათანადო ღონისძიებანი. ამიტომ ამ საქმეში დ. დიასამიძის წაგნი სასარგებლო სამსახურს გაუწევს ჩვენს მებრძოლ ახალგაზრდობას.

წიგნში მთელი რიგი მასალები და საკითხები კარგადაა გადმოცემული, მაგრამ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა.

სარეცენზიო წიგნში ავტორი მკრთალად ეხება სახალხო მეურნეობის განვითარებისა და კულტურული გარდაქმნების ურთიერთობას. ეკონომიური ძლიერება ქმნიდა საფუძველს კულტურის აღმავლობისათვის. ამიტომ ეს საკითხები უფრო მკვეთრად უნდა ასახულიყო.

ძლიერ მოკლედ ეხება ავტორი ქალთა პირველ ყრილობას. ამ ყრილობის ჩასატარებლად მზადება 1928 წლის დამლევს დაიწყო. აჭარის სოფლებში გაიმართა კრებები, სადაც აირჩიეს დელეგატი ქალები. ყრილობის დღედ დაინიშნა 1929 წლის 8 თებერვალი. მის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის დელეგაცია ფ. მახარაძის მეთაურობით. ფ. მახარაძემ გახსნა ყრილობა და თვითონვე გამოვიდა

მოხსენებით. ყრილობის მონაწილეთათვის 10 თებერვალს ლენინის მოედანზე შედგა მიტინგი და სამხედრო პარადი; სადაც სიტყვათ გამოვიდა ფ. მახარაძე. ყრილობის მასალები ფართოდ შექდებოდა გაზეთ „კომუნისტში“, სადაც გამოქვეყნდა აგრეთვე ფ. მახარაძის წერილი „აჭარელ და თურქ ქალთა პირველი ყრილობის შემდეგ“ (№ 36). მაქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივის ფ. მახარაძის ფონდში მრავალი საყურადღებო მასალა აჭარაში მომხდარი ამბების შესახებ და სასურველი იყო მათი გამოყენება. წიგნში არაფერია ნათქვამი დელეგატთა რაოდენობასა და ვინაობაზეც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დიასამიძის ნაშრომი „აჭარის პარტიული ორგანიზაცია კულტურული რევოლუციის ლენინური იდეის განხორციელებისათვის ბრძოლაში“ პირველი სერიოზული მეცნიერული ნარკვევია ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე და, ზოგიერთი ნაგლის მიუხედავად, ნათლად გვიჩვენებს, რომ კულტურული რევოლუცია აჭარაშიც ისევე, როგორ მთელ საბჭოთა კავშირში, მიმდინარეობდა მწვავე კლასობრივი ბრძოლის, კლასობრივ შეტაკებათა ვითარებაში. ნაშრომის უთუო ღირსებაა, რომ ხაზს უსვამს აჭარის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს ამ დიდ საქმეში.

ნ. ბარამიძე.

მონოგრაფია ლაზეთის შესახებ

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა მ. ვანლიშისა და ა. თანდილავის გამოკვლევა „ლაზეთი“, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: „ისტორიული მიმოხილვა“ და „ლაზეთის ეთნოგრაფია“.

ნაშრომის პირველ ნაწილში საკმაოდ ვრცელადაა განხილული ლაზეთის ისტორიის მთავარი დამახასიათებელი მომენტები, ლაზეთა სახელმწიფოს შექმნა და დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლები თვითმყოფლობის შესანარჩუნებლად და ა. შ.

ლაზეთის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა თურქი დამპყრობლების ასპარეზზე გამოსვლამ; მათ ჯერ ტრაპიზონის საკეისრო წაღვეს (1461 წ.), ხოლო შემდეგ მთელი ლაზეთი მიიტაცეს. ამიერიდან დამპყრობელმა თურქებმა ცეცხლითა და

მახვილით გაავრცელეს ისლამი ლაზ მონახლეობაში, შეეცადნენ მოესპოთ ყოველივე ქართული. ამის დასტურად მონოგრაფიაში მოტანილია მრავალი საინტერესო ცნობა.

მონოგრაფიის მეორე მონაკვეთი ეძღვნება ლაზეთის ეთნოგრაფიას. აქ ავტორები გვესაუბრებიან აგრეთვე ლაზური და მეგრული ენების ნათესაობაზე, რომ ეს ორი ენა ძველი დასავლური ქართულის (ზანურის) „ორი კილოა“ და ა. შ.

ნაშრომს აცხოველებს ლაზეთა ხალხური სიტყვიერების ნიმუშები: არაკები, გამოცანები, შაირები, სატრფიალო ლექსები და ნარევი სიმღერები.

სარეცენზიო მონოგრაფია გულისყურითაა შედგენილი, მაგრამ გააჩნია ნაკლოვანებებიც. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთს.

წიგნში ბევრი მონაცემი (ოსმან-ბეის, ზ. ჭიჭინაძის, ნ. მარისა და სხვათა) ხშირ შემთხვევაში კრიტიკული ანალიზის გარეშეა დატოვებული, ხოლო ზოგი მნიშვნელოვანი გამოკვლევა (მ. პანარტის „ტრაპიზონის ქრონიკა“, პ. ინგოროყვას „გაორგი მერჩულე“ და სხვ.) არც კია გათვალისწინებული.

მონოგრაფიაში არაერთგან „კოლხი“ „ლაზთან“, ხოლო „კოლხეთი“ „ლაზიკსთან“ არის გაიგივებული. უზუსტობაა აგრეთვე ეთნოგრაფიული ლაზეთისა და პოლიტიკური ერთეულის (სამეფოს) ლაზიკის ან გვიანდელი ლაზისტანის გაიგივებაც. ეთნოგრაფიული ლაზეთის აღმოცენების დასავლეთის მიჯნა სოფ. სარფიდან „ქვემურამდე“ აღწევს (გვ. 72), მერე კი ორგან (გვ. 76, 77), რატომღაც ქვეყნის საზღვრებად მდ. ჭოროხი და ქ. ტრაპიზონია (ჩათვლით) მიჩნეული.

მართალი არ არიან ავტორები, როცა ამტკიცებენ, რომ ჭან-ლაზებს და მათ მონათესავე მეგრელებს წარსულში თითქმის ტრაპიზონსა და აფხაზეთს შორის მდებარე ქვეყანა ეჭირათ და ისინი მხოლოდ „ორ თემად იყვნენ გაყოფილი“. როგორც ცნობილია, საქართველოს შავი ზღვის სანაპირო წინათ ტომთა, თემთა და მხარეთა სიმრავლით გამოირჩეოდა.

„ლაზი“ და „ჭანი“ უმთავრესად ერთი სატომო ერთეულის ორ სახელწოდებად, ხოლო უკანასკნელი პერიოდის ენათმეცნიერულ გამოკვლევებზე დაყრდნობით, ლაზური და ჭანური რატომღაც ზანურის ერთ კილოდ არის მიჩნეული. ადგილ-ადგილ ჭანი და ლაზი დამოუკიდებელი სატომო ერთეულების აღმნიშვნელ ცნებებადაც წარმოჩნდებიან. ლაზისა და ჭანის, ისევე როგორც ჭანურისა და ლაზურის იგივეობაც საეჭვოდ მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, ლაზეთი და ჭანეთი ეთნოგრაფიული თემის მომცველი უნდა იყოს. ამას ადასტურებს არსებული წყაროებიც.

ლაზიაში დინასტიურ-პოლიტიკური თუ სახელმწიფოებრივი ერთეულების სახელ-

წოდებების შეცვლას წინ უსწრებლად ემთხვეოდა ქვეყნის სახელმწიფოებრივ საზღვრების, მცხოვრებთა მსოფლმხედველობის, მოსახლეობის ეთნიკურ-გვარობრივ, შედგენილობის, კლასობრივი სტრუქტურის, სოციალურ-ეკონომიური წყობისა თუ მისი საფესურების შეცვლა. ნაშრომში კი ამაზე არაფერია ნათქვამი.

ავტორები გვარწმუნებენ, რომ აფხაზეთა სამეფოს წარმოქმნისას ყოფილი ლაზიკის ტერიტორიის შუა ნაწილი, ჭოროხისა და რიონის ხეობა, „თითქმის, თანდათან დაიკავეს ქართულ ენაზე მოლაპარაკე ტომებმა“. მათ ავიწყლებათ, რომ ფეოდალიზმის დროს ფეოდალურ ქვეყანაში საზოგადოებრივად ორგანიზებული სოციალური ერთეულია არა ტომი, არამედ ეთნოგრაფიული ჯგუფი.

საეჭვოა ის აზრიც, რომ ქართულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობამ (ტაოელეები, კლარჯები, შავშელები, აპარლები, გურულები, იმერლები და ა. შ.). VII-VIII სს. თითქმის დაიკავა რიონისა და ჭოროხის ხეობები. უდავოა, რომ ამ ჯგუფების წინაპრები უხსოვარი დროიდან ბინადრობდნენ შავი ზღვის სანაპიროს მთისწინა თუ ზღვისპირა სექტორებში, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს რაიონები (ძვ. წ. III ს.) მოექცა ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიური გავლენის სფეროში, იმ დროიდან კოლხეთში, თუმცა თანდათანობით, გზას იკაფავს ქართული (ქართული) ენა და კულტურა. დრო და დრო აქ ქართულ-მესხური მოსახლეობაც მკვიდრდება. უხსოვარი დროიდან დაწყებული, ეს ტენდენცია ბიზანტია-სპარსეთის ომების დროს კიდევ უფრო ძლიერდება. ქართულ (ქართულურ) ენაზე მოლაპარაკე ჯგუფის წარმომადგენლების ზღვის სანაპიროს გამეჩხრებულ ზანურ სოფლებში ჩამოსახლებამ უფრო ფართო ხასიათი არაბობის დროს და შემდეგ პერიოდში მიიღო. მეგრულისა და ლაზურის დღევანდლობამდე „შეზღუდ-

ვა“ საბოლოოდ დასავლეთ საქართველოს ეკლესიასა და სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბერძნულზე ქართული ენის გამარჯვებამ დაავიწვინა: დასავლეთ საქართველოს ეკლესიიდან ბერძნული ენაც განიღვნა. ამასვე ემსახურებოდა ლაზიკის ძველი საეკლესიო ცენტრების მოშლა-გადაადგილება. ახალი სავანეებისათუ კათედრალების დაარსებაც ამ პროცესის ანარეკლია. IX საუკუნის 20-იანი წლებიდან გაუქმებული ჩანს კათედრალი ბეტრა. იგი სამწყოში ქართული ენისა და კულტურის გამტარებელი ხინოს საყდრით იქნა შეცვლილი და ქუთათელს მიაწერეს. ამ პერიოდში მთელი დასავლეთ საქართველო ეკლესიურად მცხეთელს დაუქვემდებარდა.

ჭოროხისა და რიონის ხეობაში მკვიდრთა ნაკადის უწყვეტობის მანიშნებელია ზანური ტოპონიმებისა და ზანიზმების ესოდენ სიმრავლე იმერულსა და აჭარულ-გურულში. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ აღრეფეოდალურ ზანაში მკვიდრთა (ზანური) და „მოსულთა“ (იბერულ-მესხური) შერწყმამ ახალი ეთნოგრაფიული ჯგუფები (აჭარლები, გურულები, იმერლები, კლარჯები, ტაოლები და სხვანი) ქართულ-მესხური სტრუქტურის მეწინავეობით ჩამოკვეთა. ამ ტენდენციას აფხაზთა სამეფოს მესეურებიც (ნებით თუ უნებლიეთ) უჭერენ მხარს.

ჭან-ლაზებს მთელი ჭოროხის, ხოლო მანრაღ-მეგრელებს რიონის ხეობა ეჭირათო, არ უნდა იყოს სწორი. ამ ორ ჯგუფს შორის სათემო მიჯნად დღევანდელი გურიია მიჩნეული, მაგრამ ეს უკანასკნელი რომელ მათგანს განეკუთვნებოდა, ამაზე არაფერს ამბობენ ავტორები.

ავტორები ამტკიცებენ, IX-X საუკუნეებში საქართველოს ფეოდალური გაერთიანებისათვის „გამართულ ბრძოლაში“ ბიზანტიის ზემოქმედების გამო „ჭან-ლაზები არ მონაწილეობდნენ“. ი. საბანის-

ძის ცნობით, VIII საუკუნის 30-იან წლებში აფხაზთა სამეფოს მიჯნა „მანაზკერტის მდე ქალდიისა“ (ტრაპიზონის სანაჩება) აღწევდა. IX საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიის სამი ლაშქრობა მოეწყო გამდგარი აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) სამეფოს ხელმეორედ დასამორჩილებლად, რაც მარცხით დამთავრდა. ცხადია, ბიზანტიელთა დამარცხებაში ლაზ-ჭანებსაც მიუძღოდათ წილი. მტკიცება იმისა, რომ თითქმის X-XII საუკუნეებში „ფეოდალურ საქართველოში გაწეული დიდი კულტურული მშენებლობის დროს“ ლაზეთ-ჭანეთის ტერიტორიაზე ასეთი რამ, ე. ი. მშენებლობა (ეკლესია-ტაძრების, ციხეების, ხიდების) არ მომხდარიყოს (გვ. 30-31), სადაოა. ვიცით, რომ საკუთრივ ლაზეთი ამ პერიოდში ფეოდალურ საქართველოსთან მჭიდრო კავშირშია. ჩვენი მსჯელობის სისწორეს თამარის შესახებ არსებული და ნაშრომში შეტანილი გადმოცემაც ამბავებს. ფეოდალურ ოსმალეთში საგამეოვო ერთეულად „დერეს“ მიჩნევა და „დერე-ების“ გაიგია ავება ქართულ „ხელისუფალთან“ არა გვგონია სწორი იყოს. ასევე უნდა ითქვას, ერთი მხრივ, თურქული ბეგისა და ქართული თავადის, ხოლო მეორე მხრივ, ბეგისა და უფროსის გაიგივების შესახებაც. ნაშრომში ოსმალთაგან ლაზეთის საბოლოო მიტაცების ცნობილ თარიღზეც (1547 წ.) არაფერია ნათქვამი, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე ყურადღება საგანგებოდ გაუმახვილებიათ.

ცეკვა „მზუჯუში“ (მხარის) ლაზური „ხორუმის“ მეორე სახეობადაა წარმოდგენილი. ცეკვა „მზუჯუში“ მხარულია, ხოლო „ხორუმი“ — ფერხული. ნუთუ განსხვავება არაა ამ ორ ცნებას შორის?!

ნარკვევში ვკითხულობთ, რომ „ქველი ლაზიკა... გამაჰმადიანების შემდეგ დაეცემისა და დაქვეითების გზას დაადგა“ (გვ. 49). ცნობილია, რომ ოსმალთაგან მთელი

ძველი ლაზიკა კი არა, არამედ მხოლოდ მისი სამხრეთი პროვინციები (აჭარა, ლაზეთი და ჭანეთი) იქნა ისლამზე მოქცეული.

ნაშრომში ვხვდებით ბუნდოვან და სტილისტურად გაუმართავ წინადადებებს, ფაქტების უზუსტობას და აღრევას ცნებებში. არასწორადაა თარგმნილი ზოგიერთი ლაზური სიტყვა.


ავტორებს სოფ. სარფის სათავეებში მდებარე ნასახლევი „დიდი ოჯახი“ რატომღაც მხოლოდ „ძველი ნასოფლარი“ ჰგონიათ, თუმცა საგეოგრაფიო სახელად „დიდი ოჯახი“-ს გაქვავება ლაზთა ძველ ყოფაში საოჯახო თემის უტყუარი დადასტურებაა.

გამოკვლევაში კრიტიკული ანალიზის გარეშეა დატოვებული ოსმან-ბეის ერთეულოვანი არამეცნიერული დასკვნა: „ამ ოჯახში წლის წინათ (ე. ი. 1824 წ. — ვ. მ.) ფეოდალური ურთიერთობა“ თითქოს „სრულიად მოისპო ლაზიკაში“.

ავტორებს უსარგებლიათ ზ. ჭიჭინაძის არაუტუსტი ცნობებით ლაზთა მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. ამ მონაცემების საპირისპიროა გამოყენებული მისივე სხვა ცნობა.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, სარეცენზიო მონოგრაფია დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ და, ეჭვი არ არის, ქართველი მკითხველი მას დიდი სიამოვნებით დაეწაფება.

ვლ. გვალაძე.





გორის ბაზაქი

მ ა ნ ა ს ე

შევევითხე მანასეს:

— ხომ არ იცნობ კიტასო?

მიბასუხა მან ასე:

— კი, კაცო!

ახალგაზრდა მხატვარი

ხომ ჩამოგავს პიკასოს?

რა მშვიდია, რა წყნარი!

— კი, კაცო!

თავმდაბალი ყმაწვილი,

შექებას ვერ იტანსო.

ტალანტია ნამდვილი?

— კი, კაცო!

— ტილოები მას ბევრი

შინ აქვს, არსად მიაქვსო.

ყველა თუა შედევრი?

— კი, კაცო!

— შექმნა მთელი სამყარო,

ახალი ცაც, მიწაცო.

რომ უცქერი, არ ხარობ?

— კი, კაცო!

— მისი „მერცხლის“ მნახველი,
თითქოს თვითონ ფრინავსო.
რა ფუნჯი აქვს, რა ხელი!
— კი, კაცო!

— მაგრამ ნაკლიც ჰქონია
ჩვენს მეგობარ კიტასო —
თავი ბრძენი ჰგონია.
— კი, კაცო!

— ფერებს ცუდად ახამებს,
ნახატს ძალზე ტვირთავსო.
დღეებს, ნათელს, აღამებს.
— კი, კაცო!

— შავს თეთრისგან ძლივს არჩევს,
თავს ტანისგან თიშავსო.
ამას ბავშვიც შეამჩნევს.
— კი, კაცო!

— სახესაც თავს ვერ უყრის,
ცუდად ხატავს ნიკაპსო,
თვალი გვერდზე გაუბრის.
— კი, კაცო!

— სურათს ქვია „ზამბახი“,
უფრო კი ჰგავს მიხაკსო.
უყვარს ბევრი ტრაბახი.
— კი, კაცო!

— ეჰე, ჩემო მანასე,
მთლად ძველი ხარ, ვინაც გცნობს.
ხან ისე და ხან ასე,
— კი, კაცო!... აჰ?

— შენთვის ხომ სულერთია,
ანგელოზიც, ჭინკაცო,
ერიც, ბერიც, კერიაც...
— კი, კაცო!.. აჰ, აჰ? რა, რა?

პოზა თუმცა გაქვს შენ ბრძენის,
გარეთაც და შინაცო,
მავნე ხარ და რეგვენი.
— კი, კაცო!
აჰ, აჰ, რა თქვი, რა თქვი?



პიკან პიკანობა

კ მ ლ მ

რა არის კოლო?..

მწერია, სრულებით უბრალო და უღონო მწერი, მაგრამ მავნე და უსარგებლო.

ასე ფიქრობდა, ასე ეგონა ნუგზარს და უკვირდა: რისთვის გააჩინა ბუნებამ ეს სუსტი და უძლური მწერი?

— ბაბუ, რატომ ხდება ბუნებაში ასეთი უცნაურობა?! — შეეკითხა ერთხელ ნუგზარი თავის ბრძენ პაპას.

— შვილო, ამქვეყნად არაფერი არ არის ზედმეტი. ერთი იმათ შეეკითხე, რაც ან ვინც არ მოგწონს და არასასურველად მიგაჩნია! ბუნებაში ყველაფერი შედარებითია და რაც არის, ყველაფერი თავის რიგზეა განაწილებული.

სიცოცხლეს სიკვდილი მოსდევს და სიკვდილი კიდევ სიცოცხლის დედაა.

აქს კარგი მოსდევს და კარგს კიდევ ავი.

ასე რომ არ იყოს, მაშინ შენც არ იქნებოდი, მაგრამ თუ იქნებოდი, სხვანაირი გაჩნდებოდი და არც ასეთი აზრი მოგივიდოდა.

მაგრამ ნუგზარი მაინც თავის აზრს შეიძინა.

* * *

ნუგზარი სწორედ ისეთი იყო, რომლის

მსგავსთა შესახებ ხშირად ამბობენ: რა დედამ შობაო.

რუსულანი კი, როგორც იტყვიან, ცოდან მოწყვეტილ ვარსკვლავს გავდა. ჰოდა, ნუგზარსა და რუსულანს ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი. უყვარდათ და საცოცხლე სამოთხედ ეჩვენებოდათ. ქალაქის ბედნიერი მშობლები ქორწილის თადარიგში იყვნენ, როცა გერმანია-თურქეთის სამხედრო ფლოტმა ოდესა, სევასტოპოლი, ფეოდოსია და ბათუმი დაბოძა... იმავე დღეს ბათუმში ხმა გავარდა: თურქეთი გერმანიას მიემხრო და რუსეთს ომი გამოუცხადაო.

თურქეთმარუსეთს ომი მართლაც გამოუცხადა.

* * *

ომი იყო, საშინელი ომი. ორივე მეომარი მხარე თითქმის სამართლიანობისათვის იბრძოდა და უსამართლოდ აჯლიტებოდა მილიონობით ადამიანი.

ნუგზარი ჯარში გაიწვიეს და ფრონტზე წასვლის წინ სხვებთან ერთად საჩვენებლად გამოფინეს... რუსთა სამხედრო პარადი აზიზებს მოედანზე თურქთა მეჩეთის წინ მოაწყვეს. პარადის სანახავად და ჯარის ნაწილების ფრონტზე გასაძილებ-

ლად მთელი ბათუმი გამოეფინა. ნუგზარის სატრფო რუსუდანაც აქ იყო და თოფიანი მიჯნურის დანახვისთანავე მისი ლამაზი თვალების ხშირ წამწამებზე ორადორი კურცხალი დილის ცვარვით ჩამოეციდა.

სამხედრო ტაძარში ლოცვას ასრულებდნენ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ნიკოლოზ მეორის მეფობის საკეთილდღეოდ და მისი მხედრობის გამარჯვებისათვის... აზიზებს მოედანზე აღმართული მეჩეთის მინარეთიდან კი მუეძინი თურქეთის სულთანს ლოცავდა. ჯარში წასულთა დედები შვილების ბედნიერებისათვის მუხლმოდრეკილნი ევედრებოდნენ ღმერთს. ღმერთს ევედრებოდა თავისი ნუგზარის სიცოცხლისათვის მეგობრებით გარშემორტყმული რუსუდანიც.

...ჯარის დათვალიერებაც დაიწყო... კავკასიის ფრონტის სარდლობის წარმომადგენელი გენერალი კურდიუკოვი ბათუმის გარნიზონის უფროსის თანხლებით პარადის მიღებას შეუდგა. იგი ყოველი ასეულის წინაშე შეჩერდებოდა ხოლმე და ჯარისკაცებს ესალმებოდა. როცა გენერალი იმ მწყობრს მიუახლოვდა, სადაც „სმენაზე“ ნუგზარიც იდგა, რაღაც მწერი ნუგზარს შუბლზე დააჯდა... შემდეგ შუბლიდან ცხვირზე გადაინაცვლა... ნუგზარმა კარგად დაინახა კოლო, დაწყევლილი კოლო, რომელიც ახლა ცხვირის მარცხენა ნესტოში შეუძვრა. ნუგზარს ძალიან უნდოდა აბეზარი მწერის მოშორება, მაგრამ ხელის განძრევას ვერ ბედავდა — გენერალი უკვე ახლო იყო. როცა გენერალი ასეულს მიესალმა, დაწყევლილმა კოლომ ნუგზარის ცხვირის ნესტოში ისეთი ილეით გააკეთა, რომ ნუგზარმა თავი ვეღარ შეიკავა და დააცხიკა... გენერალმა პირსახიდან ცხვირსახოცით მოიწმინდა შხეფები და ნუგზარს მრისხანედ გადახედა, ხოლო გარნიზონის უფროსმა არც აცია, არც აცხელა და... ნუგზარს უმსგავსო საქციელისათვის ისეთი სილა გააწნა, რომ მისმა ტკაცანმა რუსუდანის ყურამ-

დვაც მიადწია. რუსუდანის მეგობრები შეშფოთდნენ, რუსუდანმა კი სასიხარულო ნაჭამი თვალები ძირს დახარა. ნუგზარს სახეზე აღმურმა გადაურბინა, თვალებში რისხვა ჩაუჯდა და ხიშტწამოცმული თოფი ისე მოუქნია გარნიზონის უფროსს, რომ...

გარნიზონის უფროსი იმ საღამოსვე გარდაიცვალა.

ნუგზარი დაპატიმრეს და სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა, მაგრამ მკაცრი სასჯელი სამუდამო კატორღით შეუცვალა.

ასე და ამრიგად ნუგზარმა კავკასიის ფრონტის ნაცვლად ციმბირში ამოყო თავი.

* * *

ყინავდა, ძლიერ ყინავდა შორეულსა და ცივ იაკუტიაში... ყინვა ხშირიდ ორმოცდაათ გრადუსს აჭარბებდა და ნუგზარი ძალუწნებურად იხსენებდა საყვარელ ბათუმს, სადაც თავისი სიცოცხლის ყველა ოცნარა წელიწადი გაატარა და ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ იყო ისეთი ქვეყანა, სადაც თეთრად გადაჭიმული ყინულოვანი ტრამალები ლურჯად მოლივლივე და მოალერსე ზღვას შეცვლიდნენ.

კატორღა... საშინელი იყო თვითონ სიტყვაც კი. ჰოდა, ნუგზარი კატორღელი იყო უკვე ორი წელი, როცა იაკუტიაში ხმა ვავარდა, ნიკოლოზ მეფე ტახტიდან გადმოადგესო. ხმას საქმევ მოჰყვა: კატორღელთა და პატიმართა ბანაკები დაიშალა. ზოგი სად წავიდა და ზოგი კიდევ სად... მერე ოქტომბრის რევოლუცია მოხდა და ყოფილი რუსეთის იმპერიაში მოქალაქე ომი გაჩაღდა. ნუგზარი პარტიზანებთან ერთად იბრძოდა ტიბეტში და მძიმედ დაჭრილი იაპონელ სამურაებს ტყვედ ჩაუვარდა.

* * *

იოკოგამა...

დიდი ქალაქი და დიდი ნავსადგურია იოკოგამა. აქ ყოველდღიურად ათობით

საოკეანო გემი უშვებს ღუზას და ამდენივე საოკეანო გემი ყოველდღიურად გადის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

...გამოჯანბრებების შემდეგ ნუგზარმა ამ ნავსადგურში ამოყო თავი მტვირთავ მუშად. ვინ იცის, მრავალი თვის განმავლობაში რამდენ გემზე აზიდა და რამდენიდან ჩამოზიდა ტვირთი ბედის მიერ შორს გატყორცნილმა ნუგზარმა. მაგრამ ბედმა ესეც არ აკმაბრა და უფრო შორს გატყორცნა იოკოგამადან...

იმ დღეს წვიმა, გადაუღებლად წვიმა და დაუსვენებლად ზიდადნენ ტვირთის იაპონელი მტვირთავები კანადის გემის „ონტარიას“ ტრიუმებიდან. ნაშუადღევს გამოიღარა და მთელი დღე ღია ცის ქვეშ მუშაობით თავით ფეხამდე დასველებული მტვირთავები ახლა უკვე გემის დატვირთვის შეუდგნენ... საღამო ხანს „ონტარიასზე“ ბრინჯით სასვე ტომრები აპქონდათ და ტრიუმებიდან დაბრუნებული, ჯერ კიდევ ტანსაცმელზე შემწარი და უროკოდ დაღლილი მტვირთავები ძლივს მოაბიჯებდნენ. როცა ნუგზარმა მესამოცე ტომარა აიტანა და ტრიუმში დააგდო, მოცელილივით მიეგდო ტომრებს შორის და მძიმედ სუნთქავდა. უცებ სხეულში რაღაც საამო სითბო იგრძნო, ერთმანეთზე დაწყობილ ტომრებს უკან გადაცოცდა, მიწვა და ღრმად ამოიოხრა. ხშირი სუნთქვა დაეწყო და ნუგზარი ნათლად ატყობდა, თუ როგორ სწრაფად შრებოდა მისი დასველებული ტანსაცმელი. მეჩე ყველაფერი დაწყნარდა, ფიქრებს ბურუსი გადაეფარა და ნუგზარს ღრმად ჩაედინა.

როცა გემის დატვირთვა მოთავდა, მტვირთავებმა ნავსადგური დატოვეს. ნუგზარი არავის გახსენებია.

* * *

ნუგზარს გვიან დილით გამოეღვიძა.

ტრიუმში ბნელოდა. გემი ირწყოდა და ნუგზარი მიხვდა, რომ იგი უკვე ოკეანეში იყო და ტალღებს მიაპოხდა. საშინლად შიოდა და ფეხზე წამოდგა. თავბრუ და-

ესხა, წაბარბაცდა და ტომრებს მიუყრდნო. გაახსენდა, რომ ტომრებში ბრინჯი იყო. ერთი მათგანი გაარღვია და ბრინჯს პეშვით იყრიდა პირში. ჯერ დაუღეპავად ყლაპავდა, მერე კი კბილებს შორის ფეჭავდა. მალე წყურვილი იგრძნო და ნუგზარი ტრიუმში მთვრალივით დაბარბაცებდა. ამ დროს კარი ხმაურით გაიღო. ნუგზარი ტომრებს შორის დაიმალოდა ნათლად დაინახა, თუ როგორ შემოვიდა ბრე მამაკაცი და ჯიბის ფანრით რაღაცას ძებნა დაუწყო. ბოლოს, როგორც იქნა, ნათურა ერთ-ერთ ტომარაზე შეჩერდა. მოსულმა ტომარა ძირს ჩამოიღო, პირი მოხსნა და გადმოაპირქვევა. ბრინჯთან ერთად გადმოცვივდა უამრავი ოქრო და ძვირფასი ქვა, ოქროს მონეტები, დოლარებისა და სტერლინგების დასტები, ალმასებისა და ბრილიანტების სამკაულები, მათ შორის კარგა მოზრდილი ქისა... მოსულმა ქისიდან ერთ-ერთ ტომარაზე გადმოყარა სხვადასხვა სიდიდის ბრილიანტის თვალი და მათ ისე უტყქრდა, რომ ნუგზარი შიშმა შეიპყრო. მამაკაცი ბრილიანტის თვლები ისევ ქისაში ჩაყარა, ტომრიდან რაღაც დიდი ნივთი ამოიღო, ნათურა მიანათა და ნუგზარი სახტად დარჩა... თითქმის ნახევრეტრიან ოქროს ბეღას თავზე პლატინაში ჩამჯდარი ბრილიანტი თვალსმომჭრელად ანათებდა. ამ უამრავ სიმდიდრეს მოსული მუხლმოდრეკილი დასცქეროდა, ზღაპრულად მდიდარ განძეულში ხელებს გიჟივით აფეთურებდა და სახეზე ისეთმა იერმა გადაკრა, რომ ნუგზარი აცახცახდა და შიშისაგან თვლები დაუბნელდა... როცა ნუგზარი გამოერკვა, მოსულს მთელი განძი ისევ ტომარაში ჩაელაგებინა და ტომარას თავის ადგილზე დებდა. პატარა ნიშანს კიდევ რაღაც ნიშანი მიუმატა და უკან გაბრუნდა.

მარტო დარჩენილმა ნუგზარმა უცებ საოკეარი ძალა იგრძნო, გამოცოცხლდა, იმ წამშივე ნიშანდასმულ ტომარასთან გაჩნდა, გადმოაპირქვევა და, თუმცა ბნელოდა, მაინც ხედავდა ზღაპრულ სიმ-

დიდრეს, ხელებს გიჟივით აფათურებდა განძეულში. გული საშინლად უძვევრდა. როცა ოდნავ დაწყნარდა, კვლავ შიმშილი იგრძნო და წყურვილისაგან ნერწყვებამზარალი ძლივს სუნთქავდა. უცებ ნუგზარს სიცილი აუტყდა—ამდენ განძეულს ხელში ატრიალებდა და დამშეული და წყურვილისაგან ხახვამზარალი ჩახლეჩილი ხმით იძახდა:

— ღარიბი მდიდარი!

ცოტახნის შემდეგ განძი ისევ ტომარაში ჩაყარა, ტომარა თავის ადგილზე დავდა და კვლავ წამოდგა. ტრიუმში მთვრალივით დაბარბაცებდა. იგი მომდევნო ტრიუმის ნახევარდ გაღებულ კარებს მიადგა... იქ სხვადასხვა სახისა და სიდიდის ყუთები ეწყო. ერთ-ერთ ყუთს თავი ახადდა და თვალები გაუფართოვდა... რომი, იამაიკის რომი იყო ლამაზ ბოთლებში ოქროსფერი ეთიკეტებით. ნუგზარმა ერთ-ერთ ბოთლს ხელი წაავლო, მაგრამ ამ დროს მისი ყურადღება სხვა ყუთებმა მიიპყრო. ცოტა ხნის შემდეგ ნუგზარი ხარბად შეეცქეროდა კონსერვებს, ლენოსა და იამაიკის რომს. როცა დანაყრდა, თავი ისევ კარგად და მხიარულად იგრძნო, რომ კინაღამ სიმღერა დაიწყებოდა. უცებ რაღაც აზრმა გაუელვა. განძით სავსე ტომარა მეორე ტრიუმში გადაიტანა, ერთ-ერთი ყუთი გაათავისუფლა რომის ბოთლებიდან, ყუთში ტომარა ჩადო, წინდაწინ აქიდან ათასამდე დოლარი ამოიღო, ყუთს თავსახური მაგრად დააჭედა და ნიშანი გაუკეთა.

გემი სინგაპურის ნავსადგურს მიადგა. იქ რომითა და სხვადასხვა სასმელებით დატვირთული ტრიუმის გადმოტვირთვა დაიწყო. ნუგზარი მტკირთავეებში გაერია და ნავსადგურის საწყობში აღმოჩნდა. იგი თვალს არ აშორებდა ნიშანდამუღ ყუთს. ეჭვი რომ არ მიეტანათ, ნუგზარმა საწყობის ზედამხედველისაგან სამი ყუთი შეიძინა. სამში სამჯერ მეტი გადაიხადა, ორი მათგანი დროებით იქვე დატოვა, მესამე თვითონ გაიტანა საწყობიდან, რიქ-

მა დაიჭირა და საშინელი გულწრფელობით გაშორდა იჭაურობას.

* * *

ნუგზარი მაშინვე მოეწყო ერთ-ერთ იაფფასიან სასტუმროში.

სასტუმროს პატრონს, შუახნის ბირმელს, ეჭვი აღედგრა, როცა ნუგზარი თავის ოთახში შევიდა და, ერთი დიდი ყუთის გარდა, თან არაფერი შეუტანია. უკვე შუალამეს გადაცილებული იყო, მაგრამ ნუგზარს მაინც არ ეძინა, მისი ოთახიდან სინათლე მოჩანდა. სასტუმროს პატრონს ეჭვი უფრო გაუღვივდა, ცნობისმოყვარეობამ დაძლია, ჩუმად მიიპარა კარებთან, ყური დაუდგო. მერე ჭუჭქუტანიდან შეიხედა და გაცეცხისაგან კინაღამ შეჭყვია... ნუგზარს თავისი დიდი ყუთი გადმოეპირქვავებინა იატაკზე და უამრავი ოქრო, პლატინა, ბრილიანტი, ალმასი და დოლარებისა და სტერლინგების დასტები ცალ-ცალკე დაეწყო და ხარბად დასცქეროდა. ბირმელი მთელი ძალით ეძვრა კარებს და იმ წამსივე ოთახში აღმოჩნდა. ნუგზარი შეკრთა, მარჯვენა ხელი, რომელშიც ოქროს ბუღა ეჭირა, იქვე გაუშვს და მრისხანე და თან შიშით შეპყრობილი თვალებით შეჭყურებდა თავზე წამომდგარ ბირმელს.

— ვისა ეს?! — შეიღრიალა ბირმელმა და განძისაკენ წაიწია.

ნუგზარი წამოდგა, თვალებში რისხვა ჩაისვა, მუშტივით შეიკუმშა და ნახტომისათვის მოემზადა.

— ახლავე პოლიციას დავუძახებ! — წამოიძახა ბირმელმა და უკან დაიწია.

ნუგზარი პოლიციის ხსენებაზე ჯერ დაიბნა, მერე გონება მოიკრიბა და ბირმელს გაუბედავად გაუღიმა. ნუგზარის ღმილმა ბირმელს სითამამე შემატა და ისევ გადავიდა შეტევაზე.

— უმჯობესია მშვიდობიანად შევთანხმდეთ! წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერს დაკარგავ და ციხეში ამოგხდებ სული!

ნუგზარს გაახსენდა ციხე, კატორღა

და... უცებ მოტყდა, ბირმელს მოზრდილი ბრილიანტის თვალი და ათასი დოლარი შესთავაზა. ბირმელი უარზე იყო, განძის ნახევარს მოითხოვდა. ნუგზარმა მესამედი შესთავაზა, ბირმელი კი ისევ ნახევარს მოითხოვდა. ნუგზარი დათანხმდა და ნაშუაღამემდე იყოფდნენ განძს. ბოლოს, როგორც იქნა, გაყოფა დაამთავრეს და ორივემ ოქროს ბუღას მიაპყრო თვალი... მისი შუაზე გაყოფა შეუძლებელი იყო. ბუღა ბირმელმა დაიჩემა, ნუგზარი უარზე იყო. „მე ბუღისტი ვარ და ბუღა ამიტომ მე მეკუთვნისო“, ამტკიცებდა ბირმელი და განძს თავისკენ ექაჩებოდა, ნუგზარი კი თავისკენ. არც ერთს არ უნდოდა დაეთმო. ბოლოს, გაცხარებული ნუგზარმა ბუღა მარჯვენა ხელში მომარჯვა და, როცა ბირმელი ისევ წაიწია მისკენ, მთელი ძალით მოუქნა. სასტუმროს პატრონი ჯერ თითქოს გაქევედაო, გაუძნეველად იდგა ადგილზე, მერე კი მოცელილივით დაეცა იატაკზე. ბირმელმა იქვე დალია სული. სამარისებურ სიჩუმეში ნუგზარი გონს მოვიდა, განძი ისევ ყუთში ჩაალაგა, მკვდარი ბირმელის ტანსაცმელი გადაიცვა და განთავადი უკვე დაწყებული იყო, როცა იქაურობას ყველასათვის შეუმჩნევლად გაშორდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ნუგზარმა ინდოეთში ამოყო თავი.

კალკუტაში, იმ სახლში, სადაც იგი ცხოვრობდა, დიასახლისს ყელი გამოჭრა (დიასახლისი შემთხვევით განძს წააწყდა და ნუგზარმა იფიქრა, ვაი თუ გამაუბედურდოსო), ლხობიში ბავშვი მოწმლა იმავე მიზეზით, დელში ცოლ-ქმარი ამოწყვეტა ისევ იმავე მიზეზით, მაისორში უღიმავესი ქალიშვილი საკუთარი ნელეებით დაახრჩო კვლავ იმავე მიზეზით.

* * *

ბომბეის განაპირა უბანში ზღვის სანაპიროზე ლაღად აღმართული სასახლე ყველას თვალს სჭირდა სილამაზითა და სიმდიდრით. სასახლეს გარს ერტყა ზღაპრუ-

ლი ბაღი შადრევნებით, ტროპიკული მცენარეებით, ყვავილებით, ფანაქრებით

იმ დღეს ბომბეის თითქმის მთელ ბომონდს მოეყარა თავი ამ საარაკო სასახლის ბაღში და მასპინძელი დიდი სიუხვეით ხვდებოდა ძვირფას სტუმრებს.

ბაღის შუაგულში ვეებერთელა ფარდა-ჩამოფარებული ძეგლი იდგა. თითქმის არავინ იცოდა, ვისი ძეგლის გახსნა იყო მიზეზი მათი თავშეყრისა და ყველა მოუთმენლად ელოდა საზეიმო წუთს. სიმდიდრისოდ მასპინძელმა ერთ ცნობილ კომპოზიტორს სავანგებოდ დაუკვეთა შესაფერი კანტანტა, რომელიც ძეგლის გახსნის წინ ბომბეის სიმფონიურ ორკესტრს უნდა შეესრულებინა. საზეიმო წუთებმაც მოაღწია... ყველამ ძეგლის ირგვლივ მოიყარა თავი. მასპინძელმა ხელით ანიშნა და ღირიფორი საქმეს შეუდგა. კანტატა მუსიკის ენით მოუთხრობდა მსმენელებს სიცოცხლის არარაობაზე და ამავე დროს მის დიდსა და ღრმა შინაარსზე. როცა უკანასკნელი აკორდი გაისმა, ირგვლივ ჩამოვარდა ღრმა სიჩუმე, რომელიც მასპინძლის ნაბიჯებმა დაარღვია. იგი დინჯად მივიდა ძეგლთან, როგორც წესია, ზონარი მაკრატლით გადაჭრა, ფარდა ჩამოეშვა და... დამსწრეთათვალწინ გადაიშალა არაჩვეულებრივი ძეგლი... მარმარილოს კვარცხლბეკზე შავი ბაზალტის ქვისაგან გამოთლილი კოლო, ჩვეულებრივი კოლო წამოსკუბებულიყო. ყველანი გაკვირვებული მიჩერებოდნენ მასპინძელს, რომელსაც ნუგზარ-ხანს ეძახდნენ. ნუგზარ-ხანი კი უცნაური ძეგლის გვერდით ძეგლივით იდგა და ილიმებოდა. ილიმებოდა ნუგზარ-ხანის მზეთუნახავი მეთუღლე და მათი ცეროდენა ქალვაიცი, რომლებიც ამ დროს თავის ირთობდნენ რაღაც სათამაშოთი, რომელიც კოლოს წააგავდა. უცებ... ნუგზარ-ხანს რაღაც მწერი შებლზე დააჯდა... დააჯდა და სული გაუმწარა... შეუბლიდან ცხვირზე გადაინაცვლა... ნუგზარ-ხანმა ნათლად დაინახა... კოლო, ჩვეულებრივი კოლო, რო-

მელიც ახლა ცხვირის მარცხენა ნესტოში შეუძვრა და უხიციანებდა. ნუგზარს ძლიერ უნდოდა აბეზარი მწერის მოშორება, მაგრამ ხელის განძრევა ეუხერხულებოდა — ბომბების მთელი ბომონდი მას შეჭყურებდა და იმ დროს, როცა მაპარაჯა სარვაპალი და გუბერნატორი მოტილალ გუბტა მასთან ახლოს მივიდნენ მისალოცად, დაწყევლილმა კოლომ ნუგზარ-ხანის ცხვირის ნესტოში ისეთი ილეით გააქეთა, რომ ნუგზარ-ხანმა თავი ვეღარ შეიკავა და საშინლად დააცხია... მაპარაჯა სარვაპალისა და გუბერნატორ მოტილალ გუბტას უნდოდათ ცხვირსახოცით მოეწმინდათ შხვებები, მაგრამ ვერ გაბედეს და ორივე მაიმებლად უღიმოდა მათ წინაშე კერპებით აღმართულ ნუგზარ-ხანს, რომელიც ამ დროს მიწაზე დანარცხებულ მომაცდევ კოლოს დაცქეროდა.

თავმოყრილი საზოგადოება კი მარმარილოს კვარცხლბეკზე წამოჭიმულ, შავი ბაზალტის ქვისაგან გამომქრწოლ კოლოს მიჩერებოდა და...

— ბაბუ! — ნუგზარს უნდოდა რაღაც შეეითხვა მიეცა ბრძენი პაპისათვის, მაგრამ გაახსენდა, რომ პაპა უკვე ცოცხალი აღარ იქნებოდა და იქვე დაღუშდა. თავდახრილს, თითქოს შორეული ხმა ამეტყველდაო, ნათლად მოესმა ოდესღაც თქმული სიტყვები:

— შვილო, ამქვეყნად არაფერი არ არის ზედმეტი... თუ კაცი თავის ცხოვრებას, თავის სიცოცხლეს ბუნების კანონებს შეუხმატებოლებს, არასოდეს არ დამარცხდება. ვაი მას, ვინც ბუნებასა და ბუნებრივს აუჯანყდება!

ნუგზარს რატომღაც ნათლად წარმოუდგა „ონტარიას“ ტრიუმფი გატარებული საშინელი წუთები, როცა მრავალ მილიონად ღირებულ განძს ხელში ატრიალებდა და შიმშილისაგან კი სული ელეოდა...

ლარიბი მდიდარი! — ხმამაღლა წამოიძახა ნუგზარ-ხანმა და იქაურობას თვალი მოავლო... იქაურობას თვალი მოავლო და... თვალწინ წარმოუდგა თავისი ბავშვობის, ყრმობისა და ჯველობის ხანა, პირველი სიყვარული, მრწამსი, ნათელი მისწრაფებები, მშობლები, ნათესავები, მეგობრები, მშობლიური მხარე. თვალწინ წარმოუდგა და თვალები დახუჭა. იგი ყველასათვის მოულოდნელად მოწყდა იქაურობას, ტყეისაგან შეიჭრა სასახლის დარბაზში, სიფს მივარდა, გააღო, გაშვავებით გადმოყარა იქიდან უამრავი ოქრო და ბრილიანტი, ასიგნაციები და აქციები და ირგვლივ ძვირფასეულობის კორიანტელი დაყენა.

— ლარიბი მდიდარი! — ხმამაღლა გაჰკიოდა ნუგზარ-ხანი და თითებიც ყურებს იცობდა, მაგრამ მაინც ესმოდა საყრმის მეგობრებთან ერთად ნათქვამი ტკბილი სიმღერა: „გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში“... თვალწინ წარმოუდგა მომაცდევისათვის სიცოცხლესაგან სანატრელი სამშობლო, მშობლიური ქალაქის ზღვისპირა ბაღი, სადაც პირველად წარმოთქვა: „მიყვარხარ!“ და სიმღერასაგან მოესმა საპასუხო სიტყვები: „ჩემო ნუგზარ!“ მას ნანასაგან მოყვდა მუდამ სანატრელი და მუდამ საყვარელი დედის: „შვილო, ნუგზარ!“ ორგვლივ თავფიცივით იღვრებოდა მშობლები ენაზე წარმოთქმული ტკბილი სიტყვები და ნუგზარ-ხანი, თითქოს მათ დასაქვრად გაეჭანა, მაგრამ მის წინ მაღალი კედელი გადაუღახავდა დაბრკოლებად წამოჭიმულიყო და ცამდე აწვდილ კედლებს შორის მოქცეული ნუგზარ-ხანი ღრმა ორმოში ჩავარდნილი და თვით ბორცვად და ღმუოდ.

— ლარიბი მდიდარი! — არაადამიანური ხმით იღრიალა ნუგზარ-ხანმა და... უცებ... თითქოს ირგვლივ საშინელი სიბნელე ჩამოწვაო, ნუგზარ-ხანი ვერაფერს ხედავდა, ვერაფერს გრძნობდა, არაფერი ესმოდა და...

კარებზე დიდხანს აკაცუნეს. როცა ვერაფერს გახდნენ, ძალით შეანგრის... შეანგრის და იქვე გაქვავდნენ...

ნუგზარ-ხანი იატაკზე მიმოფანტულ განძეულში მკვდარი ეგდო, ხელიდან დავარდნილი რევოლვერი კი ოქროს ბუდას თავზე პლატინაში ჩამჯდარ ბრილიანტს შერჩენოდა.

ნუგზარ-ხანი იქვე, კოლოს დიდებული

ძეგლის გვერდით დაკრძალეს. დაკრძალეს და მისი სახელი და სამარე საშუალოდ წაიშლებოდა, მაგრამ...

ნუგზარის მიერვე აღმართული კოლოს ძეგლი დარჩა მისივე სახელის ხსენებისა და საფლავის ძეგლად.

.

იყო და არა იყო რა, მაგრამ ასე იყო თუ ასე არ იყო, ყველაფერი ეს ასეც ხომ შეიძლებოდა მომხდარიყო?



ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/II 1965 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი,
შეკვეთის № 131, ემ 00601, ქალაქის ზომა 60X90, ტირაჟი 1600.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის
მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის, 22).

3560 40 333.

ბ. 7/72

საქართველოს
საბჭოთაო მთავრობის

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ლიტერატურული ადჯარა“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ИНДЕКС 76118